


საქართველო

N 0868-4537

178
1999

№ 4



მეცნიერება

კულტურისტიკა

პრაქტიკა



საქართველოს იურისტთა კავშირი

„სამართალი“

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№4, 1999 წლის სექტემბერი

დაფუძნებულია 1926 წელს
წელიწადში გამოდის 12 ნომერი
ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი“, 1999 წ.

მთავარი რედაქტორი

პაატა ცნობილაძე

EDITOR IN-CHIEF

PAATA TSNOBILADZE

მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა ბერძენიშვილი

VICE-EDITOR IN-CHIEF

GELA BERDZENISHVILI

სარედაქციო საბჭო:

EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია - თავმჯდომარე

ჯამლეთ ბაბილაშვილი

ნინო ბურჯანაძე

ავთანდილ დემეტრაშვილი

ბესარიონ ზოიძე

კახა თარგამაძე

გივი ინტსკირველი

ჯონი ხეტურიანი

ლადო ჭანტურია

ROMAN SHENGELIA - **Chairman**

JAMLET BABILASHVILI

NINO BURDJANADZE

AVTANDIL DEMETRASHVILI

BESARION ZOIDZE

KAKHA TARGAMADZE

GIVI INTSKIRVELI

JOHN KHETSURIANI

LADO CHANTURIA

სარედაქციო კოლეგია:

EDITORIAL BOARD:

59

გელა ბერძენიშვილი

ნინო გვენეტაძე

მზია ლეკვეიშვილი

ვალერიან მებრეველი

გიორგი ტყეშელიაძე

შალვა ჩიკვაშვილი

პაატა ცნობილაძე

GELA BERDZENISHVILI

NINO GVENETADZE

MZIA LEKVEISHVILI

VALERIAN METREVELI

GEORGE TKESHELIADZE

SHALVA CHIKVASHVILI

PAATA TSNOBILADZE

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, რუსთაველის გამზ.30

ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01

ფაქსი: (995 32) 99-02-45

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
თბილისი, რუსთაველის გამზ. 30.

ს ა მ ი მ ბ ე ლ ი

პაატა ცნობილადე – ჟურნალი “სამართალი” საუკუნის მიჯნაზე 4

სადღესო თემა

იურიდიული პრაქტიკა და მეცნიერება ახალი ამოცანების წინაშე

გვეჭირდება ამდენი იურისტი? (მთავარი რედაქტორის ინტერვიუ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ რომან შენგელიასთან) 6

სასამართლო რეფორმა – სრულყოფის გზები

ევა გოცირიძე – ღირებულებათა აღიარებიდან მათ რეალურ დამკვიდრებამდე 12

იური გაბისონია – საგამომიებო კოლეგიის ინსტიტუციურ-კომპეტენციური და ორგანიზაციული სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი (თეორია, კანონმდებლობა, პრაქტიკა) 16

ეკონომიკა და სამართალი

მარიამ ცაცანაშვილი – სასაქონლო და არასასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სისტემა. 22

ევა ზარნაძე – ფასიანი ქაღალდის იურიდიული ბუნება 28

ევა ლაფაჩი – სამკვიდრო ქონების დაცვა. 33

ნინო კუნცევა-გაბაშვილი – ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციები. 36

დიმიტრი გაბუნია – პლასტიკური ბარათების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში 40

საკონსტიტუციო სამართალი

ნანა ჭილაძე – პარლამენტის რეგლამენტის მოცულობასა და ნორმატიულ ხასიათთან დაკავშირებული საკითხები 46

სისხლის სამართლის პროცესი

თემურ მურდულია, მალხაზ ბაძაღუა – ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა მოტაცებასთან ბრძოლა შინაგან საქმეთა ორგანოების მნიშვნელოვანი მიმართულებაა 52

ავთანდილ თევზაძე – სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზის ცნება 55

დარეჯან ლეკიაშვილი – კანონი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა 59

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

გიორგი ჯანაშია – ძალადობითი დანაშაულის კვლევის აქტუალობის საკითხი 62

გუდრაზ ფაშაევი – გაუფრთხილებელი დანაშაულით დაწყებული რეციდივის გამოვლენის მეტოღეა 66

თემურ მურდულია – ორგანიზებული დანაშაულის წარმოშობის მიზეზები საქართველოში. 71

სამართლის ისტორია

გიორგი ნადარეიშვილი – ეტიუდები ქართული სამართლის ისტორიიდან 73

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოქალაქეთა მიმართვის პროცედურა. 75

ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: “A-გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მამინაცვლის მიერ ბავშვის ფინიჯური შეურაცხყოფისათვის”. 77

საქართველოს უზენაეს სასამართლოში

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით 80

კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ. 85

საქართველოს კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ. 85

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 86

ხსოვნა

სერგო ჯორბენაძე 93

რეზიუმე 95

Search guide

Paata Tsnobiladze – “Samartali” Magazine at the end of the century4

Present –day theme.

Judicial practice and science facing new tasks. Do we need so many lawyers? (Editor-in-chief interviewing Professor **Roman Shengelia**, Dean of the Law Faculty at the Tbilisi State University named after Ivane Javakhishvili) 6

Judicial Reform – ways of improvement
Eva Gotsiridze – From recognizing values – till their real inheritance 12
Iuri Gabisonia – Some aspects of institutional – competitive and organizational improvement of investigation board (theory, legislation, and practice) 16

Economy and Law

Mariam Tsatsanashvili – Legal regulation system of market and non-market informational relations. 22
Eka Zarnadze – Legal nature of securities. 28
Eka Laphachi – protection of inherited property 33
Nino Kuntseva – Gabashvili – Collective management organizations for author’s property rights 36
Dimitri Gabunia – Perspectives of plastic card development in conditions of modern market economy. 40

Constitutional Law

Nana Chigladze – issues concerning capacity and normative character of the parliamentary time limit? 46

Criminal Procedure

Temur Murgulia, Malkhaz Badzagua – Struggle against kidnapping for extortion is an important direction for Interior Agencies 52
Avtandil Tevsadze – The motion of ground for raising criminal case 55
Darejan Lekiasvili – Law and operational search action 59

Criminal Law, Criminology

George Djanashia – Question of actuality violent crimes investigation 62
Gudrat Pashaev – Methods of revealing recidivism started with negligent crime 66
Temur Murgulia – Reasons of organized crimes in Georgia 71

Law History

George Nadareishvili – Etudes from Georgia Law History 73

In European Court of Human Rights

Appealing procedure for citizen in the ECHR... 75
ECHR Decision on case “A”- versus UK on physical offence of child by step-father 77

At the Supreme Court of Georgia

Decision in the name of Georgia 80

Legislation

Constitutional Law of Georgia on amendments to the Constitution of Georgia 85
Constitutional Law of Georgia on additions to the Constitution of Georgia 85
Georgia Administrative Procedure Code 86

Memory

Sergo Jorbenadze 93

Resume 95

ქურნალი „სამართალი“ საუკუნის მიჯნაზე

პატივცემულო მკითხველო,

73 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჟურნალ „სამართალი“ ამცნო ქვეყანას თავისი დაბადების შესახებ. ეს იყო მოვლენა ქართული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში, რომელმაც წარუძღვლი კვალი დაატყო ქართული იურიდიული მეცნიერებისა და საერთოდ, იურისტის პროფესიის განვითარებას.

ჟურნალის მიერ განვლილი გზა ადვილი როდი იყო. ეს იყო გზა, დახუნძლული იდეოლოგიური, ფინანსური თუ სხვა სახის წინააღმდეგობებით, მაგრამ თავისი არსითა და იდეებით იგი ყოველთვის რჩებოდა სულისკვეთებით ეროვნულ და შინაარსით იურიდიულ ჟურნალად. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ჟურნალთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მეცნიერები და მამულიშვილები: ალექსანდრე ვაჩიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ნანიშვილი, შალვა ნუცუბიძე, იროდიონ სურგულაძე და სხვანი. სწორედ ამიტომ იქცა იგი საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილად.

განსაკუთრებული მოწიწებით მინდა აღვნიშნო ჟურნალის განვითარების შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ღვაწლმოსილი იურისტების, ბატონების ოთარ კაციტაძის, ლერი თალაკვაძის, თედო ნინიძისა და ზურაბ რატიანის ფასდაუდებელი საქმიანობა, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ჟურნალის მნიშვნელობისა და პრესტიჟის ასამაღლებლად. ეს იყო პერიოდი, როცა ჟურნალთან თანამშრომლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართული იურიდიული აზროვნების ელიტარული წარმომადგენლები: თინათინ წერეთელი და მინდია უგრეხელიძე, ვლადიმერ მაყაშვილი და თამაზ შავგულიძე, ბორის ფურცხვანიძე და გიორგი ტყემელიაძე, ისიდორე დოლიძე და გიორგი ნადარეიშვილი, ნიკო წერეთელი

და რომან შენგელია, სერგო ჯორბენაძე და ლადო ჭანტურია. არაფერს ვამბობ 50-იანი წლებიდან ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის უცვლელ წევრზე, პროფესორ გივი ინსკირველზე, რომლის ღვაწლი არა თუ ჟურნალის, არამედ საერთოდ, იურიდიული აზროვნების განვითარების საქმეში ყველასათვის ცნობილია.

ეს გახლავთ იმ მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა არასრული სია, რომელთა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ჟურნალს საკმაო ავტორიტეტი მოუპოვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. აბა, სხვა რითი შეიძლება აიხსნას მსოფლიოში აღიარებული ისეთი პირების ჟურნალთან თანამშრომლობა, როგორიცაა მ. სტროგოვიჩი, ვ. ანაშკინი, ნ. დურმანოვი (რუსეთი), ს. ზავადსკი და ი. სკუპინსკი (პოლონეთი), დევიდ კოენი (ინგლისი), ლაური უიმენი (აშშ), ჰანს შნიდერი, რალფ დრაიერი, აინჰარდ შტაიგერი, ბერნდ გუგენბერგერი (გერმანია) და სხვა.

ასე მდიდრდებოდა და ფართოვდებოდა ჟურნალის ბიოგრაფია და ასპარეზი. ასე იზრდებოდა მისი კომპეტენტურობა და ავტორიტეტი. ამას მოწმობს 42 ათასიანი სარეკორდო ტირაჟი თავის 42 ათასიან ხელმოწერთან ერთად. ასე ასრულებდა იგი გამზრდელის კეთილშობილურ მისიას. დიას, გამზრდელის, რადგან მართლაც იზრდებოდა და ბრძენდებოდა მის ფურცლებზე თაობიდან თაობა.

შემთხვევითი როდი იყო, როცა 1996 წელს, ჟურნალის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „სამართლის“ რედაქციას გულთბილად მიულოცა ეს მნიშვნელოვანი თარიღი. „რაოდენ მნიშვნელოვანია, — ნათქვამია მისალოც ბარათში, — რომ დრამატიზმით აღსავსე ათწლეულების მანძილზე ჟურნალმა შეძლო შეენარჩუნებინა პირველქმნილი

სულისკვეთება და გამხდარიყო არა მარტო ქართული იურიდიული კულტურის საიმედო შემწე, არამედ თანამედროვე დემოკრატიულ ღირებულებათა უკომპრომისო აღმსარებელი.

ვულოცავ რედაქციის ყველა თანამშრომელს, საქართველოს იურიდიულ საზოგადოებას.

ბტკიცედ მწამს, „სამართლის“ რედაქცია კვლავ ღირსეულად იმოღვაწევებს ადამიანის უფლებათა დასაცავად, ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

სამწუხაროდ, აღნიშნულის ფონზე მეტად მძიმეა ქურნალის დღევანდელ მდგომარეობაზე საუბარი. რომ არა ბატონ ზურაბ რატიანისა და ბატონ გელა ბერძენიშვილის უდიდესი ძალისხმევა და ენთუზიაზმი, ქურნალი დღეს აღარც იარსებებდა. ერთ დროს 42 ათასიანი ქურნალი 490 ეგზემპლარით შემოიფარგლა. ქვეყნისა და საზოგადოების საერთო გასაჭირის ფაშს ეს თითქოს არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი.

მიუხედავად ყველაფრისა, ქურნალი „სამართალი“ იყო და დარჩა იურიდიული პროფილის ერთადერთ რეცენზირებად გამოცემად. ის კვლავაც მზად არის იტვირთოს ლამის ისტორიად ქცეული კეთილშობილური მისია და მის წინაშე დასახული მიზნების განხორციელებით ხელი შეუწყოს ახალი იდეების, ღირებულებებისა და პრინციპების დამკვიდრებას, სამართლებრივი ცნობიერების გაჯანსაღებას.

შეიცვალა ქურნალის ფორმატი და დინამიკა. აკადემიური მასალის გარდა მასში იხილავთ სამართლებრივი რეფორმის საკითხებთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების დეტალურ ანალიზს და კომენტარებს, ნორმატიულ მასალას და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, რაც უდაოდ საინტერესო იქნება ფართო მკითხველისათვის. გარდა ამისა, მასში წარმოდგენილი იქნება სამართლებრივი რეფორმის სფეროში მიმდინარე მოვლენები.

ქურნალ „სამართლის“ ამ ნომრით ჩვენ იმედი გვაქვს დავიწყოთ უფრო ფართო დიალოგი როგორც ჩვენს მკითხველთან, ისე იმ პიროვნებებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ სა-

მართლებრივი რეფორმის პოლიტიკას. ჩვენ მოხარული ვიქნებით, მივიღოთ თქვენი შენიშვნები, სურვილები, ასევე გამოსაქვეყნებელი სტატიები და წერილები.

თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ქურნალ „სამართლის“ მომდევნო ნომრები, გთხოვთ, შეავსოთ და რედაქციის მისამართზე წარმოადგინოთ ხელმოწერის ბარათი, რომელიც განთავსებულია ქურნალის ბოლო გვერდზე. ან დაგვიკავშირდეთ მითითებულ მისამართზე.

გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ, რომ ერთი წლით გამოწერის შემთხვევაში (ე.ი. 12 ნომრის) შემცირდება ქურნალის გამოწერის საფასური.

ქურნალ „სამართლის“ რედაქციის ახალი შემადგენლობა ყველაფერს იღონებს, რათა ქურნალმა დაამყაროს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული და მისი ერთგული მკითხველის მკაცრი მოთხოვნები.


ამიტომ, მინდა მივმართო იურიდიულ საზოგადოებას, კადრების სიუხვით გამორჩეულ კორპორაციას, ნუ გამოვიჩინთ ინერტულობას ქურნალის მიმართ. გამოვიწეროთ და წავეითხოთ ქურნალი „სამართალი“, ერთად მივიღოთ მონაწილეობა მის ასაღორძინებლად. არ დაგავიწყდეთ, ქურნალი „სამართალი“ იურიდიული პროფილის ჯერ კიდევ ერთადერთი რეცენზირებადი ბეჭდვითი ორგანოა, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ნაშრომზე საავტორო უფლების აღიარებას. ბოლოს და ბოლოს, ასეთი პროფილის ქურნალი რომ არ გექნონოდა, ახლა მაინც უნდა დაგვეარსებინა, როცა ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული სამართლის სისტემის ჩამოყალიბების გზას.

ვუთქრობ, ეს ჩვენი პროფესიული თავმოყვარეობის საქმეა.

პაატა ცნობილაძე,

საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე,
ქურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი.

24385



სადღესო თქმა



იურიდიული პრაქტიკა და მეხნეობა

ახალი ამოსახევის წინაშე

გვქიჩიება ამერიკის იურისტი?

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვნად იზრდება პრაქტიკული და თეორიული იურისპრუდენციის როლი და დანიშნულება. საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სრულყოფა და მათი საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოში სამართლებრივი საფუძვლების სწორად ჩამოყალიბებასა და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმიანობის განხორციელება ევალება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. ვთავაზობთ ინტერვიუს ამ ფაკულტეტის დეკანთან, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ რომან შენგელიასთან.

- ბატონო რომან, თქვენ ხელმძღვანელობთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. საინტერესოა, როგორია ფაკულტეტის სტრუქტურა და მისი მეცნიერული პოტენციალის შესაძლებლობები?

- იურიდიული ფაკულტეტი ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის პრობლემათა კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი კერა და მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების აღზრდის ფლაგმანია. უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე იურიდიული ფაკულტეტი საქართველოს ამარაგებდა მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპის შესაბამისი ეროვნული იდეებითა და პოზიციებით განმსჭვალულ პრაქტიკოს და მეცნიერ იურისტთა მაღალკვალიფიციური კადრებით.

დღეისათვის იურიდიულ ფაკულტეტს გააჩნია 6 კათედრა და ერთი სასწავლო ლაბორატორია. პროფესორ – მასწავლებელთა 80 კაციათი კოლექტივი წარმატებით ასრულებს 3 800 სტუდენტის აღზრდას-

თან დაკავშირებულ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, ამასთან, აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოში მიმდინარე კანონმდებლობით საქმიანობაში და სამართლებრივი რეფორმის პროგრამით გათვალისწინებული სხვა პრობლემების გადაწყვეტაში.

ფაკულტეტის ყველა კათედრა უპირველეს ყურადღებას უთმობს ახალი პირობებისა და კანონმდებლობის შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნას. თითქმის ყველა ძირითად საგანში არსებობს სასწავლო წიგნები. ამ მხრივ აღსანიშნავია უკანასკნელ პერიოდში შექმნილი შემდეგი ნაშრომები: პროფ. ვ. მეტრეველისა და დოც. გ. დავითაშვილის “პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია”, დოც. მ. ცაცანაშვილის “სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია”, დოც. პ. ცნობილას “კონსტიტუციური სამართალი”, პროფ. ვ. ლორიას “ადმინისტრაციული სამართალი”, პროფ. შ. ჩიკვაშვილის “საოჯახო სამართალი”, ზ. ახვლედიანის “მემკვიდრეობის სამართალი”, პროფ. ლ. ჭანტურიას “შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, რ. მიგრიაულის “გაკოტრების



სამართალი”, პროფ. ო. მელქაძის “საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი”, პროფ. ა. ფალიაშვილის “სამართალდამცავი ორგანოები”, თ. გორდელაძის “სასამართლო მედიცინა” და სხვა. გარდა ამისა, ყველა საგანში ქართულ ენაზე შექმნილი მონოგრაფიებისა და სხვა შრომების სიმრავლე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას: (პროფ. გ. ინჭვირველი, პროფ. ა. ლაბარტყავა, პროფ. შ. ფაფიაშვილი, პროფ. რ. ჭოლოშვილი, პროფ. მ. ლეკვეიშვილი, პროფ. გ. ტყემელიაძე, პროფ. გ. ნაჭყებია, პროფ. ბ. ზოიძე და სხ.)

მეცნიერული კვლევების სიღრმეს განაპირობებს ქართველ სწავლულ იურისტთა მონაწილეობა საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. ასეთი ღონისძიებები ჩატარდა საქართველოში, გერმანიაში, პოლანდიაში და ამერიკაში. მათ მიერ განხილული საკითხები, ძირითადად, ეხებოდა საქართველოში სამართლებრივი რეფორმისა და იურიდიული განათლების სრულყოფის ღონისძიებებს.

ქართველ იურისტთა ნაზრევი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საყოველთაო მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

- რამდენადაც ცნობილია, სტუდენტთა კონტიგენტი საკმაოდ მოცულობითია. ეს გასაგებიცაა. იურისტის პროფესიის პრესტიჟი კვლავაც მაღალია სხვა პროფესიებთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით, ზომ არ ზედებით რაიმე არსებით პრობლემებს სასწავლო პროცესის ნორმალურ წარმართვასთან დაკავშირებით?

- სტუდენტთა კონტიგენტი მართლაც დიდია. მართლ დასწრებულ განყოფილებაზე ფასიან და უფასო ფორმით სწავლობს 1 300 სტუდენტი. დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც მთლიანად ფასიანია, 2 500 სტუდენტი. აქედან 700 სტუდენტს გააჩნია ერთი უმაღლესი განათლება, და ახლა მეორე სპეციალობას ეუფლება. ისინი, ძირითადად, აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში დასაქმებული თანამდებობის პირები არიან, აგრეთვე დეპუტატები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც სამსახურობრივად საჭიროებენ იურიდიულ განათლებას. დიდია კონკურსი მისაღებ გამოცდებზე. ლტოლვა იურიდიულ განათლებისაკენ ლოგიკური პროცესია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. საბაზრო მეურნეობა წარმოუდგენელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი რეგულირების, ადამიანის საყოველ-

თაოდ აღიარებული უფლებების დაცვის, კერძო ურთიერთობათა ავტონომიურობისა და საკონტრაქტო ურთიერთობათა ფართო გავრცელების გარეშე. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში ეს ღირებულებები ახალი ხილია და სავსებით ბუნებრივია მოსახლეობის სურვილი, სამართლებრივი რეგულირება შეეხოს ყოფითი ურთიერთობის ყველა სფეროს. ეს კი იურისპრუდენციას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროფესიად აქცევს. სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც კანონის უზენაესობა თითოეული მოქალაქის ბუნებრივი მოთხოვნილება უნდა იყოს, სამართალმცოდნის პროფესია პრესტიჟული უნდა იყოს. სტუდენტთა ასეთი მოზღვავება იურიდიულ ფაკულტეტზე უამრავ პრობლემას ქმნის, რომელთა განსაზღვრული ნაწილი, მიუხედავად უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მცდელობისა, ჯერჯერობით კვლავაც გადაუჭრელია. არ არის საკმარისი სასწავლო აუდიტორიები, რის გამოც ზოგჯერ სალექციო ნაკადების გაერთიანება გვიწევს, იგივე მიზეზით დაუსწრებელ განყოფილებაზე ლექციების ციკლი სრულად იკითხება არა სექტემბრიდან, არამედ მომდევნო პერიოდის იანვარ-თებერვალში, არ არის საკმარისი ლექტორთა კადრები – განსაკუთრებით ახალ დისციპლინებში, რის გამოც დიდია იმ პროფესორ – მასწავლებელთა პედაგოგიური და სამეცნიერო დატვირთვა, რომლებიც, ძირითადად, ფაკულტეტზე მოღვაწეობენ. ეს კი განაპირობებს ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებაში ჩვეულებრივზე მეტად მოწვეულ სპეციალისტთა ჩართვას, რაც მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნების მაღალი ხარისხიანობის ალბათობას ქმნის. სტუდენტთა კონტიგენტის შემცირება მათი უფრო მაღალკვალიფიციურად მომზადების შანსს ქმნის. მომავალში ეს პრობლემა სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. არა და უნივერსიტეტმაც რა ქნას – იურიდიულ ფაკულტეტზე მხოლოდ 700 სტუდენტი სწავლობს უფასოდ, დანარჩენი 3 100 სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის სხვადასხვა ოდენობით: დასწრებულ განყოფილებაზე 1 100 ლარია წლიური საფასური, მეორე სპეციალობაზე 1 200 ლარი, და დაუსწრებელ განყოფილებაზე კი 800 ლარი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო პრობლემებს სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს.


- რამდენიმე წლის წინ, როდესაც იწყებოდა სასამართლო რეფორმის განხორციელების პროცესი, დღის წესრიგში იდგა იურიდიული განათლების რეფორმირების საკითხი. რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს?

- დამოუკიდებელი საქართველოსთვის რეფორმების ფართოპლანიანი პროცესი მიზნად ისახავდა საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებისათვის ყოველგვარი პირობების შექმნას და მოსახლეობის სოციალურ - კულტურული ღონის ამღვლელებს. სამართლებრივი რეფორმაც სწორედ ამ კონტექსტით მოისაზრებოდა.

სამართლებრივი რეფორმის შემაღლებელი ნაწილი იყო იურიდიული განათლების სფეროში მდგომარეობის არსებულად გარდაქმნა. ამ პრობლემას მიექდენა რამდენიმე სერიოზული ხასიათის ღონისძიება. საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ კონცეფციის შემუშავება, რომელიც, თავის მხრივ, განათლების შესახებ კანონიდან გამოდიოდა, იურიდიული განათლების სრულყოფასაც ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 1995 წელს ჩატარდა საერთაშორისო სემინარი საქართველოში იურიდიული განათლების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, საქართველოს სამეცნიერო ცენტრებისა და სამართალდამცავი ორგანოების დაინტერესებული პირები. სემინარმა მიიღო რეკომენდაციები, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად, საქართველოს რეალობებსაც ითვალისწინებდა. ამ რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამა, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის მეთოდური და სამეცნიერო საბჭოების მიერ დამტკიცდა სახელმძღვანელოდ. პროგრამა უკვე რამდენიმე წელია საფუძვლად უდევს იურიდიულ ფაკულტეტზე პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. იგი გზადაგზა იხვეწება და სხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტებისათვის სარგებლობა მოაქვს. იურიდიული განათლების ახალი კონცეფციის მიხედვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი ორსაფეხურიანია. თავიდან გათვალისწინებული იყო სამი საფეხური: ბაკალავრიატი (4 წელი) + მაგისტრატურა (2 წელი) და ასპირანტურა (2 წელი). მაგრამ, იმის გამო, რომ ბაკალავრისა და მაგისტრის შრომითი მოწყობის პრობლემების გადაწყვეტა, იურიდიულ სამსახურთა სხვადასხვა ღონის სიმრავლის გამო, შეუძლებელი ხდებოდა, გადაწყდა რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით მომხდარიყო ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა, ოღონდ ორივე საფეხურის გაძლიერებით. ამჟამად პირველი საფეხური - ფართო პროფესიის იურისტი - სპეციალისტის მომზადებას დაეთმობოდა არა ოთხი, არამედ ხუთი წელი და თეორიულ მომზადებასთან

ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებაზე - მეხუთე წლის ანგარიშზე. მეორე საფეხური ითვალისწინებს იურისტთა მომზადებას სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობისათვის და ასპირანტურაში სწავლების პერიოდი მოიცავს არა ორს, არამედ სამ წელიწადს, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას ითვალისწინებს, იურიდიულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა ზოგიერთი ფუნდამენტური დისციპლინების შესწავლის შემდეგ (სამართლის ფილოსოფია, პედაგოგიკის საფუძვლები, თანამედროვე სამართლებრივი სისტემები და სხვ.). საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სამსაფეხურიანი სისტემის მეორე საფეხური - მაგისტრატურა, თითო წლის ვადით ჩაირთო პირველ და მესამე საფეხურებში და ამით გაძლიერდა სპეციალისტ-იურისტის მომზადების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები და ასევე მეტი სიღრმე და სიგანე შეიძინა იურისტ-მეცნიერისა და პედაგოგის მომზადებამ. სწავლების საერთო ვადა - 8 წელი, უცვლელი დარჩა. გამონაკლისი არსებობს მეორე სპეციალობის სტუდენტებისათვის - მათთვის პირველი საფეხური ოთხწლიანია.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია მრავალი ახალი სასწავლო დისციპლინის სწავლება. მათი შემოღება განპირობებულია საბაზრო მეურნეობის პირობებში წარმოშობილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ნაწილის ახლებურად რეგულირების აუცილებლობით. ტრადიციული საგნები, ახალი კანონმდებლობის შემუშავების კვალობაზე, არსებითად შეიცვალა. შემოღებულია სავალდებულო და ასარჩევ საგანთა სწავლების სისტემა. სტუდენტი სწავლების პირველ საფეხურზე - თეორიული კურსის გავლისას სწავლობს ყველასათვის სავალდებულო საგანთა განსახლვრულ ოდენობას. ამასთან ერთად, სწავლების ოთხი წლის მანძილზე მას უფლება აქვს და ვალდებულიცაა რამდენიმე სპეციალიზაციის ციკლიდან წარმოდგენილი საგნები თვითონვე აირჩიოს და ჩააბაროს. ასეთთა ოდენობა შეიძლება ამით სტუდენტს შესაძლებლობა ექნება ფუნდამენტურ იურიდიულ განათლებას თავისი ინტერესების, მისწრაფებისა და მომავალი საქმიანობის სურვილის შესაბამისად შეუხამოს ვიწრო სპეციალობაც. ასეთი ნებაყოფლობითი, შინაგანი სპეციალიზაციის მიხედვით ხდება სწავლების მეხუთე წელს პრაქტიკებზე განაწილება. ისინი პრაქტიკა - სტაჟირებას გაივლიან ერთ ადგილზე - სამართალდამცავ ადმინისტრაციულ, საკანონმდებლო ორგანოებში და ცალკეულ კერძო სტრუქტურებში. პრაქტიკაზე



ხანგრძლივი პერიოდით ყოფნა ფორმალურ ხასიათს უკარგავს ამ ღონისძიებას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო გამოცდებზე გასვლის წინ მათ გამოცდები უნდა ჩააბარონ პრაქტიკის მასალებისა და დავალებათა პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებში. ასეთია, ძირითადად, ის შტრიხები, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე კადრების აღზრდის სფეროში რეფორმებს შეეხება. მუშავდება კონკრეტული ღონისძიებები იურიდიული განათლების სისტემის კიდევ უფრო სრულყოფისა და დახვეწისათვის.

- აქედან გამომდინარე, საინტერესოა პირადად თქვენი და მთლიანად ფაკულტეტის საბჭოს დამოკიდებულება აგრერივად მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლების მიმართ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აშკარად ვერ აკმაყოფილებს იურიდიული განათლებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს?

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, მიუხედავად მის წინაშე არსებული სიძნელებისა, შესწევს უნარი სრულად დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მოთხოვნა იურიდიულ კადრებზე. ასეთი მოთხოვნა დაახლოებით 350 სპეციალისტია, როცა იურიდიული ფაკულტეტი ყოველწლიურად 600-მდე იურისტს უშვებს. თუ ამას დაუმატებთ უნივერსიტეტის ახალციხის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და სიღნაღის ფილიალების მიერ მომზადებულ იურისტთა კადრებს, საკმაოდ შთამბეჭდავ ციფრს მივიღებთ. ამ ფონზე სახელმწიფოს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს ახალი უნივერსიტეტების გახსნისა და იქ იურიდიული ფაკულტეტების ფუნქციონირების თაობაზე. როგორც ცნობილია, აქამდე არსებულ ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებს მიემატა თელავისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტები, სადაც იურიდიული ფაკულტეტები არიან ყველაზე პრესტიჟული. თანაც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ არცერთ ამ უნივერსიტეტს არ გააჩნია საკმარისი სამეცნიერო – პედაგოგიური ბაზა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი თანამშრომელისა და თითო-ორი ადგილობრივი იურისტის დახმარებით ხდება იმ ფუნქციის შესრულება, რასაც თბილისის უნივერსიტეტი ძლივს აკეთებს. სასაცილოა პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და აგრარულ უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტების გახსნა. ეს ამ სფეროში სახელმწიფოს მიერ შეტანილ ქაოსზე მეტყველებს. კიდევ უფრო სარეასტულ სახეს ღებულობს საქართველოში კერძო უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მდგომარეობა. ასზე მეტი კომერციული სასწავლებელი “ამზადებს” იურისტთა კადრებს, მატერიალურ – ტექნიკური ბაზისა

და კვალიფიციურ პედაგოგთა გარეშე. რამდენჯერმე დაისვა საკითხი მათი აუცილებელი აკრედიტაციის შესახებ, მაგრამ წლების მანძილზე საქმე ადგილიდან არ იძვრის. ასეთი მდგომარეობა სახელმწიფოს მხრივ დანაშაულებრივი გულგრილობა და ინდიფერენტობია. ცოტა ხანში ალბათ ყოველი მეორე ახალგაზრდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იქნება. ეს ხომ საზოგადოების ფართო მასების შეცდომაში შეყვანაა და სახელმწიფოს მხრივ საკუთარი თავის აბუჩად აგდება.

- გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიმჩნეოდა ახალგაზრდა კადრების ლტოლვა პრაქტიკული საქმიანობისაკენ. თითქოს საფრთხე დაემუქრა მომავალი თაობის სამეცნიერო კორპუსის აღზრდას. კვლავ ხომ არ შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია?

- იურიდიული სამსახური ყოველთვის გამოირჩეოდა რომანტიულობით და საიღუმლო მოვლენებში წვდომის დაუოკებელი სურვილით. სიმართლისათვის ბრძოლა და ჭეშმარიტების დადგენის დიდი შესაძლებლობა, სხვა პროფესიებთან შედარებით, მეტად საინტერესოს ხდის იურისტის პრაქტიკულ საქმიანობას. ამის გამო, ბუნებრივია, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული უფრო მეტად მიილტვოდა პრაქტიკისაკენ, ვიდრე მეცნიერებისაკენ. შეიძლება ამაში იურისტის საზოგადოებრივი მდგომარეობაც იყო განმსაზღვრელი. იგი, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, მასწავლებელთან ან ბუღალტერთან შედარებით, უფრო მეტად იყო ყურადღების ცენტრში. მისი ყოფითი ინტერესები ადვილად კმაყოფილდებოდა. ამიტომ ამ ფონზე შეიქმნა წარმოდგენა, რომ მეცნიერებით ახალგაზრდა იურისტები არ ინტერესდებოდნენ. ამ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იმ დროით არა, როგორც გვგონია. ჯერ ერთი, მეცნიერებაში ახალგაზრდა სპეციალისტთა მონიღვა მკაცრად იყო შეზღუდული. ასპირანტურა მხოლოდ რჩეულთა და მეცნიერებით განსაკუთრებით დაინტერესებულთა ხვედრი იყო. მეორეც, ამ სურვილს ხშირად უნდა შეწირვოდა პირადი ცხოვრებაც, მეცნიერი მთელი ცხოვრების მანძილზე ელოდა ბინის მიღებას, ხელფასიც არ იყო ისე მომნიბვლელი. მთავარი იყო ენთუზიაზმი. ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად არც ამჟამადაა შეცვლილი. თუ მოსამართლეს 500 და 1 000, ხოლო სხვა მოხელეებს გაცილებით მეტი ექნებათ ხელფასი, სამართლის პროფესორს კი 65 ლარი, ლოგიკურია, რომ მეცნიერებისათვის კაცი თავს არ მოიკლავს. ამჟამად მეცნიერებისაკენ ახალგაზრდებს მხოლოდ ისლა უბიძგებს, რომ ასპირანტურაში სწავლა ან სამეცნიერო ხარისხის მაძიებლობის სტატუსი გამოიყენონ

იმისთვის, რათა საბოლოოდ პრაქტიკულ სტრუქტურებში დაიკავონ კარგი ხელფასიანი ადგილები და იბრძოლონ შემდგომი კარიერისათვის. ამისთვის ნოყიერი ნიადაგი საკმარის არის საქართველოში. თუმცა მეცნიერების ნამდვილ ტრფიალთა ნაკლებობა არც ადრე შეიმჩნეოდა და არც ახლაა თვალში საცემი.

- იურიდიულმა ფაკულტეტმა ივისრა კანონ-შემოქმედების საკმარის მიმე და საპატიო მისია და ღირსეულად გაართვა თავი ურთულეს საქმიანობას, რომლის შედეგად შემუშავდა და შემდგომ პარლამენტმა მიიღო უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები. თქვენ ხომ არ დააკონკრეტებდით დეტალებს ამის შესახებ?

- იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კანონშემოქმედებით საქმიანობაში. არ ყოფილა რაიმე უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი, რომლის შემუშავებაში მათ არ მიეღოთ მონაწილეობა. ამ მხრივ საკმარისია აღვნიშნოთ საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, საპროცესო კოდექსები, ორგანული კანონები და სხვა აქტები. უფრო მეტიც, კოდექსების შემუშავებელი სამთავრობო კომისიების თავმჯდომარეობა მეცნიერ - იურისტებს ევალებოდათ (პროფ. ს. ჯორბენაძე, პროფ. გ. ტყეშელიაძე, პროფ. ვ. ლორია, პროფ. ა. ფალიაშვილი, პროფ. ლ. ჭანტურია და სხვ.). თითქმის მთელი ფაკულტეტია ჩართული ამ საქმიანობაში. მათი დასკვნები, კათედრების მიერ ჩატარებული ექსპერტიზები და კონკრეტული წინადადებები ამა თუ იმ აქტის მიღების აუცილებლობის ან სრულყოფის მიზნით, ამ მხრივ საქართველოში გაწეული საქმიანობის სრულყოფილებისა და ხარისხის ამაღლების გარანტიაა.

- ფასიანი სწავლების ადვილი და როლი იურიდიული განათლების სისტემაში საერთოდ, და კერძოდ უნივერსიტეტში?

- საქართველოში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რაც, უპირველეს ყოვლისა, საბიუჯეტო დაფინანსების მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა, უარყოფითად იმოქმედა უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ ბაზაზე. ამიტომ ისინი იძულებულნი ხდებიან დასაშვებ ფარგლებში მიმართონ თავიანთი საქმიანობის კომერციალიზაციას. უნივერსიტეტშიც დამკვიდრდა ფასიანი სწავლების ფორმა. იურიდიული ფაკულტეტი ამ მხრივ გამონაკლისი არაა. სტუდენტთა უმეტესობა, როგორც აღინიშნა, სწავლის საფასურს იხდის. მართალია უფასო და ფასიან ფორმებს შორის ოფიციალურად, ფასის გარდა, სხვაობა არ არის, მაგრამ ეს თავის

უარყოფით დაღს ასვამს საერთოდ იურიდიული განათლების სრულყოფის საკითხებს. რადგან ფასიანი სწავლების ფორმის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ფორმირება - სპეცსახსრების სახით, ამიტომ იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტი შემოვიდეს ამ გზით. ეს ხდება ორი გზით - ფასების ზრდით და სტუდენტთა კონტიგენტის მეტი ოდენობით მოზიდვით. ფასები სახელმწიფოში არსებულ რეალობას არ ასახავს. ხელფასებისა და პენსიების დავალიანების ახლანდელი დონის პირობებში საშუალოდ ათასი ლარის გადახდა წელიწადში აბსოლუტური უმეტესობისათვის ხელმიუწვდომელი ფუფუნებაა. ამიტომ ფართო შესაძლებლობები იქმნება იმ პირობების, რომელთა ოჯახებს კანონიერი თუ უკანონო გზით ასეთი სახსრების გადახდა ხელეწიფებათ. გარდა ამისა, ფასიანი სწავლების კონტიგენტის გაზრდა საფასურის მეტი ოდენობით მიღების მიზნით მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლების ხარისხს და იქმნება რეალური საფუძველი ასეთ სტუდენტთა განთესვის თავიდან ასაცილებელი შეღავათების დამკვიდრებისათვის. სტუდენტთა კონტიგენტის სიმრავლე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებში არავითარ შემთხვევაში არ შედის. მაგრამ სახელმწიფო ასეთ შემთხვევაში თვალს ხუჭავს თავისი ეკონომიკური სისუსტის გამო. ნორმალურ პირობებში, რაც ღვეს სახელმწიფოს იურისტთა კადრები ჭირდება, შეიძლება მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ მომზადდეს (სხვაგან არცაა მათი მომზადების პირობები). შესაძლებელია ერთი ან ორი კომერციული ალტერნატიული სასწავლებელიც ყოფილიყო შენარჩუნებული. მაგრამ რეალურად ასჯერ მეტი იურისტის დიპლომი გაიცემა ყოველწლიურად საქართველოში, ვიდრე ეს საჭიროა. ამიტომ გადაუღებელი აუცილებლობა ამ სფეროში წესრიგის დამყარება.

- როგორ ხდება კადრების შერჩევის სისტემის გაუმჯობესება და აუცილებელია თუ არა მისაღებ გამოცდებზე ობიექტურობა?


- ფასიანი სწავლების ფორმა უშუალო კავშირშია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა კონტიგენტის პრობლემებთან. ფასიანი სწავლების ფორმაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შეღავათურად ხდება. ძირითადად, ერთ საგანს - სპეციალობას და ისიც ტესტირებით და არა სერიოზული გამოცდით - აბარებენ მისაღებ გამოცდებზე. ეს იმიტომ, რომ აბიტურიენტთა მეტი რაოდენობა მიიზიდონ ჩასარიცხად. მისაღები გამოცდების პირობების ოდნავი გართულება სერიოზულად ამცირებს ჩარიცხვის მსურველთა რიცხვს. საბოლოოდ, კონტიგენტი, მართალია, კომ-

პლექტდება, მაგრამ შერჩევის ნაკლები შესაძლებლობაა. ჩარიცხულთა აბსოლუტური უმრავლესობა საშუალო დონისაა. ასეთი კონტიგენტიდან მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების ნაკლები ალბათობაა. უფრო მეტიც, მეორე სპეციალობაზე უმაღლეს დამთავრებულ მსურველთა ჩარიცხვა საერთოდ უგამოცდოდ ხდება – ზოგადი გასაუბრების საფუძველზე. ვინც სურვილს გამოთქვამს და სწავლის საფასურის გადახდის საშუალება აქვს, სტუდენტი ხდება. აქ, ფაქტობრივად, შერჩევა არ ხდება. ბუნებრივია ასეთი წესით იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხულ პირებს კვალიფიციური ცოდნის მიღების სურვილი ნაკლებად აქვთ. მათთვის მთავარია საშუალო სპეციალისტობა და სამსახურებრივი კიბის უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომის წარდგენა. საბოლოოდ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მაღალ ხარისხზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დასწრებული განყოფილების უფასო სწავლების ფორმაზე, რომლის დაკომპლექტების გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობები არსებობს კონტიგენტის შესარჩევად, თუმცა მისაღები გამოცდების დღეს არსებული სისტემა და წესი არსებითად შესაცვლელია. ამ ფორმაზე მიღებული სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მაღალი დონისაა, საერთო განათლებით, კულტურით, ენების ცოდნით და თავიანთი მრწამსით. ისინი არც ერთი ევროპული ან ამერიკული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების დონეს არ ჩამოუვარდებიან. ასეთი სტუდენტების სიმრავლე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოში არსებული არასახარბიელო რეალური მდგომარეობის გამოსწორებაზე და მათი მაღალკვალიფიციურ კადრებად აღზრდისათვის აუცილებელი ღონისძიების განხორციელებაზე.

- როგორია სამომავლო გეგმები?

- იურიდიული განათლების სფეროში საქართვე-

ლოში შექმნილი მდგომარეობა საჭიროებს ღრმა შესწავლასა და რეფორმირებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი საფუძველად უნდა დაედოს რეფორმების შემდგომ სტადიას. ამისათვის აუცილებელია შემუშავდეს კანონპროექტი იურიდიული განათლების შესახებ. მუშაობა ამ მხრივ უკვე მიმდინარეობს. იუსტიციის სამინისტროსა და იურიდიული ფაკულტეტის მიერ გარკვეული ღონისძიებების განხორციელება უახლოეს მომავალშია დაგეგმილი. კანონპროექტის მომზადებაში ჯერჯერობით ჩართულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის ექსპერტები. მათთან მუშა შეხვედრები რამდენჯერმე ჩატარდა. შემუშავებულია რეკომენდაციათა ერთი ნაწილი, რომელთა დეტალური შესწავლა მიმდინარეობს. ვცდილობთ კანონმა სრულყოფილების ის სახე შეიძინოს, რაც სავსებით საკმარისი იქნება ყველა იმ საკითხის მოსაწესრიგებლად, რაც იურიდიულ განათლებასთან იქნება დაკავშირებული. მანამდე კი იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსა და დეკანატის უპირველესი ამოცანები იქნება: სასწავლო პროგრამებისა და მეთოდური მასალების სრულყოფა, სასწავლო პროცესის დახვეწა, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო ლიტერატურის განახლება და იმ საგნების შექმნა, რომლებიც ჯერჯერობით არ შექმნილა უახლესი საკანონმდებლო აქტების მიღების პროცესის გაგრძელების გამო, ნორმატიული მასალის კომენტარების სამუშაოთა ფართოდ წარმოება, სამეცნიერო – კვლევითი თემატიკის დახვეწა და მისი დაკავშირება სამართლებრივი რეფორმის პრობლემატიკასთან, კანონშემოქმედებით საქმიანობაში კვლავაც აქტიური მონაწილეობის მიღება და სხვ. იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობის ეს ძირითადი მიმართულებანი გარკვეულ ნოყიერ წინაპირობას შექმნის იურიდიული განათლების სფეროს სახელმწიფოებრივი მოწესრიგებისათვის.



სასამართლო რეფორმა - სრულყოფის გზები

ევა გოცირიძე

ლიჩხულებათა აღიარებდან მათ ჩაალურ დაქვიდრებაზე

ყოველგვარი რეფორმა სიახლეებს უკავშირდება. სასამართლო რეფორმის ის მიმართულება, რომელიც განეკუთვნება სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინის სფეროს, უზვად მოიცავს ახალ კომპონენტებს – ესენია ახალი ცნებები, იდეები, კატეგორიები, სტანდარტები, განზომილებანი; მაგრამ, უმთავრესი, რა თქმა უნდა, მაინც ის ახალი სამართლებრივი ღირებულებებია, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას უკავშირდება და რომელთა უზრუნველყოფაც მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებშია შესაძლებელი. სწორედ ამ ახალ ღირებულებათა აღიარებას, მათ სისტემურ გააზრებასა და ცხოვრებაში დამკვიდრებას შეეხება სამი დოკუმენტი, რომლებიც საქართველოს იუსტიციის საბჭოში შემუშავდა. ეს დოკუმენტები ერთი სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი და ღირებულებათა ერთნაირ სისტემას ამკვიდრებენ. ესენია: კონცეფცია სასამართლოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ; სამოსამართლო ეთიკის კოდექსი და კანონპროექტი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ.“

საკითხები, რომელთაც ეს დოკუმენტები შეეხება, სასამართლო რეფორმის ფუნდამენტური საკითხებია, რომლებიც რეფორმის საერთო ორიენტაციასა და მიმართულებას განსაზღვრავენ და, ამავე დროს, ლოგიკურად მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. კერძოდ, პირველი – კონცეფცია სასამართლოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ – განსაზღვრავს, თუ რას უნდა ემსახურობოდეს სასამართლო, რა ღირებულებებს უნდა ამკვიდრებდეს

ცხოვრებაში, როგორი უნდა იყოს იდეალური სასამართლო და მართლმსაჯულება. მეორე – სასამართლო ეთიკის კოდექსი – განსაზღვრავს, თუ ქცევის რა წესები უნდა დაიცვას მოსამართლემ იმისათვის, რომ იყოს იდეალური, ანუ ისეთი, რომ შეესაბამებოდეს იდეალურ მართლმსაჯულებას, ხელს უწყობდეს იდეალური მართლმსაჯულების რეალურ დამკვიდრებას ცხოვრებაში. მესამე კი – კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ – არეგულირებს, თუ როგორ უნდა დავიცვათ მართლმსაჯულების ინტერესები და ადამიანის უფლებები, მოსამართლის მხრიდან სამოსამართლო ეთიკის კოდექსით დაწესებული შეზღუდვების შესაძლო დაუცველობის შემთხვევაში, რა სანქციები უნდა განხორციელდეს მათ წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ, ლოგიკური სამკუთხედი შეიქმნა.

ახლა, უფრო კონკრეტულად მათ შესახებ:

რა არის სასამართლოს მისია? ვფიქრობ, რომ მისი გაცნობიერება და გათავისება მართლ მოსამართლეებს კი არ ესაჭიროებათ, არამედ საზოგადოების თითოეულ წევრსაც. გათავაზობთ ციტირებას იუსტიციის საბჭოს ოფიციალური დოკუმენტიდან – სასამართლო რეფორმის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, რომელიც მსოფლიო ბანკისათვის მომზადდა რეფორმის დაფინანსების სათანადოდ დასაბუთებისათვის:

სასამართლოს მისიაა ამკვიდრებდეს სამართლის უზენაესობას ქვეყანაში, განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებით ხელს უწყობდეს საზოგადოებაში სტაბილურობისა და ჰარმონიის დამკვიდრებას, ემსახურებოდეს ხალხს, ითვალისწინებდეს მის ინტერესებსა და



საჭიროებებს, ქმნიდეს რწმენას არსებული სამართლებრივი სისტემის სამართლიანობისადმი.

როგორი უნდა იყოს მართლმსაჯულება? ჩვენ მიგვაჩნია, რომ მას შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს (ყურადღება მიაქციეთ თანმიმდევრობასაც):

მართლმსაჯულება უნდა იყოს:

- სამართლიანი;
- დამოუკიდებელი;
- მიუკერძოებელი;
- კვალიფიციური;
- ხელმისაწვდომი;
- სწრაფი;
- ეფექტიანი;
- ადვილად სავარაუდო;
- იაფი.

როგორი უნდა იყოს თავად სასამართლო ხელისუფლება?

- ძლიერი და ჯანსაღი;
- პერსონალურად და ინსტიტუციურად დამოუკიდებელი;
- კომპეტენტური და უმწიკვლო;
- პრესტიჟული და ავტორიტეტული;
- ხალხის ნდობით აღჭურვილი.

როგორია ღირებულებათა სკალა? შემდეგნაირი:

- საზოგადოებრივი კეთილდღეობა;
- სამართლის უზენაესობა;
- სამართლიანი სამართლებრივი სისტემა;
- ძლიერი, ჯანსაღი სასამართლო ხელისუფლება;
- დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კვალიფიციური მართლმსაჯულება;
- ხალხის რწმენა სამართლებრივი სისტემის სამართლიანობისადმი.

თითოეული კომპონენტი, რომელსაც შევხებით, უგრცელესი თემა და ცალკე დისკუსიების საგანია, ამჯერად მათზე არ შევჩერდები, ხაზგასმით კი იმას აღვნიშნავ, რომ ამ დოკუმენტით განისაზღვრა სასამართლო რეფორმის საბოლოო მიზანი, რომლისკენაც ჩვენმა საზოგადოებამ მყარი და თანაბარაჩქარებული სვლით უნდა იაროს.

ამ მიმართულებით სვლის დროს გზის აუცილებელი გასავლელი მონაკვეთია სამოსამართლო ეთიკის ნორმების შემუშავება და დანერგვა. ეთიკის გარეშე შეუძლებელია სიკეთისა და სამართლიანობის დამკვიდრება. ძველი ბერძნები ამბობდნენ, რომ ეთიკა არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეს ადამიანი, რომ ბედნიერი იყოს, გაარჩიოს, რა არის სიკეთე და ბოროტება, სათნოება და მანკიერება.

ეთიკა, მათ შორის სამოსამართლო ეთიკა, განეკუთვნება **დეონტოლოგიის** სფეროს, ე.ი. ჯერარსობის სფეროს. როგორც კანტი იტყოდა, ის

განსაზღვრავს ჯერარსს, ანუ იმას კი არა, რაც არის, არამედ იმას, რაც უნდა იყოს. სამოსამართლო ეთიკა, შესაბამისად, ეთიკური ნორმების ერთობლიობაა, მოსამართლისათვის აწესებს ქცევის ნორმებსა და სტანდარტებს, რომელიც მოსამართლემ უნდა დაიცვას, როგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს, ისე პირადად ცხოვრებაში, რათა ემსახუროს სიმართლესა და სამართლიანობას, არ დაუშვას მართლმსაჯულების დისკრედიტაცია და არ შებღალოს მოსამართლის მაღალი ღირსება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოსამართლო ეთიკის როლი სამართლიანობის უზრუნველყოფაში. ეთიკა საერთოდ არ მოიაზრება სამართლიანობის გარეშე. სამართლიანობა ეთიკის კატეგორიაა. ძველი ბერძნები ამბობდნენ, რომ ეთიკის ობიექტური საფუძველი არის “სამართლიანობა”. ბუნებრივია, რომ ასმაგ დატვირთვას იძენს “სამართლიანობა” სამოსამართლო ეთიკასთან მიმართებაში. თუ ჩვენ სამოსამართლო ეთიკის კოდექსის სისტემას გადავხედავთ, ის სწორედ ამ ღირებულებების გარშემო ყალიბდება. “სამართლიანობა” აქ ცენტრალური ღირებულებაა. კოდექსში არის მთელი წყება აურძლებებისა თუ რეკომენდაციებისა საიმისოდ, თუ როგორ უზრუნველყოს მოსამართლემ სამართლიანი მართლმსაჯულება, ობიექტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მსაჯულება და, ამასთანავე, ისიც, თუ როგორ უზრუნველყოს მან, რომ არამართო იყოს სამართლიანი, არამედ ხალხსაც შეუქმნას რწმენა მართლმსაჯულების სამართლიანობისადმი.

მრავლისმეტყველია ის, რომ სამოსამართლო ეთიკის კოდექსი არ არის კანონი, ანუ იურიდიულად სავალდებულო. მისი ნორმები მხოლოდ ზნეობრივად ავალდებულებს მოსამართლეს. სწორედ ეს არის სამოსამართლო ეთიკის ბუნება. ეთიკა არ არის სამართალი, რომელიც სახელმწიფოებრივი იძულების მექანიზმების გამოყენებას გულისხმობს; თუმცა არც ძალიან შორსაა სამართლისაგან. ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ეთიკას განიხილავდნენ, როგორც ერთდროულად ზნეობრივ და სამართლებრივ კატეგორიას. არისტოტელემ ეთიკას ადგილი მიუჩინა სამართალსა და ზნეობას შორის. ის ეთიკას უწოდებდა “ბედნიერებისა” და “მოვალეობის” სინთეზს, რომელიც ეფუძნება ნების თავისუფლებას. ჩვენც ასეთ შინაარსს ვანიჭებთ სამოსამართლო ეთიკას და მიგვაჩნია, რომ ყველანაირ მოთხოვნას, რაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარეობს, მოსამართლე უნდა იცავდეს არა კანონის წინაშე შიშის გამო, არამედ შეგნებულად და ნებაყოფლობით, სამოსამართლო ეთიკის მოთხოვნებთან შინაგანი თანხმობისა და პროფესიული

თავმოყვარეობის გამო. ეს არის ჩვენი პრინციპული დამოკიდებულება და საგანთა ხედვა. მიგვაჩნია, რომ სამართლებრივი სახელმწიფო მხოლოდ ასეთი შეგნებისა და პასუხისმგებლობის უნარიან მოსამართლეს იგუებს. გათვალისწინებულია, რომ კოდექსი უნდა მიიღოს მოსამართლეთა კონფერენციამ და ამის მერე გახდება ის მოსამართლისათვის სავალდებულო.

კოდექსი უკვე მოიწონა საქართველოს იუსტიციის საბჭომ, გაგზავნილი იყო ექსპერტინაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მას მაღალი შეფასება მისცეს, როგორც სამოსამართლო დონტოლოგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს საზოგადოდ და, განსაკუთრებით, ახალი დემოკრატიის ქვეყნებში შემუშავებულ ანალოგიურ დოკუმენტთა შორის.


ამავე დროს, ის გარემოება, რომ სამოსამართლო ეთიკის კოდექსი გარკვეული ქცევის წესების დაცვას მხოლოდ ზნეობრივად ავალდებულებს მოსამართლეს, სრულიად არ გულისხმობს იმას, რომ მათი დარღვევა ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩება, რომ თითქოს არავის აქვს უფლება, პასუხი მოსთხოვოს მოსამართლეს. სწორედ აქ იწყება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სფერო და იმ მესამე დოკუმენტის მნიშვნელობა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ვგულისხმობ, საბჭოში შემუშავებულ კანონპროექტს “მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ”.

სამართლიანობა და სხვა ზემოხსენებული ღირებულებანი, რომლებიც პირველი დოკუმენტით – სასამართლოს მისიის, ხედვის და ღირებულების შესახებ კონცეფციით – აღიარებული და დეკლარირებულია, ხოლო მეორე დოკუმენტით – სამოსამართლო ეთიკის კოდექსით – მათი ხელყოფისათვის მოსამართლეზე მორალური პასუხისმგებლობა დაკისრებული, მესამე დოკუმენტით – კანონპროექტით მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ – უკვე იურიდიულად არის დაცული: დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია ყველანაირი ქმედება, რომელიც სამართლიანი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ინტერესებს აგდებს საფრთხეში. მაგალითად, დისციპლინური გადაცდომის სახეებია: კანონის დარღვევა საქმის განხილვის დროს; კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება მართლმსაჯულების ინტერესების საზიანოდ; სამოსამართლო მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა; მოსამართლის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს და ზიანს

აყენებს სასამართლოსადმი ხალხის ნდობას; საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურება: სამოსამართლო მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და სხვა. პასუხისმგებლობის თითოეული საფუძველი სამოსამართლო ეთიკის შესაბამისი ნორმების მოთხოვნათა დარღვევას გულისხმობს. მაგალითად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა საქმის განხილვის დროს დაშვებული კანონის უხეში დარღვევა. ის გამოძინარეობს და ასახავს სამოსამართლო ეთიკურ ნორმას, რომ მოსამართლემ განუხრელად უნდა დაიცვას კანონი და იყოს მისი ერთგული, დისციპლინურ დარღვევათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დარღვევა სამოსამართლო ეთიკის ნორმებისა, რომელიც თავისი სერიოზულობისა თუ მძიმე შედეგის გამო, რომელიც მან გამოიწვია ან შეიძლებოდა გამოეწვია (განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით), იმსახურებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

საგულისხმოა, რომ დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი სახეა თანამდებობიდან გათავისუფლება. სისტემის ეფექტიანობისა და ქმედითობის ხელშემწყობი მექანიზმია, აგრეთვე, წესი, რომლის მიხედვით, თუ მოსამართლის მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის, მას ეზღუდება დაწინაურებისა და მაღალი საკლასო ჩინის მიღების უფლება, ხოლო თუ ამ პერიოდში ახალ დისციპლინურ გადაცდომას ჩაიდენს, სადისციპლინო კოლეგია ვალდებულია უფრო მაკარი დისციპლინური სახდელი გამოიყენოს. მაგალითად, თუ დაკისრებული ჰქონდა საყვედური – გამოიყენოს მაკარი საყვედური. ან: თუ დაკისრებული ჰქონდა მაკარი საყვედური, იმსჯელოს მის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე. ასეთი სისტემა, ვფიქრობთ, მოემსახურება სასამართლო ხელისუფლებისაგან ისეთი მოსამართლეების ჩამოცილებას, რომლებიც არ დგანან სამოსამართლო ეთიკის მოთხოვნათა დაცვის სიმაღლეზე, სამოსამართლო მოვალეობებს ვერ ასრულებენ ჯეროვნად, ღირსეულად და არ შეეფერებიან მოსამართლის მაღალ წოდებას. ამით განხორციელდება პრინციპი (ნიკოლაი ბერდიაევი მას ყველა ეპოქისა თუ ადამიანისათვის მისაღებ პრინციპს უწოდებდა), რომ ხელისუფლება მხოლოდ საუკეთესოებს უნდა ეკუთვნოდეთ.

როგორც ვხედავთ, ამ კანონპროექტით შეიქმნა მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის სისტემა. ამ საკითხზე ფიქრისას მთავარი ამოცანა იყო ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა სასამართლოს საქმიანობაზე კონ-




ტროლის განხორციელებას, მათ ანგარიშვალდებულებას და, ამავე დროს, შეინარჩუნებდა უმთავრეს ღირებულებებს – სასამართლოს დამოუკიდებლობას. ამისათვის დავეყრდნით სამართლებრივ სახელმწიფოებში აღიარებულ და დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის მიხედვით მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა ხორციელდებოდეს სასამართლო ხელისუფლების შიგნით, რომ მხოლოდ მოსამართლეს აქვს უფლება მეორე მოსამართლეს მოსთხოვოს პასუხი და დასაჯოს ის დისციპლინური დარღვევისათვის. მოსამართლეთა დისციპლინურ დარღვევებს განიხილავენ მოსამართლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული მოსამართლეთა დისციპლინური კოლეგიები. ამით შეინარჩუნებულია სასამართლოს კონსტიტუციური დამოუკიდებლობა სხვა განუყოფლობისაგან. მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი კონტროლი და კონტროლი სხვა განუყოფლობის მხრიდან: პარიტეტულ საწყისებზე შექმნილ იუსტიციის საბჭოებს, რომლებიც სასამართლოსთან ერთად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასაც წარმოადგენენ, აქვთ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის უფლება, ხოლო მოქალაქის საჩივარი თუ განცხადება საკმარისი საფუძველია მოსამართლის მიმართ დევნის აღძვრის საფუძვლიანობის აუცილებელი შემოწმებისათვის.

კანონპროექტი ჯერ პარლამენტს არ განუხილავს და მასში მრავალი ცვლილებაა მოსალოდნელი, ფუნდამენტურ საკითხებზე კონსენსუსი, ალბათ, ადვილად იქნება მიღწეული. მთავარია, რომ ღირებულებათა აღიარებას, ცხოვრებაში მათი რეალური დამკვიდრება მოჰყვეს. იმ ახალ სამართლებრივ ღირებულებათა დეკლარირება, რითაც უხვად

არის გაჯერებული ზემოაღნიშნული კონცეფცია სასამართლოს მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ, სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, კანონპროექტი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ თუ მოსამართლის ფიცის ტექსტი, მხოლოდ პოლიტიკური დასავლეთისთვის ჩვენი იდეოლოგიის საიმედოების ფორმალურ მტკიცებას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ რეალურად უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი ღირსებისა და თავმოყვარეობის, პარტნიორული საიმედოობის ნამდვილი გარანტი. ღირებულებათა აღიარება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ საქმით თუ არ ვუერთგულებთ, რეალური წინსვლის საწინდარი ის ვერასოდეს გახდება. ღირებულებათა დამკვიდრების საქმეში კი, განუზომელია მოსამართლის როლი, დანიშნულება და შესაბამისი პასუხისმგებლობა. ისევ არისტოტელე გავიხსენოთ: ის ამბობდა, რომ ეთიკა ხელს უწყობს სიკეთის მქმნელი მოქალაქეების ჩამოყალიბებას. თუ ამას სამოსამართლო ეთიკის ჭრილში განვიხილავთ, შეგვიძლია ვთქვათ: სამოსამართლო ეთიკა ხელს უწყობს სიკეთისა და სამართლის მქმნელი მოსამართლეების ჩამოყალიბებას. ეს თუ ასეა, მაშინ ვიქონიოთ რწმენა თუ არა, იმის იმედი მაინც, რომ საქართველოს მოსამართლენი იქნებიან სიმართლისა და სამართლიანობის მსახურნი, როგორც ამას სამოსამართლო ეთიკა და სამოსამართლო ფიცი ავალდებულებთ და თავიანთ წვლილს შეიტანენ სამართლებრივ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

ევა გოცირიძე,
საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



იური გაბისონია

საგამოძიებო კოლეგიის ინსტიტუციურ-კომპეტენციური და ორგანიზაციული სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი (თეორია, კანონმდებლობა, პრაქტიკა)


1. შესავალი. დანაშაულთა გამოვლინების, გახსნისა და გამოძიების (მოკვლევითურთ, რომელიც ამიერიდან გამოძიების თავდაპირველი ეტაპია – კანონით განსაზღვრულ თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებათა ერთობლიობაა – იხ. სსსკ-ის 44-ე, 65-66-ე, 270-ე მუხლები), ფუნქციონირება, ამ სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის რიგ ცნობილ სპეციფიკურ სირთულეთა გამო, იმთავითვე შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფის ან სხვაგვარი შეზღუდვის საფრთხეს, ამასთან, მოსალოდნელობის მაღალი ხარისხით. ამიტაც არის პირობადებული ამ საქმიანობის (ანუ, როგორც მათ ერთობლიობაში უწოდებენ, დამნაშავეობასთან ბრძოლის) სოციალური კონტროლის განშტოებული სისტემის, – სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების, – არსებობა ცივილიზებულ სახელმწიფოებში.

2. კონტროლის პრობლემა და “ჰაბეას კორპუსის” პრინციპის დაფუძნება. სახელმწიფო კონტროლის სისტემაში შიდასაუწყებო კონტროლის არაეფექტიანობა საზოგადოდ ცნობილი და აღიარებულია. განსახილველ სფეროში გაცილებით ეფექტიანია საპროკურორო კონტროლი (“ხედამხედველობის” ან/და “საპროცესო ხელმძღვანელობის” ფორმით¹), რომელიც 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე ჩვენში “გარეშე” (არასაუწყებო)

კონტროლის ერთადერთ და საბოლოო ინსტანციად რჩებოდა. კონსტიტუციამ გამოაცხადა რა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, რომლებითაც, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით, შეზღუდულნი არიან თვით ხალხი და სახელმწიფოც (მუხ. 7), ცალსახად დანერგა “ჰაბეას კორპუსის” ცნობილი პრინციპი: დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული ნებისმიერი პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს (მუხ. 18). ამგვარად, დაწესდა ამ საქმიანობის უმაღლესი – სასამართლო კონტროლი, რომელმაც ასახვა პოვა საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანულ კანონში “პროკურატურის შესახებ”². კერძოდ, 52-ე მუხლში (“სასამართლო კონტროლი”) მითითებულია, რომ “პროკურატურის მიერ იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების (სიტყვა “საპროცესოს” წინ უნდა ჩაემატოს სიტყვა “სხვა”, რადგან საგამოძიებო მოქმედება სწორედ ტიპური საპროცესო მოქმედებაა. – ი.გ.) ჩატარება, რომლებიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, დაიშვება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით,

¹ ამ ფორმათა ურთიერთმიმართების შესახებ დაწვრილებით იხილეთ ჩემი მონოგრაფია: „პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით სამართლებრივი გამოკვლევა)“, გამომც. „ფაფორიტი“ თბ., 1999. გვ.263-271.

² საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ (სამენოვანი გამოცემა), თბ.; გამ. „სამართალი“, 1998.



კანონმდებლობით დადგენილი წესით". ეს წესი კი საკმაოდ დეტალურადაა დადგენილი 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული და მიმდინარე წლის 15 მაისიდან ძალმოსილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (ძირითადად, მეოთხე კარით – "სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება". ამგვარად, გამოძიების სტადიაზე ამჟამად მოქმედებს სამმაგი კონტროლის (საუწყებო, საპროკურორო, სასამართლო) სისტემა, რომლის მიზანშეწონილობა (საჭიროება) ლიტერატურაში ახრთა მკვეთრ, ხშირად რადიკალურ სხვაობას იწვევს³. ვფიქრობ, უფრო კონსტრუქციულია კონტროლის აღნიშნულ ფორმათა ოპტიმალური შერწყმა, მათი ეფექტიანი თანამშრომლობა ქვეყანაში სამართლიანობის მიღწევის, კანონიერების რეჟიმის განმტკიცების საქმეში⁴.

3. სასამართლო კონტროლის ინსტანციურობის შესახებ. გამოძიების (მოკვლევითურთ) და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პროცესში, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში სასამართლო კონტროლი შედგება წინმსწრები (სანებართვო) და შემდგომი ("დაკანონება") კონტროლის ერთობლიობისაგან. ამასთან, კონტროლს ჩვენში ახორციელებენ სამივე საფეხურის საერთო სასამართლოები:

ა) რაიონული (საქალაქო) სასამართლოები – როგორც ძირითადი რგოლი, ოღონდ ამ ფუნქციის შეთავსების წესით⁵;

³ კერძოდ, ერთნი მიუთითებენ, რომ სასამართლო კონტროლი შეზღუდულია და იგი მხოლოდ ავსებს საპროკურორო ზედამხედველობას. (იხ. მაგალითად: А. Б. Бойков, Третья власть в России, М., 1997, стр. 224-227; Прокуратура Российской Федерации (Концепция развития на переходный период). М., 1994, стр. 37, 45-56), მეორენი კი მიიჩნევენ, რომ 'კარგად დაყენებული სასამართლო კონტროლისას საპროკურორო ზედამხედველობა ზედმეტი ხდება' (И. Л. Петрухин. Частная жизнь (правовые аспекты.) «Государство и право», 1999, №1, стр. 72.).

⁴ ამდენად, გასაზიარებელია გერმანიის ფედერალური სასამართლოს მოსამართლის ხარტმუტ ზორტკოტის შემდეგი ფორმულა: "სასამართლოები და პროკურატურა... თანაბარ საწყისებზე უნდა ეჯიბრობდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ რა მიაღწიონ სამართლიანობას" (იხ. Х. Хорсткот. Взаимоотношения между прокуратурой и системой судопроизводства // Прокуратура в правовом государстве, М, 1997, стр. 23).

⁵ ლიტერატურაში სადააო საკითხი, თუ რა არის ეს საქმიანობა – მართლმსაჯულების განხორციელება თუ სასამართლოს სხვა სპეციფიკური საქმიანობა (იხ. В. Бозров, Контрольная функция суда. «Российская юстиция», 1996, №11, стр. 41-42). ად. ბოიკოვს მიაჩნია, რომ ეს არის სუბსიდიური ფუნქცია, რომელსაც სასამართლო ახორციელებს ძირითად (მთავარ) ფუნქციასთან – მართლმსაჯულებასთან ერთად (იხ. ა. ბოიკოვის დასახელებული მონოგრაფია, გვ. 226). აღნიშნულ და ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის სხვა პრობლემატიკის თაობაზე უფრო ვრცლად იხილეთ „Судебный контроль и права человека“ (материалы Российско-Британского семинара, М., 12-13 сентября 1994 г.) Под ред. В. М. Савицкого, М., «Права человека», 1996).

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიები – როგორც მეორე ინსტანციის სასამართლოების (გამონაკლისზე იხ. ქვემოთ) ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთათვის სასამართლო კონტროლის განხორციელება ერთადერთი ფუნქციაა;

გ) საქართველოს უზენაესი სასამართლო – საგამონაკლისო შემთხვევებში (რასაც ჯერჯერობით ერთადერთ კრიტერიუმად უდევს როგორც სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებში ჩამოთვლილ სპეციფიკურ სუბიექტთა ანუ პერსონალურობის, ისე განსჯადობის საგნობრივი (გვარეობითი) პრინციპი (დანაშაულებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ 65-73-ე, აგრეთვე, 2000 წლის 15 თებერვლამდე – 104-ე და 209-ე მუხლებით). ამასთან, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კოლეგიურ ორგანოში – ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მუხ. 243). ცხადია, ორივე ინსტანცია ამ სფეროში საქმიანობას ახორციელებს ფუნქციათა შეთავსების ზემოხსენებული წესით⁶.

4. ამ სფეროში კონტროლის ზოგიერთი კონცეპტუალური საფუძვლის შესახებ. ზემოაღნიშნული საქმიანობის სასამართლო კონტროლის ინსტიტუტი უცნობი იყო სოციალისტური სამართლებრივი სისტემისათვის – იგი ჩვენში ბოლო წლებში გატარებული სასამართლო-სამართლებრივი რეფორმის პირმოაა. ამდენად, ეს "ბურჟუაზიული" ინსტიტუტი სოციალისტური ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში ფაქტობრივად არ ყოფილა მეცნიერული კვლევის საგანი, რაც, ცხადია, დიდწილად განაპირობებს ამ ინსტიტუტის "სიმყიფეს" და, შესაბამისად, მის პერმანენტულ მოდერნიზებას ახალ საპროცესო კოდექსში. ამასთან, შედარებით კონსერვატიულია მისი ისეთი კონცეპტუალური პრინციპები (საფუძვლები), როგორიცაა:

ა) გარდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისა, ყველა სხვა სასამართლო რგოლი საჩივარს თუ შუამდგომლობას

⁶ თუ რამდენად მართებულია ერთიდაიმავე სასამართლოს (თუნდაც – უზენაესის) „ორინსტანციურობა“, ეს სხვა საკითხია, რომელზეც ამჯერად არ შევჩერდები.



იხილავს ერთპიროვნულად;

ბ) ყველა რგოლში საქმის განხილვა ხდება დახურულ სასამართლო სხდომაზე;

გ) მოსამართლე (სასამართლო) არ წყვეტს ბრალეულობის საკითხს;

დ) განხილვა მიმდინარეობს დაჩქარებულად, შეკვეცილი (გამარტივებული) პროცედურით;

ე) გადაწყვეტილება ძალაშია მიღებისთანავე. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს ამგვარ განხილვათა გარკვეულ “მინისასამართლო” თუ “კვანისასამართლო” ხასიათზე, რაც გამოწვეულია ადამიანის დაკავების, მის მიმართ აღკვეთის ან სხვა საპროცესო იძულების ღონისძიებათა შეფარდების სპეციფიკით, მისი “ექსტრემალური” ხასიათით⁷.

5. განსახილველ სფეროში სასამართლო კონტროლის ინსტიტუციური არსი, მიუხედავად “რაოდენობრივად” მისი ფუნქციურ-კომპეტენციური შეზღუდულობისა (იხ. ქვემოთ), ყველაზე რელიეფურად გამოხატულია საგამომიებო კოლეგიაში, რომელიც, – როგორც შინაარსით ისე ფორმით, – თვისებრივად ახალი წარმონაქმნია ჩვენში და ჯერჯერობით ფრიად იშვიათიც მთელს პოსტსოციალისტურ სივრცეში, თუმცა გამოძიების მაკონტროლებელი მაგისტრატის, საგამომიებო მოსამართლის, საგამომიებო პალატის თუ საგამომიებო კამერის ინსტიტუტები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ანგლო-საქსონური (ინგლისური მოდელი), ისე კონტინენტური (ფრანგული მოდელი) სამართლის სისტემის ქვეყნებში. ამიტომ ქვემოთ განვიხილავ სწორედ საგამომიებლო კოლეგიის პრობლემატიკას.

6. ტერმინოლოგიის საკითხები. საგამომიებო კოლეგია “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონით (მუხ. 24) თავიდან მოაზრებული იყო სააპელაციო სასამართლოს ორგანიზაციულ სტრუქტურად (რაც შეესაბამებოდა მისი ევროპული არქეტიპის მოწყობის გავრცელებულ პრაქტიკას⁸), რომელიც იქმნებოდა “სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული

საკითხების გადასაწყვეტად”.⁹ ამკარაა, რომ ეს ფორმულირება მეტად ფართოა – იგი შეიძლება მიესადაგოს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება-განხილვის მიზნით შექმნილ ნებისმიერ სტრუქტურას. ამიტომ, ძალზე ზოგადი ხასიათის მიუხედავად, უფრო მართებულია ახალი სსსკ-ის ფორმულირება (რომელიც, ამასთან, ახალ რეალობებსაც – არშემდგარი სააპელაციო სასამართლოს ფუნქციების გადანაწილებასაც – ასახავს): საგამომიებო კოლეგია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს ორგანიზაციული სტრუქტურაა, რომელიც გამოძიების მოსამართლეებს აერთიანებს (მუხ.44, ნაწ.4). იქვე, მე-5 ნაწილში კი მითითებულია, რომ გამოძიების მოსამართლე არის ზემოაღნიშნულ სასამართლოთა “საგამომიებო კოლეგიების მოსამართლე, რომელიც წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს”. ეგ არის და ეგ – ტერმინი “გამომიების მოსამართლე” კოდექსში სხვაგან არსად გვხვდება – მას ცვლის ტერმინი “საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე”, რაც უფრო სწორია. კერძოდ, იგი ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, რადგან არავითარი გამოძიების მოსამართლე ჩვენში რეალურად არ არსებობს – არსებობს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც ფუნქციების “შიდასაუწყებო” განაწილების წესით ამჟამად გამწესებულია საგამომიებო კოლეგიაში – შესაბამისი სასამართლოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ხვალ კი შეიძლება გადაიყვანონ სხვა რომელიმე კოლეგიაში ან პალატაში¹⁰. ეს ერთი. მეორე: ამკარად უცხოური მოდელის გავლენით შემოდებული ეს ტერმინი – “გამომიების მოსამართლე” თავისთავადაც უსწორდება ნაწარმოები – იგი, ისევე როგორც თვით ამოსავალი ცნება – ტერმინი – “საგამომიებო კოლეგია”, უნდა ვაწარმოოთ “სა-ო” პრეფიქს-სუფიქსის დართვით: “საგამომიებო მოსამართლე” (რუსულად: „следственный судья“), რომელიც არ უნდა აგვერიოს 1864 წლის რევორმის შემდგომ რუსეთში არსებულ თანამდებობის პირში – “სასამართლო გამოძიებელში” („судебный следо-

⁷ ეს გარემოება „ირიბად“ ასახულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის №43/173 რეზოლუციით დამტკიცებულ დოკუმენტში – „ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვის პრინციპების კრებულში“: 32-ე პრინციპად მითითებულია, რომ ასეთი საკითხების განხილვა უნდა იყოს მარტივი და სწრაფი (იხ. Права человека и судопроизводство. Собрание международных документов. Варшава, 1997, стр. 211).

⁸ საცნობარო მონაცემები აღნიშნულის შესახებ იხ.: Ф. М. Решетников. Правовые системы стран мира. Справочник. М., «Юрид. лит.», 1993.

⁹ იხ. საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები“. თბ., “მერიდიანი“, 1998, გვ. 191.

¹⁰ მეტიც, თბილისის საოლქო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლეები, შიდასაუწყებო აქტის საფუძველზე, პერიოდულად მონაწილეობენ სისხლის სამართლის საქმეთა არსებითად, კოლეგიურ განხილვაში.

ВАТЕЛЬ“), რადგან პირველი თავისი არსობრივი სტატუსით მაინც “მოსამართლედ” რჩება, მეორე კი არსებითად იგივე ფუნქციას ასრულებდა, რასაც დღევანდელი გამოძიებელი¹¹. ეს მართებული იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ იგი, მართალია, საგამოძიებო საკითხებზე “მუშაობს”, მაგრამ, ამასთან, გამოძიებისგან (საგამოძიებო ორგანოებისაგან) სრულიად დამოუკიდებელი, მათი მკონტროლებელი მოსამართლეა და არა გამოძიების “მომსახურე” თანამდებობის პირი. ამდენად, ჩემი აზრით, საჭიროა 44-ე მუხლის შესაბამის ნაწილებში სათანადო ტერმინოლოგიურ ცვლილებათა შეტანა.

7. ინსტიტუტის ფრანგული (“ეტალონური”) და ქართული მოდელები (რამდენიმე შტრიხი შედარებით დახასიათებისათვის). საფრანგეთში საგამოძიებო მოსამართლის ინსტიტუტი მე-19 საუკუნის დამდეგიდან მომდინარეობს, ხოლო 1856 წლის 17 ივლისის კანონით მისი დისკრეციული უფლებები იმდენად გაფართოვდა, რომ მის ხელში კონცენტრირებული აღმოჩნდა ინკვიზიციური პროცესისათვის დამახასიათებელი გამოძიებლისა და მოსამართლის უზარმაზარი უფლებამოსილებანი, რაც ხელს უწყობდა ამ თანამდებობის პირთა ასე საეკლალოდ ცნობილ თვითნებობას.¹² შემდგომში ეს უფლებამოსილებანი თანდათან იკვეცება, ხოლო 1958 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (შემდგომი ცვლილებებით) იგი „გაორებული“ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ორგანიზაციულად ექვემდებარება სასამართლო ინსტანციებს, გამოძიების პროცესში კი დამოკიდებულია პროკურორზე, რომლის მითითებებსაც ასრულებს.¹³ გამოძიების დამთავრების შემდეგ იგი საქმის მასალებს უგზავნის პროკურორს, რომლის

თანხმობის შემთხვევაში საქმეს უგზავნის მეორე ინსტანციის საგამოძიებო ორგანოს როლში მყოფ სასამართლო სტრუქტურას – სააპელაციო სასამართლოს საბრალდებო კამერას, რომელიც თავმჯდომარისა და ორი “მრჩეველის” შემადგენლობით მომუშავე მუდმივმოქმედი ორგანოა და სხდომებს მართავს კვირაში ერთხელ მაინც.¹⁴ იგი ახორციელებს სამართალში მიცემას, ამასთან, შეუძლია, შეწყვიტოს საქმე ან დააბრუნოს იგი დამატებითი გამოძიებისათვის. კამერა აკონტროლებს როგორც მთლიანობაში გამოძიების ხარისხს, ისე საგამოძიებო მოსამართლის მიერ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების კანონიერებას და საპროცესო ვადების დაცვას. ამასთან დაკავშირებით, განიხილავს რა მხარეთა და პროკურორის (იგი ფრანგულ პროცესში მხარედ არ ითვლება) საჩივრებს, შეუძლია ბათილად ცნოს ჩატარებული დაკითხვის, ჩხრეკის და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა შედეგები მათი კანონის დარღვევით ჩატარების გამო, შეუცვალოს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება, დისციპლინური სასჯელი დაადოს საგამოძიებო მოსამართლეს თუ სასამართლო პოლიციის ჩინოსანს /ომგველევს/ და ა.შ. ყოველივე აღნიშნულის გამო, კომენტატორთა აზრით, საბრალდებო კამერა, როგორც წინასწარ გამოძიებაში შეჯიბრებითობის მნიშვნელოვანი ელემენტი, ამ სტადიაზე კანონიერების გარანტი, საპროცესო კანონმდებლობით 1985 წლის ძირეული რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია.¹⁵ ამ ინსტიტუტის ეფექტიანობამ ბიძგი მისცა 1985 წლის 10 დეკემბრის კანონით დიდი ინსტანციის ტრიბუნალებთან საგამოძიებო პალატის დაარსებას. მას სამი პროფესიული მოსამართლის (რომელთაგან ორს მაინც უნდა ჰქონდეს საგამოძიებო მუშაობის სტაჟი) შემადგენლობით, სამი წლის ვადით ქმნის ტრიბუნალის თავმჯდომარე, ამასთან, მათ ამარაგებს კიდევ ორი დამხმარე მაგისტრატით. პალატა ფაქტობრივად ყოველისმომცველად აკონტროლებს თითქმის მთელ გამოძიებას: სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, პასუხისგებაში მიცემას, დაკავება-დაპა-

¹¹ Уголовный процесс, Учебник / Под ред. К. Ф. Гуценко, М., «Серцало», 1998, стр. 86.
¹² ამა საფუძველი მისცა ონორე დე ბალზაკს მისთვის ჩვეულ სტილში ასეთი რამ დაეწერა: „საფრანგეთში არის ადამიანი – უფრო ძლევამოსილი, ვინემ მეფე, ვინემ იუსტიციის მინისტრი, უფრო ძლევამოსილი, ვინემ პარლამენტი. ეს არის საგამოძიებო მოსამართლე“.
¹³ კერძოდ, საგამოძიებო მოსამართლეთა კორპუსი კომპლექტდება მეორე საფეხურის სასამართლო რგოლის – ე.წ. დიდი ინსტანციის ტრიბუნალის მოსამართლეთაგან. ისინი ინიშნებიან 3 წლის ვადით, პრეზიდენტის დეკრეტით. გამოძიების პროცესში კი მათზე ძალზე მჭიდროდ ვრცელდება პროკურორის, როგორც სისხლის სამართლებრივი მდევნელის უფლებამოსილებანი (იხ. С. В. Боботов. Правосудие во Франции. М., «ЕАБ», 1994, стр. 134, 146-148 и др.).

¹⁴ Е. В. Быкова, Прокуратура во Франции // Прокуратура и правосудие в условиях судебно-правовой реформы. Сборник научных трудов. М., 1997, стр. 206; Амбаса Леон Шанталь. Организация предварительного следствия во Франции на современном этапе. «Гос. и право», 1999, №1, стр. 110-111.
¹⁵ იხ. ს. ბობოტოვის დასახ. მონოგრაფია, გვ. 157-162; ა. შანტალის დასახ. სტატია, გვ. 110-112.

ტიმრებს, ჩხრეკასა და ამოღებას, სხვა საგამოძიებო მოქმედებებს; უფლება აქვს გამოძიებაში ჩართოს სხვა საგამოძიებო მოსამართლეები, გადაწყვეტოს საქმეთა გაერთიანება-გამოყოფის საკითხები და ა.შ.

ამგვარად, საფრანგეთში საგამოძიებო მოსამართლის, საგამოძიებო პალატის და საბრალდებო კამერის სტატუსის ზემოთ მითითებული ასპექტებიდან ამკარაა, რომ:

ა) წინასწარ გამოძიებაზე სასამართლო კონტროლი ფაქტობრივად ყოველსომომცველია;

ბ) გამოძიების მაკონტროლებელ კოლეგიურ სასამართლო ორგანოთა (პალატა, კოლეგია) და, განსაკუთრებით, საგამოძიებო მოსამართლის (რომლის როლი, მნიშვნელოვანი შეკვეცის მიუხედავად, ფრანგულ იუსტიციაში კვლავ დიდია¹⁶) უფლებამოსილებაში მეტ-ნაკლებად “შერეულია” როგორც გამოძიების ისე საბჭოური (და ნაწილობრივ, დღევანდელი პოსტსაბჭოური) მოდელის, პროკურატურის უფლებამოსილებებიც. რაც შეეხება ქართულ მოდელს, როგორც ზემოთ ვნახეთ და შემდგომი ქვეპუნქტებიდან უფრო ნათლად ჩანს, მისი უფლებამოსილებანი “საგამოძიებო მინარევებისგან” აბსოლუტურად თავისუფალია, ხოლო საბჭოური მოდელის საპროკურორო უფლებამოსილებათაგან მხოლოდ მინიმუმი აქვს გადაცემული. რაც შეეხება მთლიანად კომპეტენციის მოცულობას, იგი მიზერულია ფრანგულ მოდელთან შედარებით. ეს განსაკუთრებით ითქმის საგამოძიებო კოლეგიაზე, რომლის სტატუსი – მით უმეტეს, სპეციალიზებული სტრუქტურის კვალობაზე, – ერთობ მოერძალებულია.

8. საგამოძიებო კოლეგიის მიერ განსახილველ საკითხთა წრე განსაზღვრულია ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. კერძოდ, კოლეგიის მოსამართლეთა ქვემდებარეა:

ა) მხარეთა საჩივარი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებაზე (დადგენილებაზე) ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ (მუხ. 243);

ბ) მხარეთა საჩივარი ამავე რგოლის მოსამართლის ბრძანებაზე ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ ან დადგენილებაზე გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ (მუხ. 185);¹⁷

გ) საჩივარი 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით ძებნილი ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ პროკურორის მიერ სანქცირებულ დადგენილებაზე (გარდამავალი დებულებანი, მუხ. 680, ნაწ. 4);¹⁸

დ) საჩივარი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლის) განმწესრიგებელი სხდომის განჩინებაზე (დადგენილებაზე), რომელიც გამოტანილია სსსკ-ს 426-ე ან 427-ე მუხლების საფუძველზე, – შესაბამისად სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების ან წარმოებით შეწყვეტის შესახებ (მუხ. 428);¹⁹

ე) საჩივარი საფოსტო-სატელეფონო გზავნილის უკანონოდ და უსაფუძვლოდ დაყადაღებაზე, დათვალიერებასა და ამოღებაზე (მუხ. 332);²⁰

ვ) შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებათა – პატიმრობის და შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ 3-დან 6 თვემდე (163-ე, 166-ე და 243-ე მუხლები).

როგორც ვხედავთ, საგამოძიებო კოლეგიის კომპეტენციაში სადღეისოდ (1999 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით) შემავალი 6 საკითხიდან 4 მას მიენიჭა დამატებით, კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით. მიუხედავად მისი კომპეტენციის სწრაფი გაფართოების ტენდენციისა, ზემოთ მოტანილი ჩამონათვლიდან ამკარაა, რომ საგამოძიებო კოლეგიის “მომსახურების” გამოყენების “ფუფუნება”, რომელიც კანონმდებელმა საპროცესო სამართლის სუბიექტებს მიანიჭა, მეტად ძუნწია (მწირია), ეპიზოდურია და ნაკლებად შეესაბამება ლოგიკური სისტემურობის პრინციპს.

¹⁷ აღნიშნული საკითხის საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრება დაწესდა სსსკ-ში 1999 წლის 23 ივლისის კანონით შეტანილი ცვლილებებით (იხ. ‘საქართველოს საკანონმდებლო მაცნე’, I ნაწ., №34(43), მუხ.178.).

¹⁸ ამ საკითხის საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრება დაწესდა 1999 წლის 13 მაისის კანონით სსსკ-ში შეტანილი ცვლილებებით (იხ. ‘საქართველოს საკანონმდებლო მაცნე’, I ნაწ., 1995, №16(23), მუხ. 75).

¹⁹ ამ საკითხების საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრება დაწესდა 1999 წლის 28 მაისის კანონით სსსკ-ში შეტანილი ცვლილებებით (იხ. ‘საქართველოს საკანონმდებლო მაცნე’, I ნაწ., 1999 წ., №18(25), მუხ. 75).

²⁰ ამ საკითხთა საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრება დაწესდა სსსკ-ში 1999 წლის 13 მაისის კანონით შეტანილი ცვლილებებით (იხ. ‘საქართველოს საკანონმდებლო მაცნე’, I ნაწ., 1999, №18(25), მუხ. 75).

¹⁶ პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: საზოგადოდ, საგამოძიებო მოსამართლეთა როლი მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარში კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, პორტუგალია) ეცემა მაშინ, როცა ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში სულ უფრო დაჟინებით დგება საკითხი ამ ინსტიტუტის მოდერნიზებული ვარიანტის კულტივირების თაობაზე (იხილეთ: Уголовная юстиция: проблемы международного сотрудничества. М., «Бек», 1995, стр. 38, Ллойд Л. Уайнრებ. Отказ в правосудии. Уголовный процесс в США. М., Юрид. лит., 1985, стр. 134-160)



მაგალითად, გაუგებარი რჩება, თუ რატომ არ უნდა შეიძლებოდეს კოლეგიაში გასაჩივრება (ე.ი. რატომ უნდა იყოს ჩაკეტილი საზოგადოდ ნაკლები სამართლებრივი გარანტიების შემცველ ერთ ინსტანციურ სისტემაში)²¹, ვთქვათ, მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს გამომძიებლის და პროკურორის ისეთ მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა გამო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა, როგორცაა:

ა) სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის პირის მოთავსება (გავიხსენოთ ახლო წარსულის სავალალო მაგალითები, როცა ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე “შეკვეთით” გაგზავნილ უხეშად, ზოგჯერ პირდაპირ ანტიადამიანურად ირვეოდა ადამიანის უფლებები);

ბ) ქონებაზე ყადაღის დადება (რით არის იგი ნაკლები მნიშვნელობის, ვინემ, ვთქვათ, თანამდებობიდან გადაყენებაა, მით უმეტეს კონსტიტუციის 21-ე მუხლის ფონზე, რომელმაც ახალ თვისობრივ საფეხურზე აიტანა საკუთრების დაცვის პრობლემატიკა);

გ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება;

დ) სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება. აღარაფერს ვამბობ სისხლის საპრო-

ცესო სამართლებრივი იძულების ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების ხელშეუხებლობის, საცხოვრებელი ბინის, მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან – მათი ჩატარების და რაიონულ თუ საქალაქო სასამართლოში გასაჩივრება-განხილვის პროცედურა გათვალისწინებულია “ცალკე მდგომი” 290-293-ე მუხლებით; კონსტიტუციის წესით, მოტივირების გარეშე აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ამ სფეროებში, ისევე, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორც წინასწარი (სანებართვო), ისე შემდგომი კონტროლი (განსაკუთრებით – ეს უკანასკნელი!) მეტისმეტად ფორმალიზებული, და, ამდენად ნომინალური და ნაკლებეფექტიანია.

იური გაბისონია,

თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

/დასასრული შემდეგ ნომერში/

²¹ დებულება, რომ სასამართლო სისტემის ეფექტიანობას ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების საქმეში უკეთ უზრუნველყოფს სასამართლოს მრავალინსტანციანი სისტემა, საკმაოდ ფართოდაა აღიარებული როგორც მეცნიერებაში, ისე საერთაშორისო დოკუმენტებში (იხ. მაგ. “საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ”, მუხ. 14, პ 5“ // „საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები“, თბ., “მერიდიანი“, 1998, გვ. 464).

ეკონომიკა და სამართალი

მარიამ ცაცანაშვილი

სასაქონლო და არასასაქონლო ინფორმაციული

ურთიერთობების სამართლებრივი

კატეგორიების სისტემა

ინფორმაცია საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა, მაგრამ საბაზრო ინფორმაციული ურთიერთობები შემთხვევითობა იყო და მათ საკანონმდებლო ბაზა არ გააჩნდა. ინფორმაციის როლმა და დანიშნულებამ ინფორმაციის კერძო სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნა წარმოშვა, რასაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი კომპიუტერული ტექნიკისა და ტელესაკომუნიკაციო სისტემების განვითარებამ. ინფორმაციამ სასაქონლო ხასიათი შეიძინა, რადგან გაჩნდა ყველა სახის ინფორმაციის (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და ა. შ.) რეალიზაციის მოთხოვნა და შესაძლებლობა, ანუ დაიწყო სასაქონლო-ინფორმაციული ფეტიშიზმი.¹ ევროპის კონტინენტური ქვეყნების და პოსტკომუნისტური სახელმწიფოების სამოქალაქო კოდექსებში უკვე გაჩნდა მრავალი დებულება სასაქონლო ინფორმაციულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. როგორც პროფ. ვ. დოზორცევმა, 1997 წლის ნოემბერს ინფორმაციის სფეროში საკანონმდებლო პრობლემებთან დაკავშირებულ სრულიად რუსეთის V კონფერენციაზე აღნიშნა: “ეს დებულებები ეხება არა მარტო ვალდებულებებს ცნობების შეტყობინებასთან დაკავშირებით, არამედ ზოგად ცნებებსაც ინფორმაციის შესახებ”.² მართალია, გარკვეული კომენტარები ინფორმაციულ-სასაქონლო ბრუნვასთან დაკავშირებით უკვე გაჩნდა უცხოურ ლიტერატურაში (როგორც რუ-

სეთში, ასევე ევროპაში)³, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაა ისე შესწავლილი, რომ არსებითი გავლენა მოახდინოს კანონმდებლობის სრულყოფაზე. მით უმეტეს უცნობია ეს პრობლემა ქართული იურიდიული ლიტერატურისათვის. ინფორმაციული სასაქონლო ურთიერთობები საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ ურთიერთობაში და ამ სფეროში საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო, მრავალ პრობლემას უქმნის როგორც სახელმწიფო, ისე სამართალდამცავ ორგანოებს.


როგორც ცნობილია, საბაზრო ურთიერთობებში მთავარია არსებობდეს პირი, რომელსაც შეუძლია “საქონლის” თავისად აღიარების მოთხოვნა. სასაქონლო ბრუნვის აზრი ხომ სწორედ ისაა, რომ იცვლუბოდეს პირი, რომელსაც საქონელზე უფლება ექნება (ერთი პირის უფლება შეწყდება, მეორე პირის უფლება წარმოიშობა). მაშასადამე, სასაქონლო ბრუნვის წინა პირობა უფლება “ჩემი” – “ჩემი საკუთარი” (OWN) – ეს აბსოლუტური უფლებაა, რომლის შინაარსი ობიექტის ნატურალური თვისებითაა განპირობებული (ანუ საქონლის სანივთო ხასიათით) და საკუთრების უფლების (owner ship) სახელწოდებით დამკვიდრდა.⁴ აქ ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ მატერიალური და არამატერიალური ობიექტის სასაქონლო თვისებები. მატერიალური ობიექტი, როგორც აღინიშნა,

¹ Батурич Ю. М., Проблемы компьютерного права, М., 1991, – С. 17.

² Дозорцев В. А., Вопросы информации в Гражданском кодексе Российской Федерации // Науч.-технич. информация, №3, 1998., – С. 2.

³ იხ.: Защита прав создателей и пользователей программ для ЭВМ и баз данных / Комментарий Российского законодательства, – М., 1996. Компьютерные технологии в юридической деятельности / под ред. Н. Полевого. – М. – 1994; The Law of Copyright, by Terence, Prime, B. A. PR. D. – 1996.

⁴ Moore N., Steele J. Information-intension Britain. A critical analysis of the policy issues. – London.: PSI. – 1996.



სივრცეშია შემოსაზღვრული და ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი პირის მფლობელობაში შეიძლება იყოს, რომელსაც იმავდროულად ნივთის ექსპლუატაციის შესაძლებლობა ექნება. მატერიალური ობიექტი შეიძლება გასხვისდეს ერთ პირზე (ან რამდენიმეზე თანასაკუთრების უფლებით), ამასთან იგი ფიზიკურ ამორტიზაციას განიცდის. მატერიალური ობიექტის ნატურალურ თვისებებთან დაკავშირებული სამართლებრივი თავისებურებების ჩამოთვლა შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არამატერიალურ ობიექტზე უფლების შინაარსი არ შეიძლება დაემთხვეს ნივთზე უფლების შინაარსს. არამატერიალური ობიექტი არ არის სივრცით შემოსაზღვრული, ამიტომ მასზე შეუძლებელია მფლობელობის უფლება გავრცელდეს. იგი ერთდროულად პირთა განუსაზღვრელი წრის სარგებლობაში შეიძლება იყოს. გასხვისების ისეთი ფორმაც შესაძლებელია, რომლის დროს ობიექტი სარგებლობისათვის წინასწარ განსაზღვრულ პირთა წრეს არ გადაეცეს. არამატერიალური ობიექტი ფიზიკურ ამორტიზაციას არ ექვემდებარება – იგი შეიძლება მორალურად მოძველდეს და ისიც არა ყოველთვის. ასე რომ, არამატერიალურ ობიექტზე დარღვეული უფლების აღდგენა შედარებით რთული ღონისძიებების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. მაგრამ არც არამატერიალური ობიექტების სამართლებრივი ბუნებაა ერთგვაროვანი. ერთმანეთისაგან განარჩევენ ინტელექტუალური და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებს.⁵ პირველი უფრო ფართო კატეგორიაა, ხოლო მეორე მისი ნაირსახეობაა, რომელიც დამატებით თვისებებს იძენს, მაგალითად, ავტორობის უფლება.

რაც შეეხება შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე უფლებებს, შეიძლება კიდევ ორ ჯგუფად დავეყოთ: 1) შედეგები, რომლისთვისაც მნიშვნელობა აქვს ფორმას (ეს, ძირითადად, ხელოვნების ნიმუშებია) და მათი დაცვის სისტემა განზოგადებული სახით შეიძლება იწოდებოდეს შემოქმედებით უფლებებად; 2) შედეგები, რომლისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს შინაარსს. ისინი, ძირითადად, წარმოებაში გამოიყენება და მათი დაცვის სისტემა შეიძლება სამრეწველო უფლებებად იწოდებოდეს. ნაწარმოების ფორმა უნიკალურია და იგი ავტორისაგან დამოუკიდებლად არ შეიძლება იყოს კვლავწარმოებული. ამიტომ, მისი დაცვა, შექმნის მომენტიდან, რეგისტრაციის ან რაიმე ფორმალუბების გარეშე ხორციელდება. ამ შემთხვევაში მოქმედებს დაცვის,

ე. წ. შემოქმედებითი სისტემა. შემოქმედებითი საქმიანობის შინაარსობრივი დებულებები სხვა პირთა მიერ შეიძლება განმეორდნენ. ამიტომ უფლებების განსამტკიცებლად სავალდებულოა მრავალი ფორმალობის დაცვა, როგორცა ექსპერტიზა, სახელმწიფო რეგისტრაცია და სხვა (სარეგისტრაციო სისტემა).

ინფორმაცია ინტელექტუალური მოქმედების შედეგად, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არ ჰყავს ავტორი. მისი, როგორც შემოქმედებითი შედეგების ეკონომიკურ ბრუნვაში გაშვების პროცესმა აჩვენა, რომ დაცვის მხოლოდ სარეგისტრაციო სისტემის გამოყენება არარაციონალურია. ზოგიერთ შემთხვევაში ის ფორმალისტას არ ექვემდებარება, სხვა შემთხვევაში გამოყენებაზე კონტროლია ძნელი და ა. შ. ამიტომ, ინფორმაცია, როგორც შემოქმედების შედეგი, რეგულირების სისტემის საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: ა) ინფორმაცია, გამოგონების, სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშის შესახებ (შესაბამისი პატენტი, მოწმობა). უნდა ითქვას, რომ ასეთი ინფორმაცია თავისთავად შემოქმედების შედეგი არ არის, ის მხოლოდ ასახავს ამ შედეგს. პატენტის დადგენა ან განაცხადი სასარგებლო მოდელზე, გამოგონებაზე, ავტორობის დამადასტურებელი დოკუმენტებია და მათ გამოყენებაზე განსაკუთრებულ უფლებას ადასტურებენ, ინფორმაცია პატენტის ან განაცხადის ასლის სახით ვრცელდება დაინტერესებული პირებისათვის შინაარსის გაცნობის მიზნით. ბ) ინფორმაცია “ნოუ-ჰაუს” სახით შეიცავს ცნობებს საიდუმლოების შესახებ. მისი დაცვა ხორციელდება კონფიდენციალურობის პირობების უზრუნველყოფის საფუძველზე.

“ნოუ-ჰაუს” დაცვა საკმაოდ თავისებურია. მას შინაარსობრივი ხასიათი აქვს. ესაა ცნობები, რომელთა გამოყენებისაგან დაცვა ხდება. რაც შეეხება გაცნობას, მასზე მონოპოლია არ ვრცელდება. “ნოუ-ჰაუს” დაცვა შეიძლება გავრცელდეს ისეთი სახის შემოქმედებით შედეგებზე, როგორცაა ორგანიზაციულ-ეკონომიკური სახსრები, კოლექტიური საქმიანობის შედეგები და ა. შ. ამიტომ ამ თვალსაზრისით მას უნივერსალური ხასიათი აქვს. “ნოუ-ჰაუს” დაცვა რაიმე ფორმალისტას არ მოითხოვს. მისთვის მხოლოდ ორი პირობა არსებობს: 1) არ იყოს საყოველთაოდ ცნობილი; 2) გატარდეს ღონისძიებები მისი დაცვის მიზნით. “ნოუ-ჰაუს” არსებობს მანამ, სანამ ცნობები მის შესახებ ხელმოუწვდომელია სხვა პირისათვის. “ნოუ-ჰაუს” მოქმედება წყდება, თუ ის საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ამასთან, მისი გავრცელების წყაროს მნიშვნელობა არა აქვს; ა) პირმა, კვლევის შედეგად, დამოუკიდებლად შეიძლება მიიღოს ანალოგიური ცნობები, რომლის კონფიდენციალურობის

⁵ Бачило И. Л., Информация, как предмет правоотношений // Науч.-технич. информация, №9, 1997., С. 17 – 24.

დაცვას საჭიროდ არ ჩათვლის, ან ბ) ცნობები შეიძლება გავრცელდეს ვისიმე არამართლებრივი ქმედებით, რაც კონფიდენციალურობის რეჟიმის დარღვევაში გამოიხატება. უფლებამოსილ პირს არ შეუძლია მოითხოვოს არაკეთილსინდისიერი მოსარგებლისაგან ცნობებით სარგებლობის შეჩერება. მას უფლება აქვს ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს პირს, რომელმაც არამართლებრივად გაავრცელა ცნობები “ნოუ-ჰაუს” შესახებ. ცნობების გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნა მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მოსარგებლისაგან დაიშვება. ე. ი. თუ ცნობებმა კონფიდენციალური ხასიათი დაკარგა და საყოველთაოდ გახდა ცნობილი, მაშინ დაცვის მექანიზმი არსებობას შეწყვეტს.

პატენტმფლობელისგან განსხვავებით, “ნოუ-ჰაუს” მფლობელს განსაკუთრებული დაცვის უფლება არ აქვს. “ნოუ-ჰაუს” მფლობელის უფლება შეიძლება დახასიათდეს, როგორც კვაზიაბსოლუტური. იგი ნაკლებად სანდოა, მაგრამ შედარებით ფართო.

საერთოდ, საქონლის მიმოქცევას ბაზარზე საფუძვლად უდევს მონოპოლია.⁶ მონოპოლია შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს, როგორც სამართლებრივი საშუალებებით (აბსოლუტური უფლების განმტკიცებით), ასევე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობით, როცა მონოპოლია ეყრდნობა ინტელექტუალური საქმიანობის არამატერიალური შედეგების მესამე პირებისათვის ხელმიუწვდომელობას, კონფიდენციალურობას.⁷ ვ. კოპილოვის ამ მოსაზრების მიხედვით, კონფიდენციალურობა დაცვის სამართლებრივ საშუალებად არ მოიაზრება, იგი ობიექტის ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავს ბაზარზე.

ინფორმაციის გარკვეულ ნაწილზე მონოპოლიის უზრუნველყოფა კონფიდენციალურობის დაცვით ხორციელდება. ამიტომ, სამართლებრივ საშუალებათა დანიშნულება მონოპოლიის დაცვა კი არ არის, არამედ კონფიდენციალურობის დაცვაა, ე. ი. ამ შემთხვევაში ცნობების სამართლებრივი დაცვის მექანიზმი კი არ იქმნება, არამედ მათი კონფიდენციალურობის დაცვის. ცნობათა კონფიდენციალურობა მიმართულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი), სახელმწიფო, კომერციული და სამსახურებრივი საიდუმლოების (საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი) “ნოუ-ჰაუს” დაცვისაკენ. ამიტომ დადგენილი სისტემა მონოპოლიის დარღვევის პროფილაქტიკას კი არ ეხება, არამედ კონფიდენციალურობის დარღვევის პროფილაქტიკას. აქედან

დგინდება ვალდებულ პირთა წრე, ანუ ისინი, ვისც იცავენ, ან არღვევენ კონფიდენციალურობის რეჟიმს. მაგრამ ინფორმაციული ურთიერთობის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო კონფიდენციალური, არამედ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ცნობები, რომელთა საფუძველი ვ. დონორცევის აზრით, მონოპოლია კი არ არის, არამედ მისი ხელსაყრელობა (სანდოობა, ოპერატიულობა და ა. შ.).⁸

პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ეს სამართლებრივ საშუალებათა შინაგანი არსია, გარეგნულად უფრო მოსახერხებელია ყველაფერი ისე გამოიყენებოდეს, როგორც მონოპოლიის დაცვა. მთავარია, რომ უფლებამოსილ პირს სარგებლობის მონოპოლიური უფლება გააჩნია.

რა თქმა უნდა, სარგებლობის ამ უფლების გასხვისება შესაძლებელია და სწორედ ეს არის სასაქონლო ბრუნვის არსი. ასეთი ბრუნვის სპეციფიური ფორმაა სრული გასხვისების გარეშე, სარგებლობის უფლების გადაცემა – ანუ ლიცენზიის გაცემა, რომელსაც შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი გააჩნია.


უნდა აღინიშნოს, რომ ცნობებს (ინფორმაციას) საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი დამოუკიდებელი რეგულაციების ობიექტად არ მიიჩნევს. გამოწველია “მონაცემთა ბაზები”, რომელიც ასეთი ცნობების ნაკრები და მისი არსებობა კომპიუტერული ტექნიკის განვითარებას უკავშირდება.

საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა მონაცემთა ბაზების დაცვას საავტორო სამართლით გვთავაზობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1025-ე მუხლის “ა” პუნქტის მიხედვით, მონაცემთა ბაზები ლიტერატურულ ნაწარმოებად არის მიჩნეული. რამდენად მართებულია მონაცემთა ბაზების ისეთი კატეგორიის ობიექტებთან გაიგივება, როგორიცაა წიგნი, ბროშურა, სტატია და ა. შ. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაცემთა ბაზა ეს ნაწარმოებთა კრებული კი არ არის, არამედ ცნობათა და მონაცემთა კრებულება. ამიტომ, საავტორო სამართლით გათვალისწინებული კრებულების დაცვის შესახებ წესები მასზე არ გავრცელდება. ასეთი დაცვის გამოყენება მხოლოდ იმ ნაწარმოებთა მიმართ არის შესაძლებელი, რომლებიც გარკვეული ფორმით გამოირჩევიან, და არა ცნობების მიმართ, რომელთაც შინაარსობრივი ხასიათი აქვთ. ამასთან, მონაცემთა ბაზა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული შენაერთები არ

⁶ Карась И. З., Экономический и правовой режимы информационных ресурсов. Киев. 1988. С. 124.

⁷ Копылов В. А., К вопросу об информационной собственности // Науч.-техн. информация. - №9. - 1997. - С. 3.

⁸ Дозорцев В. А., Вопросы информации в Гражданском кодексе Российской Федерации // Науч.-техн. информация. №3. - 1998. - С. 2.



არის. იგი შეიძლება ზუსტდებოდეს, ივსებოდეს, ან ზუნდაც ერთი და იგივე ცნობები სხვადასხვა სისტემით იყოს დალაგებული. ეს თავისებურება ნამდვილად უნდა იყოს გათვალისწინებული მონაცემთა სამართლებრივი დაცვის სისტემის შემუშავების დროს.

მონაცემთა ბაზების დაცვის შესახებ სიმბეჭედებს ყველა საერთაშორისო თანამეგობრობა განიცდის. ქროსბაჭოს დირექტივა “მონაცემთა ბაზის დაცვის შესახებ” დაცვის ორმაგ სისტემას ითვალისწინებს. ერთი მხრივ, მონაცემთა ბაზები, როგორც ცნობათა აკრები, დაცულია საავტორო სამართლით, მეორე მხრივ, მონაცემთა ბაზებს (ცნობათა შენაერთებს), ჰინაარსობრივი ხასიათი აქვს და მისთვის განსაკუთრებული ხასიათის დაცვაა საჭირო (Sui generis).⁹ ამ აქტში დაცვის განსაკუთრებულ სახეობაზე მინიშნებას კი ვხვდებით, მაგრამ საერთაშორისო მასშტაბით იგი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. ამიტომაც იყო, რომ ჟენევის დიპლომატიურმა კონფერენციამ საავტორო სამართლისა და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით¹⁰ უარი თქვა მონაცემთა ბაზების დაცვის სისტემისა და ბუნების დახასიათებაზე და საკითხი მომავლისათვის გადადო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომზადებული იყო ხელშეკრულების პროექტი მონაცემთა ბაზების ორმაგი დაცვის შესახებ, მაგრამ იგი არც განხილულა.

აქედან გამომდინარე, ყველა საფუძველი არსებობს, რომ ვივარაუდოთ – მონაცემთა ბაზა ტრადიციული “ნოუ-ჰაუ”, რომლის შინაარსი მის გამოყენებაშია. გამოყენება ამ შემთხვევაში გულისხმობს მონაცემთა ბაზებში არსებული ცნობების გაცნობას, ამიტომ საფუძველია “ნოი-ჰაუ”, რომელზეც დგინდება გამოყენების რეჟიმი. ცნობა, ინფორმაცია, როგორც მონაცემთა ბაზის პროდუქტი, ვალდებულებითი ურთიერთობის ობიექტია, რომელიც ეფუძნება აბსოლუტურ (ან კვაზიაფსოლუტურ) უფლებას მონაცემთა ბაზებზე.

ინფორმაციის არსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი ყველა სახეობა გახდეს სასაქონლო ბრუნვის ობიექტი. მაგრამ რეალურად ეს ასე არ ხდება და სხვადასხვა მიზეზთა გამო, ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გადაცემა არასასაქონლო საფუძველით ხორციელდება. ინფორმაციის ეკონომიკური ბრუნვიდან ამოღება ხელოვნურად, სახელმწიფოსაგან საჯარო სამართლებრივი ბაზის შექმნით მიმდინარეობს. რადგან სახელმწიფოში მხოლოდ ფინიკური ანკლავი (სახელმწიფო სახლ-

ვრები) არ მოიაზრება და იგი ინფორმაციულ სივრცესაც მოიცავს, ამიტომ ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით მისი მიღებისა და გავრცელების გარკვეული მექანიზმი იქმნება. ზოგიერთი სახელმწიფო ინფორმაციას ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტად მიიჩნევს. მაგალითად, აშშ-ში 1998 წლის 11 პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის დასახელებულია ინფორმაცია,¹¹ რაც იმას გულისხმობს, რომ ინფორმაციის სახელმწიფოდან გადინების დაცვისა და ქვეყნის შიგნით მიმოქცევის სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმი შეიქმნას.

თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის საყოველთაოდ გავრცელების აკრძალვას და პირის უფლებას მოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებებიდან. ასეთი ინფორმაციის გაცემა არასაბაზრო საფუძველზე ხდება.

ინფორმაციის საყოველთაოდ გავრცელების აკრძალვის მოთხოვნა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლიდან მომდინარეობს: ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება შეიძლება კანონით შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. მართალია, ამ ნორმაში არ ჩანს კონფიდენციალურად რა კატეგორიის ინფორმაცია მიიჩნევა, მაგრამ 41-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება, ხოლო მე-20 მუხლიდან გამომდინარე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ყველა ამ მიმართულებისათვის დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას ინფორმაციის დახურვის საფუძველები, ასეთ ინფორმაციასთან დასაშვებ პირთა ჩამონათვალი და რეგულირების სხვა სამართლებრივი ასპექტები. ასეთი ინფორმაცია სასაქონლო ურთიერთობის საგანი არ შეიძლება გახდეს. თუმცა, მისი გადაცემა გამორიცხული არ არის. ეს პროცესი საჯარო-სამართლებრივი აქტებით რეგულირდება.

მეორე პირობა ინფორმაციის ეკონომიკური ბრუნ-

⁹ Дозорцев В. А., Система правового регулирования товарных информационных отношений // Науч.-технич. информация, №9. 1997. С. 2-10.

¹⁰ ჩატარდა 1996 წლის 2-20 დეკემბერს.

¹¹ Forest Woody Horton, Jr. What are “National Information Policies”// Internacional forum on information and Documentation, Vol. 23, №1. – 1998.

ვიდან ამოღებისა, როგორც უკვე აღინიშნა, არის პირის უფლება, კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებიდან (საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი).

აქ კონსტიტუცია სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისათვის ორ პირობას ასახელებს: სახელმწიფო დაწესებულებიდან გაიცემა მომთხოვნი პირის შესახებ ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტები, თუ ისინი სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოს არ შეიცავენ. ასეთ შემთხვევაშიც ინფორმაციის გადაცემა არასასაქონლო საფუძველზე ხდება. ამ მუხლში მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებში ინფორმაციის გაცნობაზე საუბარი და არ არის მინიშნებული ანალოგიური უფლებამოსილება თვითმმართველობის ორგანოებშიცაა შესაძლებელი თუ არა. თუ სხვა ქვეყნის პრაქტიკას გადავხედავთ, იქ, სადაც თვითმმართველობის ორგანოები არსებობენ, აღნიშნული უფლება მათზეც ვრცელდება (მაგ; რუსეთის კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი). კონსტიტუციის ეს მუხლი ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის უფლებასაც აფიქსირებს. ეს უფლებამოსილება სხვასთან შედარებით ფართოა, რადგან ახალი ცნება შემოღის – “ოფიციალური დოკუმენტი”. ოფიციალური დოკუმენტი ესაა მატერიალურ მატარებელზე დაფიქსირებული ინფორმაცია რეკვიზიტებით, რაც მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. მისგან განსხვავებით ოფიციალური დოკუმენტი სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების მიერ იქმნებიან. უმეტეს შემთხვევაში ოფიციალური დოკუმენტები ღიაა და თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს.

ამ საერთო დებულებიდან გამონაკლისი ისევე საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე ნაწილითაა გათვალისწინებული, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ პირის თანხმობით.

ოფიციალური დოკუმენტის შექმნის დროს წარმოიშობა ურთიერთობა შესაბამის ორგანოთა მიერ მისი მომზადების, გამოცემის და გავრცელების ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი დოკუმენტის ერთ-ერთი ნაირსახეობაა სამართლებრივი ინფორმაცია (ნორმატიული აქტები), რომელთა თითოეულ მოქალაქემდე დაყვანა სახელმწიფო ორგანოთა პირდაპირი ვალდებულებაა (საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის “ლ” პუნქტით საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს). ამ სფეროში საქართველოში მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 სექტემბრის

ბრძანებულება (№595) “საქართველოს სამართლებრივი ინფორმაციის სისტემის შესახებ”. ამ აქტის მე-4 პუნქტით საქართველოს ინფორმაციულ სამართლებრივი რესურსი შეიქმნა პარლამენტის საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებისაგან. მაგრამ ამ ბრძანებულების მე-9 პუნქტის მიხედვით, პროგრამის ძირითად მომხმარებლად სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციებია განსაზღვრული ამიტომ, ბრძანებულების ეს ტექსტი კონსტიტუციის 41-ე მუხლის რეალიზაციის შესაძლებლობას არ იძლევა.

საქართველოს კანონის “ნორმატიული აქტების შესახებ” 61-ე მუხლი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების გამოქვეყნებას ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

ამ სფეროში ურთიერთობათა რეგულირებისათვის ნორმატიული მასალა სრულყოფილი არ არის. აუცილებლობა მოითხოვს “სამართლებრივი ინფორმაციის შესახებ” კანონპროექტის მომზადებას, რომელშიც მკვეთრად იქნება რაგლამენტირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილება ამ სფეროში, აგრეთვე განისაზღვრება სამართლებრივი ინფორმაციის სახელმწიფო და კომერციული სისტემების ურთიერთკავშირი. ასეთი ინფორმაცია ინტერნეტში უნდა გავრცელდეს თავისუფლად, სახელმწიფო სისტემის მეშვეობით.

კონსტიტუციის 41-ე მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში მოქალაქეთათვის ინფორმაციის გაცნობის უფლება კანონით დადგენილი წესით განხორციელდეს. აშშ-ში მოქმედებს “ინფორმაციის თავისუფლების აქტი”, რომელიც სახელმწიფო ორგანოებიდან მოქალაქეთა მიერ ინფორმაციის მიღების წესსა და განმარტებებს ადგენს. რუსეთსა და უკრაინაში განხილვის სტადიაზეა კანონპროექტი “ინფორმაციაზე უფლების შესახებ”. დიდი ბრიტანეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ გააჩნია კანონმდებლობა სამთავრობო ინფორმაციასთან დაშვების შესახებ, და ერთადერთია, სადაც მოქმედებს სახელმწიფო ორგანოების საიდუმლოების პრეზუმფცია.

რადგან საქართველოს კონსტიტუცია უშვებს სახელმწიფო ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების უფლებას, ამიტომ, ამ ურთიერთობათა რეგლამენტაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა მიზანშეწონილად შეივსოს სათანადო ნორმატიული აქტებით:

ადამიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა



დაცვის ევროპის კონვენციის და ამ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების რეგულირების სამართლებრივი მექანიზმის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოებში ინფორმაციის გაცნობის უფლების რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს კანონპროექტი “სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების წესის შესახებ”. ეს საკითხი, როგორც მოქალაქეთა ინფორმაციაზე უფლების გარანტია, საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის “ა” პუნქტის მიხედვით მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.¹² ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ერთობლივ გამგებლობას მიეკუთვნებული საკითხების განსაზღვრის შემდეგ, ამ კანონის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ სხვა ნორმატიული აქტებიც.

დასახელებული კანონპროექტი შემდეგი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით შეიძლება შემუშავდეს: სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების უფლება მოქალაქის განუსხვისებელი უფლებაა, რომლის რეალიზაციის პროცესში დგინდება სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და ორგანიზაციათა, მიუხედავად საკუთრების და ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმისა, ვალდებულება ინფორმაციაზე უფლების უზრუნველყოფის მიზნით. ეს კანონი ვალდებულებას მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა და სხვა ორგანიზაციათა მხრიდან უნდა შეიცავდეს. კერძოდ, მათ ვალდებულებას, საყოველთაოდ გაავრცელონ ცნობები თავიანთი საქმიანობისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ინფორმაციის გავრცელება საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე თუ საჭიროა არასაიმედო ინფორმაციის გავრცელების აღკვეთა, თუ ინფორმაციას აქვს ან შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ხასიათი. ორგანოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან, მოქალაქის მოთხოვნის საფუძველზე, გასცენ ინფორმაცია გასაცნობად, მისცენ აუცილებელი განმარტება, გასცენ ასლები.

კანონში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ინფორმაციის მიღებაზე განაცხადის შუტანისა და მასზე პასუხის პროცედურა. აგრეთვე ის შემთხვევები, როცა ინფორმაცია გაცემას არ ექვემდებარება (ანუ ის შემთხვევები, როცა ინფორმაციის გაცემას ზიანი შეუძლია მიაყენოს პირის, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს). ორგანოს ან ორგანიზაციას შეუძლია უარი უთხრას ინფორმაციის გაცემაზე, თუ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოს ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო საქმიანობის შესახებ, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესახებ, სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ, უკანასკნელის თანხმობის გარეშე. კომერციული ან სამსახურებრივი საიდუმლოს შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ნაწილი შეიცავს ცნობებს, რომელიც გაცემას არ ექვემდებარება, კანონი უნდა უშვებდეს დოკუმენტის დანარჩენი ნაწილის გაცნობისა და მისგან ასლის მიღების შესაძლებლობას.

ამასთან, ეს ჩამონათვალი დახურული ინფორმაცია არ არის. ორიგინალის მიღების უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი გარანტია უნდა იყოს განაცხადის შემტანი პირის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, ინფორმაციული მომსახურების შესახებ ცნობების უფასოდ გაცემა. სხვა კატეგორიის ინფორმაციაზე შეიძლება დაწესდეს საფასური, რომელიც არ აღემატება ინფორმაციის გაცემის დანახარჯებს. ის ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის საფუძველს კომერციულ საფუძველზე ინფორმაციის გაცემა შეადგენს, საფასურს აწესებს დამოუკიდებლად.

კანონი უნდა ითვალისწინებდეს, რომ თუ წარდგენილი ინფორმაცია შეიცავს არაზუსტ და არასრულ ინფორმაციას, ორგანიზაცია ვალდებულია შეიტანოს აუცილებელი ცვლილება უფასოდ. ცვლილების შუტანა ხდება დაინტერესებული პირის წერილობითი განაცხადის საფუძველზე.

მარიამ ცაცანაშვილი,

**საქართველოს იუსტიციის
მინისტრის მოადგილე.**

რ ბ

¹² მსგავსი შინაარსის აქტები მოქმედებს აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ბელგიაში. რუსეთში იხილება კანონპროექტი „ინფორმაციაზე უფლების შესახებ“.

ეკა ზარნაძე

ფასიანი ქაღალდის იურიდიული ბუნება

ფასიანი ქაღალდი მოძრავი ნივთია, ამიტომ იგი სანივთო სამართლის ობიექტია. შესაბამისად შეიძლება მისი შექმნა, მექვიდრეობით გადაცემა. მაგრამ ფასეულობა ფასიან ქაღალდს აქვს არა როგორც ცალკე აღებულ ნივთს, არამედ მის “ფასიანობას” განაპირობებს მასშივე გამოხატული უფლება. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია თავად დოკუმენტის წარმოდგენით. სწორედ ამ მჭიდრო იურიდიულ და, შეიძლება ითქვას, ფიზიკურ კავშირში, რომელიც არსებობს უფლებასა და დოკუმენტს შორის, გამოიხატება ფასიანი ქაღალდის უნიკალურობა. ამრიგად, საკუთრების უფლება ან სხვა სანივთო უფლება ისე უნდა იყოს დაკავშირებული ამ დოკუმენტშივე გამოხატულ უფლებასთან, რომ დოკუმენტის გარეშე უფლება ვერ უნდა განხორციელდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება დოკუმენტი ფასიან ქაღალდად.

ფასიან ქაღალდში გამოიხატება ქონებრივი უფლება. ქონებრივი უფლება შეიძლება იყოს სანივთო, ვალდებულებითი. მაგრამ მთავარი, რომლის გარეშეც ფასიანი ქაღალდი არ მოიპოვება, არის ვალდებულებითი უფლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასიან ქაღალდში გამოხატულებას პოულობს ქონებრივი ურთიერთობა, კერძოდ კი - ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ზიანის მიყენებიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან, ხელშეკრულებიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. “ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ცალმხრივი გარიგებაც”¹.

¹ იხ. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1998, გვ. 5.


ვალდებულების წარმოშობის აღნიშნული პირველი ორი საფუძველი შეგვიძლია უარვყოთ, რადგან ფასიანი ქაღალდი არის ნების გამოვლენა ან გარიგება. უნდა განვიხილოთ, ფასიანი ქაღალდს სახელშეკრულებო ხასიათს ატარებს, თუ იგი ცალმხრივი გარიგებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა: Vivante-ს თეორია, Thaller-ის თეორია Kreationstheorie; Begeburgstheorie და სხვა.²

თუ ფასიან ქაღალდს ცალმხრივ გარიგებად ჩავთვლით, მაშინ დოკუმენტი ფასიან ქაღალდად ჩაითვლება და მას შესაბამისი იურიდიული ძალა ექნება შედგენის მომენტიდან, ე.ი. მოვალის მიერ ნების გამოვლენის მომენტიდან.³ აქედან გამომდინარე, თუ პირმა შეადგინა ფასიანი ქაღალდი, მაგრამ იგი გაცემამდე დაკარგა, დაკარგული დოკუმენტი ჩაითვლება იურიდიული ძალის მქონედ და ასეთი დოკუმენტის მართლზომიერ მფლობელს ექნება მოთხოვნის უფლება მისი შედგენის მიმართ.

პირის სურვილი შეადგინოს ფასიანი ქაღალდი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისსავე სურვილს, იყოს ვალდებული ამ დოკუმენტით. ეს მოსაზრება გამოხატული სამოქალაქო კოდექსშიც: 911-ე მუხლს განსაზღვრავს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ცნებას:

² იხ., М.М. Агарков, Учение о ценных бумагах, 1928, гл. 40-46; Г.Ф. Шершеневич, Учебник торгового права, т.2, 1904, гл. 7.

³ იხ., В.А. Белов, Ценные бумаги в российском гражданском праве, 1996, гл. 72-74; М.И. Брагинский, Сделки: понятия, виды и формы Комментарий к новому к Г.К., 1995, гл. 48.



“თუ ვინმე გაცემს დოკუმენტს, რომლითაც...”, 922-ე მუხლიც, რომელიც განმარტავს საორდერო ფასიან ქაღალდს, ასევე დოკუმენტის გაცემაზე მიუთითებს: “სავალო დოკუმენტი, რომლითაც ემიტენტი დოკუმენტის წარდგენისას გადახდას ჰპირდება და სახელმწიფო პირს შეიძლება გაიცეს.....”, 928-ე მუხლიც – “პირადი ფასიანი ქაღალდების ცნება”, ერთმანეთისაგან განასხვავებს დოკუმენტის შედგენასა და გაცემას: “განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტი შეიძლება გაიცეს...”. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დოკუმენტი ფასიან ქაღალდად არ ითვლება მისი შედგენის მომენტიდან.

ფასიან ქაღალდში გამოხატული ურთიერთობა არ შეიძლება ცალმხრივ გარიგებად ჩაითვალოს ასევე იმის გამოც, რომ იგი არ ითვალისწინებს მოვალის უპირობო უარს თავის ვალდებულებაზე, რაც დამახასიათებელია ცალმხრივი გარიგებისთვის.

ამრიგად, ფასიან ქაღალდში გამოხატული ურთიერთობა ორმხრივი გარიგება ანუ ხელშეკრულებაა. სახელშეკრულებო თეორიით შეიძლება აიხსნას ფასიანი ქაღალდების იურიდიული ბუნება. მაგალითად, ავიღოთ თამასუქი: ინდოსამენტი, რომლითაც ხდება თამასუქის გადაცემა, შეიძლება განვიხილოთ როგორც ცესიის გამარტივებული სახე.⁴ თამასუქის მფლობელს უფლება აქვს მოვალის თანხმობის გარეშე გადასცეს დოკუმენტი სხვას და მოვალეც ვალდებულია განახორციელოს შესრულება ახალი მფლობელის მიმართ. კლასიკური ცესიის დროსაც, მოთხოვნის მფლობელს მოვალის თანხმობის გარეშე შეუძლია თავისი მოთხოვნის უფლება დაუთმოს მესამე პირს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (199-ე მუხლი).

რაც შეეხება ავალს, იგი არის სათამასუქო თავდებობა და არ ეწინააღმდეგება სახელშეკრულებო თეორიას. ავალის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თამასუქის როგორც მთელი თანხის, ისე ნაწილის გადახდა შეიძლება გარანტირებული იყოს თავდებობით ანუ ავალით. ჩვეულებრივი სახელშეკრულებო თავდებობაც გულისხმობს თავდების ვალდებულებას თავდებად დაუდგეს მოვალეს კრედიტორის წინაშე /სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლი/. ორივე შემთხვევაში თავდებობას კისრულობს მესამე პირი და თავდებობა უნდა გაფორმდეს წერილობით. ავალის დროს თავდები და პირი, ვისთვისაც დადებუ-

ლია თავდებობა, პასუხს აგებენ სოლიდარულად (კანონი თამასუქის შესახებ, 28-ე მუხლი). სახელშეკრულებო თავდებობის დროსაც თავდებს შეიძლება დაეკისროს, მოვალესთან ერთად, სოლიდარული პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი). ფაქტობრივად, სახელშეკრულებო თავდებობისა და ავალის არსი ერთი და იგივეა. რა თქმა უნდა, მათ შორის არის განსხვავებაც, ისევე როგორც არის განსხვავება სათამასუქო ვალდებულებასა და სხვა ვალდებულებებს შორის. სახელშეკრულებო თეორიის საფუძველზე შეიძლება ავხსნათ სხვა ფასიანი ქაღალდების იურიდიული ბუნებაც.

მართალია, ფასიან ქაღალდებში გამოხატული ურთიერთობა ხელშეკრულებაა, მაგრამ იგი არ ემორჩილება წერილობითი ხელშეკრულების დადების ზოგად წესს: “მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა (69-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსი). ფასიანი ქაღალდის ნამდვილობისათვის კი საკმარისია ერთი მხარის – მოვალის – ხელმოწერა.

სამოქალაქო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების ადგილს სამართლის სისტემაში: ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულების რეგულირება ხდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით. ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, ე.წ. ფორმალური ხელშეკრულებების დოქტრინის შემუშავების შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, ფასიანი ქაღალდები ადასტურებენ ფორმალურ ხელშეკრულებებს, განსხვავებით იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც არ გამოიხატება ფასიან ქაღალდებში.⁵

ხელშეკრულებები, როგორც ვიცით, იმის მიხედვით, თუ როგორაა მხარეთა შორის განაწილებული უფლებები და მოვალეობები, იყოფიან ორმხრივ და ცალმხრივ ხელშეკრულებებად. მ. აგარკოვის აზრით, “ფასიან ქაღალდში არ შეიძლება გამოიხატოს ისეთი ურთიერთობა, რომლის ძალით, ორივე მხარე იძენს უფლებებსაც და მოვალეობებსაც”.⁶ სამოქალაქო კოდექსის თავშიც – “ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი” – საუბარია მხოლოდ დოკუმენტის მფლობელის უფლებაზე და ემიტენტის მოვალეობაზე. ამ თავიდან

⁴ იხ., „Гражданское и торговое право капиталистических государств“, 1993, зб. 206-207.

⁵ იხ., Д.В. Мурзин, Ценные бумаги бестелесные вещи, 1998, зб. 43.

⁶ იხ., М.М. Агарков, Учение о ценных бумагах, 1928, зб. 7-8

გამომდინარე, ფასიან ქალაქში გამოხატული ხელშეკრულება ცალმხრივი ხელშეკრულებაა, მაგრამ გარკვეული თავისებურება ახასიათებს სასაწყობო მოწმობას.

სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა: შემკვეთი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული ნივთი გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ. სასაწყობო მოწმობაში, რომელსაც შემნახველი გასცემს, მხარეთა ვინაობის, საქონლის შენახვის წესსა და სხვა პირობებთან ერთად, აღინიშნება შენახვის საზღაურის ოდენობა /სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლი/. ამრიგად სასაწყობო მოწმობაში გამოხატული ურთიერთობა ორმხრივია, მაგრამ მ. აგარკოვი ამ ურთიერთობას ცალმხრივად მიიჩნევდა, მისი აზრით, მოვალისაგან გარკვეული შესრულების მოთხოვნის უფლება შეიძლება განპირობებული იყოს კრედიტორისაგან შემხვედრი შესრულებით. ეს უკანასკნელი კრედიტორის მოვალეობა კი არა, არამედ პოტესტატიური პირობაა, ამ პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული კრედიტორის მოთხოვნის უფლების განხორციელება.⁷ ე.ი. სასაწყობო მოწმობით მიმბარებლის მიერ შენახვის საზღაურის გადახდა კრედიტორის მოვალეობა კი არა, ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიღების პირობა ყოფილა. ეს მოსაზრება, ვფიქრობ, “გადამეტებული” მცდელობაა, რათა ფასიანი ქალაქები ჩართონ ცალმხრივ ურთიერთობათა ერთიან სისტემაში. მიბარების ხელშეკრულებაში აღნიშნული – მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის საზღაური – შემნახველის ისეთივე უფლებაა, როგორც რწმუნებულის უფლება მიიღოს მარწმუნებლისაგან გასამრჯელო მინდობილი მოქმედების შესრულებისათვის /ს.კ. 710-ე მუხლი/. საზღაურის გარეშე შემნახველი საქონელს ალბათ, არც შეინახავდა.

ამრიგად, ფასიან ქალაქებში გამოხატული ურთიერთობა შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი, ისე – ორმხრივიც.

ფასიანი ქალაქი, როგორც გარიგება, შეიძლება იყოს როგორც აბსტრაქტული /ჩეკი/, ისე – კაუზალური /სასაწყობო მოწმობა/. ვალდებულების აბსტრაქტულობა არ ნიშნავს ვალდებულების წარმოშობის უსაფუძვლობას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ფასიანი ქალაქის აბსტრაქტულობა ნიშნავს არ იმას, რომ იგი უსაფუძვლოდ გაიკა, არამედ – იმას, რომ ეს საფუძველი დოკუმენტში არ აღინიშნება. დღეს ფასიანი ქალაქების აბსტრაქტულ და

კაუზალურ გარიგებებზე დაყოფის მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ იმ დოკუმენტში მისივე გაცემის საფუძვლის აღნიშვნა, რომელშიც გამოხატული უნდა იყოს ემიტენტის უპირობო ვალდებულება /ჩეკი, თამასუქი/, იწვევს მათ ბათილობას.

ფასიანი ქალაქი, ხელშეკრულება და მისი შინაარსის განმსაზღვრელი და თავად ამ ხელშეკრულების დადების ერთადერთი მტკიცებულება თავად ფასიანი ქალაქია. აქედან გამომდინარე, დოკუმენტის დადგენილი წესით შედგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი, როგორც ფასიანი ქალაქის ნამდვილობისთვის. ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ დოკუმენტის ფორმასა და რეკვიზიტებს, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ფასიანი ქალაქის ფორმაში იგულისხმება მისი შესრულების ტექნიკური მხარე /მაგ., სპეციალურ ბლანკზე შესრულება/, რეკვიზიტების ქვეშ კი – ის ინფორმაცია, რომლითაც ერთი ფასიანი ქალაქი განსხვავდება მეორისაგან.⁸ ე.ი. ფასიანი ქალაქის რეკვიზიტები მისი შინაარსია, დოკუმენტის შინაარსი კი, როგორც ვიცით, ქონებრივი უფლებაა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, დოკუმენტის შინაარსში იგულისხმება არა რეკვიზიტები, არამედ ამ რეკვიზიტებში გამოხატული ინფორმაცია.⁹ ეს უკანასკნელი მოსაზრება შეესაბამება კლასიკურ დოქტრინას, რომლის მიხედვითაც, ფასიან ქალაქში რომელიმე რეკვიზიტის არარსებობა არის ფორმის დეფექტი და იწვევს ფასიანი ქალაქის ბათილობას. ეს დოქტრინა აისახა თანამედროვე კანონმდებლობაში; მაგ., კანონში ჩეკის შესახებ (1-ლი მუხლი) “ჩეკის ფორმა” – აღნიშნულია ჩეკის რეკვიზიტები და მითითებულია, რომ აღნიშნული რეკვიზიტებიდან თუნდაც ერთის გაუთვალისწინებლობა, იწვევს ჩეკის ბათილობას. იგივე შეიძლება ითქვას თამასუქის შესახებ კანონზეც /იხ. თავი 1 – “თამასუქის შედგენა და ფორმა”. ე.ი. კანონმდებელი თითქმის აიგივებს დოკუმენტის ფორმასა და რეკვიზიტებს. მაგრამ ფორმა, ჩვენი აზრით, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე რეკვიზიტი: პირველი მოიცავს მეორეს. როცა ვაზბობთ, რომ ფორმა უფრო ფართო ცნებაა, არ ვგულისხმობთ მის ისეთ “სიფართოვეს”, როგორც ეს მოცემულია, მაგალითად, კანონში ჩეკის შესახებ. კანონის 1-ელ თავში – “ჩეკის ფორმა” – მოთაყვებულია მუხლები, რომელიც ეხება არა მარტო ჩეკ

⁸ იხ., Д. В. Мурзин, Ценные бумаги бестелесные вещи 1998, გვ. 10.

⁹ იხ., В. А. Белов. Вексельное законодательство России 1996, გვ. 80-81.

Комментарий судебно – арбитражной практики, впуск 1, 1994, გვ. 37.



ფორმას, არამედ მისი გამცემის პასუხისმგებლობას, წარმოდგენილის უფლებამოსილების გარეშე. ჩვენი აზრით, ფორმაში, ფასიანი ქაღალდის რეკვიზიტების გარდა, იგულისხმება აგრეთვე მისი **შედგენის წესი**: შესრულებული უნდა იყოს ქაღალდზე, მაგ., სპეციალურ ბლანზეზე, თუ შეიძლება არსებობდეს არამატერიალური სახით; მასში გადასახდელი თანხა უნდა აღინიშნოს რიცხვით, თუ სიტყვიერად; აუცილებელია სპეციალურ ბლანზეზე შედგენა, თუ შეიძლება უბრალო ფურცელზე შესრულდეს.

ფორმის დაუცველობის გამო ფასიანი ქაღალდის ბათილობას შეიძლება არ მოჰყვეს იმ შეთანხმების ბათილობა, რომელიც გამოხატული იყო დოკუმენტში. მაგ., თამასუქის ნამდვილობისთვის აუცილებელია სიტყვის – “თამასუქი” – აღნიშვნა დოკუმენტის სათაურში და ტექსტში, ასევე აუცილებელია იგი შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: უპირობო დავალებას მითითებული ფულადი თანხის გადახდის შესახებ, გადამხდელის დასახელებას, გადახდის ვადას, გადახდის ადგილს, თამასუქის შედგენის თარიღსა და ადგილს, თამასუქის გამცემის ხელმოწერას. თუ დოკუმენტს არ ექნება პირველი რეკვიზიტი – სიტყვა “თამასუქი” – სათაურში და ტექსტში, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც მსესხებლის ხელწერილი. ზეპირი სესხის ხელშეკრულების მტკიცებულებაა მსესხებლის ხელწერილი /მსესხებლის ხელწერილად და არა სესხის ხელშეკრულებად ჩაითვლება დოკუმენტი, რადგანაც ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმა ითხოვს ორივე მხარის ხელმოწერას/, შესაბამისად, ბათილი თამასუქის მხარეებს შორის შეთანხმებაზე შეიძლება გავრცელდეს სესხის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი ნორმები.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ფასიანი ქაღალდით ხელშეკრულების დადასტურებას იმდენად დამოუკიდებელი და ავტონომიური მნიშვნელობა აქვს, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ რთულ იურიდიულ შემადგენლობაზე: ვალდებულებაზე, როგორც პირველ გარიგებაზე, და ამ ვალდებულების გაფორმებაზე, როგორც დამოუკიდებელ მეორე გარიგებაზე.¹⁰ ეს მოსაზრება, არ არის მისაღები, რადგან არ შეიძლება ფასიან ქაღალდში გამოხატული ურთიერთობის ასე გართულება: ვალდებულებაც და ის ქაღალდიც, რომელზეც ვალდებულებაა გამოხატული, ერთად შეადგენს ფასიან ქაღალდს. ზემოთ აღნიშნულ მოსაზ-

რებას თუ გავიზიარებთ, მაშინ შეგვიძლია უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლისთვისაც სანოტარო ფორმა აუცილებელია, ასევე დავეყოთ ორ გარიგებად: პირველი გარიგება – ვალდებულება და მეორე გარიგება – ვალდებულების გაფორმება სანოტარო წესით.

დ. მურზინის აზრით, ფასიანი ქაღალდის ბათილობა ფორმის დაუცველობის გამო არ იწვევს დოკუმენტში გამოხატული შეთანხმების ბათილობას, რადგანაც ამ დროს იცვლება მხოლოდ ხელშეკრულების მტკიცებულების პროცესუალური ფორმა.¹¹ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმის დაუცველობის გამო ფასიანი ქაღალდის ბათილობას შეიძლება არ მოჰყვეს და არა საერთოდ არ მოჰყვეს მასში გამოხატული შეთანხმების ბათილობა. თუ არ მოჰყვა შეთანხმების ბათილობა, ეს ხელშეკრულება დადასტურების პროცესუალური ფორმის შეცვლას კი არ გამოიწვევს, არამედ მთლიანად შეიცვლება შეთანხმების მატერიალურ – სამართლებრივი მნიშვნელობა. როგორც ზემოთ აღნიშნულ მაგალითში ვნახეთ, თამასუქის ფორმის დაუცველობას მოჰყვა ფასიანი ქაღალდის ბათილობა და დოკუმენტი გადაიქცა მსესხებლის ხელწერილად, ე.ი. სათამასუქო ურთიერთობა შეიცვალა სესხის ზეპირი ხელშეკრულებით. დ. მურზინის ამგვარი მოსაზრება აიხსნება მისი განსხვავებული პოზიციით: “მართალია ქაღალდი არის ხელშეკრულების დადასტურება და აქვს სპეციფიკური თავისებურებანი, მაინც დადებული ხელშეკრულების პროცესუალური მტკიცებულებაა... შესაძლებელია ფასიანი ქაღალდი, როგორც ხელშეკრულების მტკიცებულება, შეიცვალოს სხვა დოკუმენტით.”¹²

ფასიან ქაღალდს, პირველ რიგში, აქვს მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი მხოლოდ პროცესუალურ მტკიცებულებად განხილვა არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ერთი ფასიანი ქაღალდი შეიძლება შეიცვალოს სხვა დოკუმენტით /ქაღალდით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ან არა-

¹⁰ იხ., დ.В. Мурзин, Ценные бумаги бестелесные вещи, გვ., 46.

¹¹ იხ., დ.В. Мурзин, Ценные бумаги бестелесные вещи, გვ., 46.
¹² იხ., დ. მურზინის დასახ. ნაშრომი, გვ., 46.


მატერიალიზებული დოკუმენტი/, რომელიც ასევე იქნება მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფასიანი ქაღალდი და არა მხოლოდ პროცესუალური მტკიცებულება.

ამრიგად, ფასიან ქაღალდებში გამონათული ურთიერთობა სახელმწიკრულებო ურთიერთობაა. მას, რა თქმა უნდა, ახასიათებს სპეციფიკური ნიშნები, რაც განასხვავებს სხვა სახელმწიკრულებო ურთიერთობისაგან. ფასიან ქაღალდს იგივე სამართლებრივი

მნიშვნელობა რომ ჰქონდეს, რაც ჩვეულებრივ ხელმწიკრულებას, ფასიანი ქაღალდების გამოყენება ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავდა.

ეკა ზარნაძე,

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი.



ეკა ლაფაჩი

სამკვიდრო ქონების დაცვა

მემკვიდრეობის უფლება კონსტიტუციით აღიარებული და დაცული უფლებაა.

სამკვიდროს დაცვა მემკვიდრეობის უფლების რეალურად განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ სამკვიდროს მიმართ დაცვითი ღონისძიებების გატარების მეშვეობითაა შესაძლებელი სამკვიდრო ქონების განადგურების, განიავეებისა და გატაცების თავიდან აცილება.

მემკვიდრეობის გახსნის მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უკვე შეიძლება მემკვიდრეობის უფლების კანონით დადგენილი წესით გაფორმება, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ამ დროის განმავლობაში სამკვიდრო ქონება დაზიანდეს, განადგურდეს ან ვინმემ მიითვისოს. ამგვარი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, კანონით დადგენილია სამკვიდრო ქონების მიმართ დაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1495-ე მუხლის თანახმად, ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელ ზომებს. აღნიშნული ღონისძიებების მიღება ყოველთვის საჭირო არ არის, რადგან სამკვიდროს დაცვას ძირითადად ახორციელებენ ის მემკვიდრეები, რომლებიც სამკვიდროს მფლობელები ან მმართველნი გახდნენ სხვა მემკვიდრეების გამოცხადებამდე. ასეთ მემკვიდრეებს კანონი განსაზღვრულ მოვალეობებს აკისრებს. მემკვიდრეს, რომელიც არ დაელოდება

სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას და სამკვიდროს ფლობას ან მართვას შეუძლება, უფლება არა აქვს განკარგოს სამკვიდრო, სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე¹, თუმცა მემკვიდრეს შეუძლია გასწიოს ხარჯები მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისათვის მისი ავადმყოფობის დროს, დაკრძალვისათვის, მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის, ხელფასთან დაკავშირებული პრეტენზიებისა და მათთან გათანაბრებული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, ხოლო თუ სამკვიდრო ქონებაში არ მოიპოვება ფულადი თანხები, მაშინ გაიცემა განკარგულება გარდაცვლილის შემდეგ დარჩენილი ნივთების გადაცემის შესახებ, რომელთა ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს გაწეული ხარჯების თანხას. სამკვიდრო ქონების დაცვა შეიძლება გაგრძელდეს სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგაც, თუ ნოტარიუსთან შევა განცხადება მემკვიდრეობის მიღების თანხმობის შესახებ, იმ პირისაგან, რომელთა მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა სხვა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევაში და თუ სამკვიდროს მისაღებად კანონით დაწესებული ექვსი თვის ვადის გასვლამდე დარჩა სამ თვეზე ნაკლები, ამასთან, ნოტარიუსი მოვალეა წინასწარ შეატყობინოს მემკვიდრეებს, სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით

1. ზ. ახვლედიანი – მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 1997 წ., გვ. 80.

მიღებული ზომების შეწყვეტის შესახებ². საქართველოს მოქალაქეთა უცხოეთში გარდაცვალების შემთხვევაში კონსულები ღებულობენ დაცვით ღონისძიებებს გარდაცვალებულის ქონების მიმართ. ამასთან, სამკვიდრო ქონების უფლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ნოტარიუსი, რომელმაც მიიღო შეტყობინება სამკვიდროს განხრის შესახებ, მოვალეა აცნობოს ეს იმ მემკვიდრეებს, რომელთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი მისთვის ცნობილია. ნოტარიუსს აგრეთვე შეუძლია მემკვიდრეების გამოწვევა საჯარო განცხადების ან პრესის მეშვეობით. ნოტარიუსი განუმარტავს სამკვიდროს მიმღებს სხვა მემკვიდრეთა გამოწვევის თაობაზე. დაცვითი ღონისძიება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე.

თუ სამკვიდრო ან მისი ნაწილი სამკვიდროს განხრის ადგილას არ იმყოფება, სანოტარო ორგანო ავალებს ქონების სამყოფელი ადგილის სანოტარო ორგანოს ზომების მიღებას ამ ქონების დასაცავად. სამკვიდროს განხრის ადგილის ნოტარიუსი ქონების დაცვის მიზნით, აღწერს სამკვიდროს და შესანახად გადასცემს მემკვიდრეს ან სხვა პირს. ამავე დროს იღებს ზომებს იმ მემკვიდრეთა მოსაძებნად, რომლებიც სამკვიდროს განხრის ადგილზე არ იმყოფებიან.

სამკვიდრო ქონების აღწერა ხდება საქციალის-ტების, პოლიციის უბნის რწმუნებულის და ორი მოწმის, აგრეთვე აღწერაში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით³.

ნოტარიუსი ადგენს ქონების აღწერისას აქტს, რომელშიც უნდა აღინიშნოს: დარჩენილი ქონების შესახებ განცხადების (შეტყობინების) ან სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების შესახებ დავალების შემოსვლისა და აღწერის ჩატარების თარიღი; აღწერაში მონაწილე პირთა გვარი, სახელი და მისამართი; აქტში ჩამოთვლილი თითოეული საგნის დაწვრილებითი დახასიათება და შეფასება და ა. შ.

იმ შემთხვევაში, თუ შეფასებას არ აწარმოებენ მემკვიდრეები, მათ უფლება აქვთ მოიწვიონ საქციალისტი-შემფასებელი. საქციალისტი-შემფასებლის შრომა ანაზღაურდება მემკვიდრეების ხარჯზე.

თუ სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება შეუძლებელია (მემკვიდრეების ან სამკვიდროს დამტოვებელთან მცხოვრები პირები აღწერის წინააღმდეგნი არიან, ან არ წარადგენენ ქონებას აღსაწერად, ან და ქონება გადატანილია და ა. შ.), ნოტარიუსი ადგენს აქტს. და ამის შესახებ შეტყობინებს დაინტერესებულ პირებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – საფინანსო ორგანოს.

გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ფული შეინახება დეპოზიტში მემკვიდრეთათვის გადაცემამდე. ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (როდიუმი, პალადიუმი, ირიდიუმი, რუთენიუმი) მონეტებში, ზოდის ან ნედლეულის სახით და უცხოური ვალუტა, ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები, მონეტები, საგადამხდელო დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, აქციები და სხვა) ძვირფას ლითონის ნაკეთობანი მემკვიდრეთათვის გადაცემამდე არსებული წესის მიხედვით, შესანახად ბარდება ბანკში.

გარდაცვლილის ქონებაში აღმოჩენილი იარაღი (გარდა სანადირო იარაღისა) და ფეთქებადი ნივთიერებანი, განსაკუთრებული აღწერილობის მიხედვით შესანახად ბარდება ბანკში.

თუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ხელნაწერები, ლიტერატურული შრომები, ისტორიული ან მეცნიერული მნიშვნელობის წერილები, ეს დოკუმენტები ცალკე აღიწერება და გადაეცემა მემკვიდრეებს ან მემკვიდრეების არყოფნის შემთხვევაში, შესაბამის ორგანიზაციებს, რომლებსაც აფრთხილებენ შენახვაში პასუხისმგებლობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ სავალდებულოა დოკუმენტების დოკუმენტები ან ის ადგილი, სადაც დაცულია აღნიშნული სახის დოკუმენტები.

ზოგჯერ აუცილებელია სამკვიდროს მართვა ასეთ შემთხვევაში სანოტარო ორგანო ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. მმართველი დაინიშნება მაშინაც, როცა მემკვიდრეების კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი.

² შ. ჩიკვაშვილი – მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 1999 წ., გვ. 142.

³ ინსტრუქცია “ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ”, პუნქტი 81, გვ.39.



აღნიშნულ ქონებაზე ნოტარიუსი ნიშნავს მცველს, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება. ქონების მეურვეებს და სხვა პირებს, რომელთაც გადაეცათ ქონება შესანახად, აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ სამკვიდრო ქონების გაფლანგვის, გასხვისების, დამალვის და მიყენებული ზარალის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.


სამოქალაქო კოდექსში არ არის მითითებული იმის შესახებ, მიეცემა თუ არა სამკვიდროს მმართველს გასამრჯელო. შეცდომა არ იქნება, თუკი ვივარაუდებთ, რომ შესაძლებელია მმართველს გადაეხადოს გასამრჯელო, თუკი ნოტარიუსი და ის პირი, რომელიც ახორციელებს სამკვიდროს მართვას, წინასწარ შეთანხმდებიან აღნიშნულის

თაობაზე და ეს შეტანილი იქნება შესაბამის დადგენილებაში.

ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით შესანახად მიღებული ან (სპეციალური წესით) გაცემული ფასეულობანი რეგისტრირდება ფასეულობათა აღრიცხვის სპეციალურ დაფთარში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს ნოტარიუსის განსაკუთრებული როლი მემკვიდრეობის მიღების დროს, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება სამკვიდროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ნოტარიუსის მიერ მართებულად და დროულად განხორციელებული დაცვითი ღონისძიება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები.



ნინო კუნცევა-გაბაშვილი

ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური პართიის ორგანიზაცია

საავტორო უფლების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში დადასტურებულია იმ ფაქტით, რომ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს მას ადამიანის უფლებად. კერძოდ, 27-ე მუხლის მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაიცვას თავისი მორალური და მატერიალური ინტერესები, რომლებიც მისი ავტორობით შექმნილი მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომების შედეგს წარმოადგენენ.

ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს ისევე უზრუნველყოს თავის მოქალაქეთა შემოქმედებითი ფასეულობების დაცვა, როგორც იგი იცავს მათ სხვა პირად საკუთრებას. სახელმწიფო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ კულტურული ფასეულობების შექმნა და კულტურის განვითარება დამოკიდებულია მათი დაცვის რეალური მექანიზმების ფუნქციონირებაზე.

ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით ექსპლუატაცია ან ამ უფლების დათმობა სხვა პირის სასარგებლოდ წარმოადგენს ავტორის ექსკლუზიურ უფლებას. ამ ფაქტის პრეზუმპცია საავტორო უფლების ძირითადი ელემენტია.

თავის აბსოლუტური შემადგენლობით ქონებრივი უფლების გამოყენება შეიძლება, თუ მას განახორციელებს პირადად ავტორი. აღნიშნულ შემთხვევაში, უფლების მფლობელი თავად უწევს კონტროლს ნაწარმოების გავრცელებას, შეუძლია პერსონალურად მიიღოს გადაწყვეტილება მისი ექსპლუატაციის ეკონომიკური პირობების თაობაზე და აგრეთვე თვალი ადევნოს თავისი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების სათანადოდ დაცვას.

ახალი ტექნოლოგიების შექმნისთანავე შეუძ-

ლებელი და არაპრაქტიკული გახდა ამ უფლებების ინდივიდუალური მართვა. მაგრამ განსაკუთრებულ უფლებების დაცვის შეუძლებლობა ტრადიციული ინდივიდუალური გზით არ ნიშნავდა მათ გაუქმებას ან მნიშვნელობის შემცირებას.

ინდივიდუალური მფლობელის მიერ უფლებების მართვის შეუძლებლობის კიდევ ერთი მიზეზი არის ნაწარმოების მომხმარებელთა მრავალრიცხოვნობა ინდივიდებს უკვე აღარ შეუძლიათ თვალი ადევნონ ნაწარმოების ყველა გამოყენებას, აწარმოონ მოლაპარაკებანი მომხმარებლებთან და შეაგროვონ საწარმოები. ნაწარმოები შეიძლება იყოს შესრულებული, გადაცემული ეთერით, ჩაწერილი, გავრცელებული სხვადასხვა დროს და ადგილას ისე, რომ ავტორი არ/ან ვერ იქნება ინფორმირებული. მეორე მხრივ, მომხმარებელსაც ყოველთვის არ შეუძლია ზუსტად დაადგინოს ნაწარმოების ყველა მფლობელის ვინაობა და დადოს ყველასთან ინდივიდუალური ხელშეკრულება.

ასეთ შემთხვევაში დგება სავალდებულო ლიცენზიის აუცილებლობის საკითხი და იქმნება საავტორო უფლებების დაცვის ახალი სისტემა და ფორმა - ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციები (ავტორთა საზოგადოებები), რომლებიც ავტორსა და მომხმარებელს შორის შუამავლობაში გამოდიან.

ავტორთა პირველი პროფესიონალური ასოციაციები - ავტორთა საზოგადოებები - შეიქმნა საფრანგეთში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორთა უფლებების აღიარება არის ამ ორგანიზაციების შენაძენი.

პირველი ასეთი ორგანიზაციის დაფუძნება მჭიდროდაა დაკავშირებული ბომარშეს სახელთან

მან დაიწყო მძიმე ბრძოლა თეატრებთან, რომლებიც უარყოფდნენ ავტორის მორალურ და მატერიალურ უფლებებს. 1777 წელს ბომარშეს ინიციატივით ეს წარმატებული ბრძოლა გადაიზარდა Bureau de législation dramatique დაფუძნებაში, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა დრამის ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებად (Société des auteurs et compositeurs dramatiques - SACD). ეს გახდა ავტორთა უფლებების პირველი კოლექტიური მართვის საზოგადოება.

ნახევარი საუკუნის მოგვიანებით ონორე დე ბალზაკი, ალექსანდრე დიუმა, ვიქტორ ჰიუგო და სხვა მწერლები მიჰყვნენ ამ მაგალითს და 1837 წელს დააარსეს მწერალთა საზოგადოება - Société des gens de lettres (SGDL).

1847 წელს კი ორმა კომპოზიტორმა, პოლ ჰენრიონმა და ვიქტორ პარიზოტმა და მწერალმა ერნსტ ბურჟეცმა თავისი გამოცემელთა დახმარებით და მხარდაჭერით დაიწყეს ბრძოლა “კაფე-კონცერტ” “ამბასადორ“-ის წინააღმდეგ, სადაც ავტორისთვის ჰონორარის გადაუხდელად კომერციული მიზნით ასრულებდნენ მათ ნაწარმოებებს. ავტორებმა აქაც მიღწიეს წარმატებას და “ამბასადორ“-ის მეპატრონე იძულებული გახდა ავტორთა სასარგებლოდ გადაეხადა ყოველთვიური გადასახადი.

სასამართლოს ამგვარმა გადაწყვეტილებებმა კომპოზიტორებს და არადრამატული ტექსტის ავტორებს გაუხსნა ახალი შესაძლებლობები. მაგრამ, მეორე მხრივ, ნათელი გახდა, რომ უკვე შეუძლებელი იყო ინდივიდუალურად გაეწიათ კონტროლი თავისი ახალი უფლებების გამოყენებაზე და დაცვაზე. 1850 წელს დაარსდა ახალი კოლექტიური მართვის სააგენტო, რომელიც შემდგომში გადაკეთდა Société des auteurs, compositeurs et éditeurs de musique (SACEM).

გასული საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველი დეკადის მანძილზე ანალოგიური ორგანიზაციები შეიქმნა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. მათ შორის დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა და პირველ პლანზე გამოვიდა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც მოახდენდა ეროვნული ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციას და უფრო გააძლიერებდა საავტორო უფლებების დაცვას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 1926 წლის ივნისში 18 ქვეყნის დელეგაცია აფუძნებს ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციას (International Confederation of Societies of Authors and Composers - CISAC). CISAC-ის წევრთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა და ამჟამად კონფედერაცია აერთიანებს როგორც საშემსრულებლო ხელოვნების ავტორთა

და კომპოზიტორთა უფლებების მართვის, აგრეთვე აუდიოვიზუალური და სახვითი ხელოვნების ორგანიზაციებს.

ტერმინი “ავტორთა საზოგადოება” გამოიყენება არა მხოლოდ კლასიკური საზოგადოების ფორმით შექმნილი გაერთიანების მიმართ, არამედ ნებისმიერი საზოგადოებრივი ან ნახევრადსაზოგადოებრივი ორგანიზაციის შემთხვევაშიც, რომელსაც გააჩნია ანალოგიური ფუნქციები.

ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ და ნაწარმოებების შექმნის ახალმა ფორმებმა საავტორო სამართალში გამოიწვია ისეთი ცნების ჩამოყალიბება, როგორც არის “მომიჯნავე უფლებები”. ამას კი მოჰყვა ახალი ტიპის კოლექტიური მართვის ორგანიზაციების ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომლებიც გაერთიანდნენ ახალ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებში. ახალმა ვითარებამ, რა თქმა უნდა, არ შეცვალა სასცენო ხელოვნების უფლებების მართვის ორგანიზაციების მიზნები და სპეციფიკა. ეს გახდა მუშაობის სხვა მიმართულება, რომელსაც გააჩნია მართვის თავისი კონკრეტული ობიექტი და სუბიექტი, კლიენტი და მიმწოდებელი. უფლებებს, რომელსაც მართავენ ეს ახალი ორგანიზაციები, უწოდებენ “საშემსრულებლო უფლებებს” ან მუსიკალური ნაწარმოებების “მცირე უფლებებს”.

ბოლო წლებში კოლექტიური მართვის საზოგადოებების უფლებები ჩამოყალიბდა როგორც საავტორო უფლებების რეგლამენტაციის დამოუკიდებელი სისტემა. გერმანიის 1965 წლის კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ” ამის თვალსაჩინო მაგალითია.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების თანამედროვე მოდიფიკაციის შედეგია ის, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციების უფლებებმა მიიღო საკმაოდ გავრცელებული რეგლამენტაცია (მაგალითად, ბელგიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ესპანეთში). დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში რეგლამენტაცია გათვალისწინებულია შემცირებული ფორმით, მხოლოდ და მხოლოდ Copyright Royalty Tribunal - ის ტარიფების შესაძლო კონტროლისთვის.

სხვა ეროვნული რეგლამენტაციების უძრავლესობა აგრეთვე შეიცავს კონტროლის ამ ელემენტს, მაგრამ გამომდინარეობენ ზოგადად საავტორო უფლებების დაცვის მიზნების მიღწევაში კოლექტიური მართვის ორგანიზაციათა პოზიტიური როლის პრინციპიდან. ამ ჩარჩოებში გაწონასწორებულად დარეგულირებულია საზოგადოებების უფლებები და მოვალეობანი, აგრეთვე, ერთი მხრივ, მათი ურთიერთობანი თავის წევრებსა

და მათ სამართალმემკვიდრეებთან, და მეორე მხრივ - მომხმარებლებთან. ხელშეკრულებებში ავტორები და/ან მათი სამართალმემკვიდრეები უთმობენ ან გადასცემენ ორგანიზაციას საავტორო ქონებრივ უფლებებს.

საზოგადოება აძლევს მომხმარებლებს უფლებას გამოიყენონ მის მმართველობაში არსებული რეპერტუარი, ან მას შეუძლია აკრძალოს ნებისმიერი გამოყენება. საზოგადოებები დებენ მომხმარებლებთან ხელშეკრულებებს პროცენტის ან ფიქსირებული თანხის და ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული ფორმის მითითებით.

საზოგადოებების გამგებლობაში გადადის გამოყენებაზე კონტროლის და კონტრაქტებში მითითებული საზღაურის შეგროვების ფუნქციები. საზოგადოებები ადგენენ თანხის განაწილების გეგმას და, მმართველობაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით (მოგებისა და სოციალური შემოსავლის მიუღებლად), ანაწილებენ შეგროვილ თანხას სამართალმემკვიდრეებს შორის.

კოლექტიური მართვის საზოგადოებებს შეუძლიათ შეიტანონ სასამართლოში სარჩელი და იმოქმედონ ისევე, როგორც იმოქმედებდნენ თვით ავტორები.

თუ უცხოელები არ არიან თავისი ეროვნული კოლექტიური მართვის საზოგადოების წევრები, მაშინ ისინი იღებენ საზღაურს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ერთმანეთთან დებენ კოლექტიური მართვის საზოგადოებები. ამ გზით ისინი უთმობენ თავიანთ საზღაურის მოთხოვნის უფლებას საზღვარგარეთის ორგანიზაციას და სამაგიეროდ, უცხოეთის საზოგადოება უთმობს თავის უფლებას, რომელსაც თვითონ მართავს. თითოეული ეროვნული საზოგადოება კრებს თანხას, რომელიც მართებულია საზოგადოება - რწმუნებულის რეპერტუარის გამოყენებისთვის და უგზავნის მას თანხას, რომელიც შეესაბამება ამ შემოსავალს. თავის მხრივ, საზოგადოება-რწმუნებული აკეთებს იგივეს თავის ტერიტორიაზე იმ საზოგადოების სასარგებლოდ, რომელთანაც აქვს დადებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება.

საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის საზოგადოებებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ეკონომიკურ ბაზარზე.

საბაზრო ურთიერთობების ყველაზე მარტივი სქემის ელემენტებია: კლიენტი, მიმწოდებელი, ახალი პროდუქტები და ახალი მწარმოებლები. მათსა და ბაზრის შორის დროის კონკრეტულ მონაკვეთში და ყოველი ელემენტის ინტერესის გათვალისწინებით წარმოიშობა ურთიერთობების კონკრეტული ფორმები (უფრო ხშირად - კონფლიქტები), რომლის შინაარსი

და მიმართულება სწრაფად იცვლება. ეს იქნება როგორც სისტემების კლასიკური მოდელი, სადაც სისტემა ყოველთვის მიისწრაფვის სტაბილობისკენ, მაგრამ შიდა და გარე მოვლენები აიძულებენ და უბიძგებენ მას დინამიკასა და განვითარებისკენ.

ასეთ მშფოთვარე სამყაროს სცენაზე გამოდის დამწყები ავტორი, რომელიც ცდილობს ფეხი შედგა ბაზარზე და, უფრო მეტიც, მას უკვე გააჩნია თავისი უფლებები და სამართლიანი მოთხოვნები. ამ ავტორის უფლებების დაცვას შესძლებს მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლისტი - ორგანიზაცია. აუცილებელი იქნება ამ სფეროს რეგულირება, რადგან ავტორის წინაშე იქნება ბაზარი და კლიენტების დიდი რაოდენობა.

საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის საზოგადოებები წარმოადგენენ ფაქტობრივ მონოპოლიებს და იმისთვის, რომ სწორედ წარმოვიდგინოთ მათი ადგილი საბაზრო ურთიერთობებში, ეს ორგანიზაციები უნდა მოვათავსოთ ბაზრის ზემოთ. გამოვიტანოთ მესამე განზომილებაში. ამ სისტემაში უკვე შეუძლებელი ხდება კლიენტის და მიმწოდებლის გამიჯვნა, რადგან კლიენტი იმავდროულად გამოდის მიმწოდებლის როლში, მიმწოდებელი კი - კლიენტის. ირღვევა ბაზრის კლასიკური ფორმა.

მონოპოლიური პოზიციის კომპენსაციისთვის (მაგალითად, გერმანიაში, რასაც ვერ ვიტყვით საფრანგეთზე) კანონი ავალდებულებს საზოგადოებებს დადონ კონტრაქტები. ერთი მხრივ, თხოვნის საფუძველზე, მათ უნდა მართონ ნებისმიერი ავტორის უფლებებით. მეორე მხრივ კი, დაუთმონ, პრინციპში ნებისმიერ მომხმარებელს ნაწარმოების გამოყენების უფლება.

ინფორმაციული საზოგადოების პირობებში მწვავედ დადგა საკითხი კოლექტიური მართვის ორგანიზაციისა ფუნქციებისა და, საერთოდ, არსებობა/არარსებობის საკითხი.

არსებობს უზარმაზარი არასისტემატიზირებული ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც არ არის გათვლილი კონკრეტულ მომხმარებელზე. არ არის ჩატარებული საფუძვლიანი გამოკვლევა, თუ ვის, რამდენი და რა სახის ინფორმაცია ესაჭიროება.

შევეცადოთ გავაკეთოთ პროგნოზი. პერსონალური ინფორმაციული სისტემების შემუშავება გახდება პოსტ-ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პრეროგატივა.

აშშ-ს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში საინფორმაციო მომარაგების სფეროში. ევროპის ქვეყნების ბაზრის დაცვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავისი პერსონალური საინფორმაციო სისტემებისაგან მიღებული შემოსავლების გზით და მათი საავტორო უფლებების დაცვით. ქვეყნებში რაც შეიძლება



სწრაფად უნდა იყოს დანერგილი საინფორმაციო სისტემებისა და კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი რეგულირება.

სავტორო უფლებების დაცვისა და სამართლის

ამ დარგის განვითარების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო გაიზრდება. შესაძლოც კი არის, რომ იგი მოკლე ხანში პრევალირებდეს პატენტების წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

«Collective administration of copyright and neighboring rights», WIPO, Geneva, 1990

UNESCO Copyright Bulletin

Declaration on the collective administration of authors' rights, CISAC, 1992

The PHARE / TACIS Programme - Intellectual Property / List of literature

ესპანეთის ავტორთა უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციის (SGAE) მასალები

ნინო კუნცევა-გაბაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი,
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

დღიური გაბუნია

პლასტიკური ბარათების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე საზოგადოებაში ეკონომიკის პირობებში

ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოითხოვს ფულადი მიმოქცევის მიმართ სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს. საგადასახადო მიმოქცევის ზრდა პრინციპულად სვამს საკითხს ფულადი მიმოქცევის ახალი მექანიზმის შემუშავების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალური შრომითი დანახარჯებით სწრაფ ანგარიშწორებას ფულად-საკრედიტო სისტემაში. მოცემული პრობლემების გადაწყვეტა თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ფულის არსებული ფორმების მასიური გამოყენებით, ვინაიდან თავისი ფიზიკური ბუნებიდან გამომდინარე მას გააჩნია მოძრაობის ზღვარი, განაპირობებს ფინანსური ანგარიშწორების მაღალ შრომით მოცულობას და ამწელებს თავის მოძრაობაზე კონტროლს.

ზემოთქმული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელი გახდა ე.წ. "უქალადო" ტექნოლოგიის შემუშავებით, რომელსაც საფუძვლად დაედო სანდვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ნაღდი ფულის შემცვლელი ტექნიკური მოწყობილობების შემოღებით. საქმე ეხება უნაღდო ანგარიშწორებით მომსახურებაზე გადასვლას, რაც ეტაპობრივად უნდა მოხდეს.


პირველ ეტაპზე აუცილებელია გაფართოვდეს უნაღდო ანგარიშწორება შემნახველი და კომერციული ბანკების საშუალებით, კერძოდ ხელფასების გაცემის პრაქტიკაში. ასევე აუცილებელია მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საქონლის შეძენა ხდებოდეს უნაღდო ანგარიშწორებით.

შემდგომი ეტაპი ეს არის მაგნიტური და მიკროპროცესორული პლასტიკური ბარათების დამკვიდრება, შემდეგ კი გადახდისა და ანგარიშწორების ელექტრონული სისტემები.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა მთელი რიგი ახალი საშუალებების და ტექნოლოგიების დამკვიდრება. ერთ-ერთ ასეთ სიახლეს წარმოადგენს პლასტიკური ბარათი, რომელიც დღესდღეობით ეფექტურად გამოიყენება დასავლეთის ქვეყნების ფულად-საკრედიტო ბრუნვაში.

პლასტიკური ბარათი არის განმარტოვებული ტერმინი, რომელიც განსაზღვრულია ბარათების ყველა ტიპისათვის და მრავალია როგორც დანიშნულებით, ასევე მომსახურების ფარგლებით. პლასტიკური ბარათის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, მიუხედავად მისი სრულყოფილების ხარისხისა, არის ის, რომ მასზე ინახება გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მრავალ სფეროში გამოიყენება.

ყველა პლასტიკური ბარათი, რომელიც გამოიყენება ანგარიშწორებისათვის, შეიძლება იყოს პირადი და კორპორაციული. ბანკები პირად ბარათებს გაცემენ კერძო პირებზე-გადახდისუნარიან კლიენტებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც გახსნეს ანგარიში მოცემულ ბანკში, ან შეიტანეს სადაზღვევო დეპოზიტი და ამავე დროს მოხდა მათი "საკრედიტო ისტორიის" ანალიზი. რაც შეეხება კორპორაციულ ბარათებს, ისინი გაიცემა იურიდიულ პირებზე — მათი გარანტიებისა და უზრუნველყოფის სხვა ფორმების საფუძველზე, აგრეთვე იურიდიული პირის გადახდისუნარიანობის ანალიზის შემდეგ.



ექსპორტული ფულადი ანგარიშწორების სისტემის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო მაშინ, როცა დასავლეთში შეიქმნა ორგანიზაცია ISO (Internacional Standarts Organizacion), რომელმაც გარკვეული სტანდარტები შეიმუშავა პლასტიკური ბარათების გარეგან სახესთან დაკავშირებით. კერძოდ, ანგარიშების ნუმერაციის წესი, მაგნიტური ზოლის ფორმატი, შეტყობინების ფორმატი, რომელიც ეგზანება მფლობელს მისი ოპერაციების შესახებ. ISO-ს წევრები არიან ისეთი მსხვილი საბარათო კომპანები, როგორებიც არიან VISA, Master Card, American Exspres.

სტატისტიკური მონაცემებით 1991 წელს მსოფლიოში გამოშვებულ იქნა დაახლოებით 501,3 მილიონი საბანკო ბარათი. მათგან 53,6% ეკუთვნის VISA-ს, 33,9%- Master Card-ს, 7,37%- American Exspres-ს, ხოლო 5%-Dinners Club-ს. პლასტიკური ბარათების VISA, Master Card, Euro Card-ის წილი ევროპაში 1992 წლისათვის შეადგენდა 45%, შესაბამისად VISA-ს კლიენტთა რაოდენობა იყო 295 მილიონი ადამიანი, Master Card- Euro Card-ის - 150 მილიონი ადამიანი, American Exspres-ის - 92 მილიონი.

თანამედროვე პირობებში დაახლოებით 200 ქვეყანა ახორციელებს საბანკო მომსახურებას საკრედიტო ბარათების საფუძველზე, ხოლო უნაღლო ანგარიშწორება საქონელზე და მომსახურებაზე მრავალ ქვეყანაში აღწევს 90% მთელი ფულადი ოპერაციების სტუქტურაში. მყიდველი, რომელსაც გატენილი საფულე აქვს, უცხოეთში გაკვირვებას იწვევს. ანაქრონიზმად გამოიყურება აგრეთვე სათამაშუქო წიგნაკი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება საკრედიტო ბარათის ზოგიერთი ასპექტის განხილვა.

პირველი საკრედიტო ბარათი გამოშვებულ იქნა აშშ-ში 1914 წელს ფირმა Jeneral Petroleum of California-ს მიერ, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი მსხვილი საავტომობილო ზეთების მწარმოებელი კომპანიაა (Mobil Oil). მეორე მსოფლიო ომამდე საკრედიტო ბარათებმა ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება, რაც გამოწვეული იყო დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ბარათების მკვეთრი ზრდა და ემისია, რის შედეგადაც დღეისათვის მსოფლიოში მიმოქცევაშია ერთ მილიარდზე მეტი საკრედიტო ბარათი, მათ შორის აშშ-ში 600 მილიონი, ანუ საერთო რაოდენობის 60%.

პირველი მასობრივი საგადასახადო ბარათი იყო Dinners Club (დაინერს კლბი), რომელიც 1949 წელს შეიქმნა. Dinners Club-ის განმასხვავებელი ნიშანი იყო ის, რომ კლიენტებსა და კომერციულ ბანკებს შორის არსებობდა საშუამავლო ორგანიზაცია, რომელიც თავის თავზე იღებდა ანგარიშების წარმოებას. სწორედ ამ გარემოებამ მისცა საშუალება Dinners Club-ს გამხდარიყო პირველი მასიური უნივერსალური ბარათი.

1958 წელს გამოშვებულ იქნა პირველი ბარათი "ამერიქან ექსპრესი", რომელიც ძირითადად სამოგზაურო ბიზნესს ემსახურებოდა. საქმე იმაშია, რომ თავდაპირველად უნივერსალური ბარათები იყოფოდა "სამოგზაურო და გასართობი" და წმინდა საბანკო ბარათებად.

70-იანი წლებისათვის გამოიკვეთა ორი ძირითადი კონკურენტი უნივერსალური საბანკო ბარათების ბაზარზე: NBI (National Bank America Incorporaid) და ICA (საერთაშორისო საბარათო ასოციაცია).

ამერიკული საბანკო ბარათების განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა საბანკო ოპრაციების ინტერნაციონალიზაცია. იგი დაიწყო ჯერ კიდევ 1951 წელს, როცა დაინერს კლბმა გასცა ლიცენზია თავისი სახელისა და სქემის გამოყენების შესახებ დიდ ბრიტანეთში. დაახლოებით ამ დროისათვის ბრიტანეთის ოტელების და რესტორნების ასოციაციამ გამოსცა საკრედიტო ბარათი, რომელიც არ იყო საბანკო, მაგრამ უნივერსალურად მინც ითვლებოდა. 1965 წელს ეს სისტემა გაერთიანდა თავის შვედ კონკურენტთან Rikskovt-თან და შექმნა კომპანია Euro Card Internacional-ი, რომლის შტაბ-ბინა შეეცაიშია.

სსა-სა და ნბი-ის შორის კონკურენცია გრძელდებოდა. სსა-მ მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა ბრიტანული სისტემის ექსესკარდთან ხელშეკრულების დადებით. ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ 1976 წელს ნბი-მ თავის ბარათს დაარქვა დღეს ყველასათვის ცნობილი VISA. ანალოგიურად მოიქცა 1980 წელს სსა და თავის ბარათის სახელწოდება Master Charge შეცვალა Master Card-ით.

საბანკო საკრედიტო ბარათი წარმოადგენს პლასტიკურ ბარათს, რომელიც საშუალებას აძლევს მის მფლობელს საქონლის შეძენისა და მომსახურების გადახდა მოახდინოს უნაღლოდ. ბარათის თითოეული მფლობელისათვის განისაზღვრება დაკრედიტების ლიმიტი მისი ანგარიშის მიხედვით, რომელიც აბსო-

ლუტურად დამოუკიდებელია სხვა ანგარიშებისაგან. ბანკის მიერ ემიტირებული ბარათებისათვის ანგარიში წარმოებს სპეციალურ საბანკო განყოფილებაში, რომელიც ახდენს ანგარიშწორებისა და საკრედიტო ბარათების გამოყენების ორგანიზაციას.

ბარათებით სარგებლობა შეუძლია 18 წელს მიღწეულ პირებს, ამასთან არ არის აუცილებელი ანგარიშის გახსნა. აქედან გამომდინარე, საკრედიტო ბარათებით სარგებლობა შეუძლიათ მოსახლეობის ფართო სპექტრს.

ბარათის გაცემამდე ბანკი ან შესაბამისი ორგანიზაცია სთავაზობს კლიენტს შეავსოს სპეციალური ფორმა, რომელიც შეიცავს კლიენტისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ მთელ რიგ მონაცემებს. ამ მონაცემების საფუძველზე ბანკი განსაზღვრავს ფულადი საშუალებების საზღვარს. თუ ბანკს აკმაყოფილებს კლიენტის ფინანსური მდგომარეობა, მაშინ მასზე გაიცემა საკრედიტო ბარათი და ღვინდება დაკრედიტების ლიმიტი. მაგალითად, ღიდ ბრიტანეთში ის წამოადგენს საშუალოდ 300-დან 1000 ფუნტამდე თვეში.

საკრედიტო ბარათი შეიცავს კლიენტის გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაციას-მფლობელის სახელს, მისი საბანკო ანგარიშის ნომერს, ბანკის განყოფილების შიფრს, ბანკის სახელწოდებას, ელექტრონული გადასახადების სისტემას, რომელშიც გამოიყენება მოცემული სახის ბარათები, პოლიგრამას, სარგებლობის ვადას, ბარათის მეორე მხარეს, მაგნიტურ ხაზზე-კლიენტის ხელმოწერას. ოპერაციები, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საკრედიტო ბარათების მეშვეობით მრავალფეროვანია: საქონლის ყიდვა, მომსახურების გადახდა, ნაღდი ფულადი სახსრების მიღება ავანსის ან სესხის მიღება ავანსის ან სესხის სახით ნებისმიერი ბანკისაგან, რომელიც სისტემის წევრს წარმოადგენს. საკრედიტო ბარათების უმრავლესობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაღდი ფულის მისაღებად ბანკომატების (ავტობანკების) მეშვეობით.

ყველაზე ფართო გამოყენება საკრედიტო ბარათებს გააჩნიათ საქონლის შეძენისა და მომსახურების გაწევის სფეროში. საქონელზე გადახდა შეიძლება წარმოებს: ბარათი გადაეცემა გამყიდველს, რომელიც ათავსებს მას სპეციალურ მოწობილობაში ჩეკთან ერთად. მანქანის ჩართვასთან ერთად ჩეკზე იბეჭდება ინფორმაცია, რომელიც დეტალურ მონაცემებს შეიცავს მყიდველის შესახებ. საქონლის ღიდ თანხაზე

შეძენის დროს გამყიდველი ჩვეულებრივ უკავშირდება ტელეფონით ან ფაქსით ბანკს და არკვევს ბარათის დაკრედიტების თავისუფალ ლიმიტს. თანხა და დეტალები განისაზღვრება ანგარიშზე, რომელსაც ხელს აწერს მყიდველი. მას შემდეგ, რაც გამყიდველი შეადარებს ხელმოწერების იდენტურობას, ავანსის ჩეკს ბანკში და ანაღდება გადახდას. ელექტრონული სისტემის მეშვეობით ჩეკი ავტომატურად დებეტირდება და ფულადი თანხები გადადის გამყიდველის ანგარიშზე.

თვეში ერთხელ ბარათის მფლობელი იღებს ინფორმაციას სახსრების მოძრაობის შესახებ მის ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს წარმოებული ოპერაციების თარიღსა და ღირებულების დეტალიზაციას (შესაძლებელია ასევე ოვერდრაფტი – კრედიტი მცირე პროცენტებით). ბარათის მფლობელს უფლება აქვს მთელი დავალიანება გადაიხადოს 25 დღეში, ყოველგვარი პროცენტის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადა დაირღვა, მაშინ ღვინდება პროცენტული განაკვეთები.

ბანკები და ემიტენტი-კომპანიები წარმოებული ოპერაციებიდან ღებულობენ მოგებას სავაჭრო ორგანიზაციებიდან, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სავაჭრო კომპანიები 2-3% ფასდაკლებით ახორციელებენ განაღდებას. თავის მხრივ კომპანიები თვითონაც ხელავენ სარგებლობას, რაც გამოხატულია საქონლის ბრუნვის ზრდითა და კლიენტების მოზიდვით.

ბარათის ნეგატიური მხარეების შესახებ საუბრის დროს ორი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთება: დოკუმენტების ბრუნვის მოცულობა და საკრედიტო ბარათების არამართებული სარგებლობა – თაღლითობა. ღიდ ბრიტანეთში თაღლითობის შედეგად ზარალის საერთო თანხა ყოველწლიურად შეადგენს 80 მილიონ ფუნტ-სტერლინგს. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, იმ მიზნით, რომ სხვამ ვერ მოახერხოს მისი განაღდება, მოქმედებს სპეციალური რეესტრი – STOP LIST. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს ამის შესახებ, ბანკი კი თავის მხრივ ავრცელებს კომპიუტერით ინფორმაციას ყველა წერტილში. ბარათის ნეგატიურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ყოველთვიური გადასახადი 2-2,5% განაკვეთით, ასევე საწყისი შენატანი კომპიუტერული სისტემით მომსახურებისათვის.

უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს საკრედიტო ბარათი, მრავალია. უპირველეს ყოვლისა



პლასტიკური ბარათის პოპულარიზაცია გამოწვეულია დროის მინიმალური დახარჯვით ნაღდი ფულის გარეშე ნებისმიერი ფულადი ოპერაციების განხორციელება. ყველა ოპერაცია ხორციელდება კომპიუტერით, რითაც ტექნიკური მხარეც უზრუნველყოფილია.

თანამედროვე პერიოდში მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც მიმართულია საკრედიტო ბარათების დახვეწისა და არსებული ნეგატიური მხარეების აღმოფხვრისაკენ. მიმდინარე პროცესი გამოხატულია ახალი საკრედიტო ბარათების დანერგვით, კერძოდ:

ა) აღმასრულებელი და ეგზეკიუტიური ბარათები – თანამედროვე პერიოდში გაიცემა მხოლოდ ბანკის მსხვილ კლიენტებზე. ეს ბარათები გაცილებით მეტ ლიმიტს შეიცავენ და უკეთ არიან დაცულნი. აღმასრულებელი ბარათების ტიპიური წარმომადგენელია “ოქროს ბარათი”, “პრემიალური ბარათი” და “პლატინის ბარათი”.

ბ) სათამასუქო-საგარანტიო ბარათი – პლასტიკური ბარათის სახესხვაობაა, რომელიც გამოიყენება კლიენტის თამასუქის გარანტიის სახით. პირველი საგარანტიო ბარათი გამოშვებულ იქნა 1964 წელს. მისი უპირატესობა ის არის, რომ გამოყენების დროს მაქსიმალურად ნაკლები დრო იხარჯება თამასუქის გაფორმების ოპერაციაზე. ამასთან მას ნაკლებად თუ იყენებენ, ვინაიდან მასში დაწესებულია ყოველდღიური ლიმიტი, რაც საშუალებას არ იძლევა ფართო ოპერაციების განხორციელებისათვის.

გ) “SMART CARD” – ეს არის მიკროპროცესორული ბარათი, რომელიც შექმნა 1970 წელს ფრანგმა როლანდ მორენომ. ამ ბარათის უპირატესობა ის არის, რომ მასში მოცემულია ერთი ან ორი მიკროპროცესორი, რომელიც იძლევა საშუალებას გაზარდოს მანსოვრობა და სხვადასხვა ოპერაციების რაოდენობა.

თანამედროვე პერიოდში მიკროპროცესორული ბარათი წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ბარათის ზომის საანგარიშწირებო ბარათს, რომელშიც მოცემულია ე.წ. მიკროჩიპები – მიკროპროცესორები. ამ საშუალებით გაზარდილი მანსოვრობა იძლევა საშუალებას შეინახოს და გამოიყენოს ინფორმაცია მისი მფლობელის შესახებ, კლიენტის ანგარიშის შესახებ, ასევე დაახლოებით ბოლო 200 ოპერაცია, რომელიც წარმოებულ იქნა ბარათის გამოყენებით. ფაქტიურად მიკროპროცესორული ბარათი წარმოადგენს ელექტრონულ სათამასუქო წიგნაკს. მიკროპროცესორული ბარათების უძრავულობას გააჩნია 2-3 ზონა, რომელთა შორის ერთ-ერთი საიდუმლოა. ასეთი ბარათების გაყალბება თითქმის შეუძლებელია. ამასთან დაკრედიტების

ლიმიტი წინასწარ არის დაპროგრამებული მიკროპროცესორში და ყოველი ახალი ოპერაციის დროს თანხა გამოიქვითება საერთო თანხით, რომელიც წარმოადგენს ბარათის “შესაძენ ძალას”. შემდეგი თვის დადგომისას, როცა დავალიანება სრულად დაფარულია, ავტომატურად აღდგება პირველსაწყისი ლიმიტი.

ელექტრონული ბარათები თავის მხრივ სამი სახისაა: მანსოვრობის ბარათი, საგარანტიო ბარათი და სუპერ-სმარტ ბარათი. ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფორმა “ტოშიბა”-ს მიერ გამოშვებული სუპერ-სმარტ ბარათი, რომელიც გამოიყენება VISA-ს სისტემაში. ჩვეულებრივი სმარტ-ბარათისაგან განსხვავებით, მას გააჩნია დისკლეი და დამხმარე კლავიატურა მონაცემების შესანახად. ეს ბარათი აერთიანებს კრედიტისა და დებეტის ბარათებს, ასევე ასრულებს საათის, კალენდრის და კალკულატორის ფუნქციებს, ახორციელებს ანგარიშწორებას ვალუტის კონვერტაციის მიხედვით, შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩასაწერ წიგნაკად. სუპერ-სმარტ ბარათის მაღალი ღირებულების გამო მისი გავრცელების არეალი მეტად ვიწროა, მაგრამ ყოველგვარი ეჭვის გარეშე ახლო მომავალში ჰპოვებს აღიარებას.

დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში მასიურად შემოვიდა სმარტ-ბარათები, რომლებმაც ფაქტიურად შეცვალეს მაგნიტური ბარათი. ეს გამოიწვია იმ უპირატესობამ, რომელიც პირობითად სამ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველი შეიცავს მონაცემებს მოცემული კრედიტის შესახებ. ბარათით სარგებლობის წესი სავაჭრო დაწესებულებებში ანალოგიურია უკვე არსებულ სიტემასთან (დამთვლელი აპარატი და პირადი კოდი). კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმება განხორციელდება ტელეფონით მხოლოდ ბარათში გათვალისწინებული ლიმიტის გადაცილებით, რაც იძლევა შესაძინევ ეკონომიას სხვა ჩვეულებრივ ბარათებთან შედარებით. რაც შეეხება მიკროპროცესორის ორ სხვა უბანს, ისინი ღიაა და არ საჭიროებენ პირად კოდს, ვინაიდან თანხები უმნიშვნელოა. სქემის მეორე ნაწილი ინახავს მონაცემებს სატელეფონო საუბრებისათვის. თანხა აქ განსაზღვრულია, რაც იძლევა ეკონომიის საშუალებას, კერძოდ, აღარ არის საჭირო ტელეფონის ბარათების ცალკე შექმნა. პროცესორის მესამე უბანი წარმოადგენს ე.წ. “ელექტრონულ ქისას”, რომლის დახმარებითაც შეიძლება შექმნილ იქნეს ბილეთები ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ე.ი. უკვე აღარ იქნება საჭირო ხურდა ფულის ტარება.

მრავალფუნქციონალური ბარათების სახესხვაობას წარმოადგენს ლანერული ბარათები, რომლის შექმნა მოხერხდა უახლესი ტექნოლოგიის გამოყენე-

ბით. ამ ბარათების საშუალებით შესაძლებელია არა მარტო ანგარიშწორება, არამედ მფლობელის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა. ამისათვის საკმარისია ბარათის სენსორზე ხელის დაჭერა და ეკრანზე გამოისახება ინფორმაცია მფლობელის ჯანმრთელობის შესახებ.

საბარათო სისტემის განვითარება საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში პირველად დაიწყო რუსეთში. დღეისათვის ფაქტიურად პლასტიკურ ბარათების მონოპოლია გააჩნია კომპანია “ორტკარდ“-ს, რომელიც თავის კლიენტებს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს.

რუსეთში საკრედიტო ბარათები მიმოქცევაში შემოვიდა 1991 წელს. პირველი ემიტენტები იყვნენ ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორცაა VISA და MasterCard-ი. შემდგომ პერიოდში თვით რუსეთის ბანკებმა დაიწყეს პლასტიკური ბარათების გამოშვება და მიმოქცევაში გაშვება.

მართებული არ იქნებოდა იმის თქმა, რომ საბჭოთა პერიოდში საკრედიტო ბარათები არ მოქმედებდა კავშირის ტერიტორიაზე. საქმე იმაშია, რომ მისი გამოყენების სფერო იყო ვიწრო: საკრედიტო ბარათები ძირითადად გამოიყენებოდა უცხოელი ტურისტების, მსხვილი ბიზნესმენების მიერ და მისი გავრცელების არეალი “ინტურისტები“-ს სასტუმროების ქსელით შემოიფარგლებოდა.

დღეს-ს ქვეყნებში დღესდღეობით ყველაზე ეფექტურად მოქმედებს ავტომატები ანუ ბანკომატები, რომლის ძირითადი დანიშნულებაა პირად ანგარიშზე მყოფი ფულის განაღდება. ზემოაღნიშნული ელექტრონული მოწყობილობა ფუნქციონირებს მაგნიტური ბარათების მეშვეობით. მაგნიტურ ზოლზე “ჩაწერილია” ინფორმაცია მფლობელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ბარათის ჩადებით ბანკომატი კრიფტავს პერსონალურ ნომერს და მათ უერთებს ATM-ის ანგარიშწორების ელექტრონულ სისტემას. ამ საშუალებით ATM ემებს კლიენტის ანგარიშს და შეუძლია განახორციელოს შემდეგი ოპერაციები: გასცეს ნაღდი ფული კლიენტის ანგარიშიდან ან მიიღოს ნაღდი თანხა ან ჩეკი კლიენტისაგან, შეამოწმოს ანგარიშის ბალანსი და მრავალი სხვა. ოპერაციების საერთო რაოდენობა შეადგენს 125-ს.

საქართველოში პლასტიკური საბანკო ბარათების გამოყენების სფერო მეტად მწირია. თანამედროვე პერიოდში ხდება მათი დამკვიდრება და მოქმედების არეალის გავრცელება. დღესდღეობით 300-ზე მეტი ორგანიზაცია აწარმოებს ბარათებით ანგარიშწორებას, რაც უდავოდ დიდი მიღწევაა. გარდა საერთაშორისო საკრედიტო ბარათებისა, მოქმედებს

საქართველოს ბანკის მიერ ემიტირებული პირველი ქართული ბარათი “ჯორჯიან ქარდი”, რომელიც მომხმარებელს მომსახურების ფართო სპექტრს აძირდებოდა.

დიდი წარმატება მოიპოვა ამ სფეროში “აბსოლუტბანკმა”, რომელიც პირველი ეზიარა საერთაშორისო საბარათე სისტემის – VISA Internacional-ის ძირითადი წევრის სტატუსს. აბსოლუტბანკმა 1996 წელს ჩამოაყალიბა საპროცესინგო კომპანია UFC და კლიენტებს შესთავაზა ლოკალური UFC ბარათი. მომდევნო წელს კიდევ ოთხი ბანკი გახდა UFC-ის წევრი. ეს კომპანია უზრუნველყოფს როგორც UFC, ასევე საერთაშორისო VISA, MasterCard ბარათებით ანგარიშწორებას თბილისის სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში შეიძლება საკრედიტო ბარათების განვითარების რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთოს: პირველი – საბანკო მომსახურების ბარათი განიცდის სერიოზულ ცვლილებებს და უკანასკნელ წლებში მიიღო დინამიური განვითარების სახე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ, საქართველოს მოწინავე კომერციული ბანკების მუშაობა საერთაშორისო სისტემებთან, მეორეს მხრივ გამოშვებულ იქნა ქართული ბარათები, რომელიც დასაბამს აძლევს პლასტიკური ბარათების საკუთარი ბაზრის შექმნას.

მეორე – საქართველოში პლასტიკურ ბარათებს ახლად აქვს ფეხი მოკიდებული, ამიტომ კონკურენციაზე შიდა ბაზარში ჯერ-ჯერობით ზედმეტი საუბარი.

მესამე – თანდათანობით ფართოვდება პლასტიკური ბარათების მოქმედების ინფრასტრუქტურა (მაღაზიები, რესტორნები, სერვისი).

მეოთხე – საქართველოში გამოშვებული ბარათი არის დებეტური ხასიათის, რაც გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობით (ინფლაცია, ეროვნული ვალუტის არამდგრადობა).

მეხუთე – ბარათების უმრავლესობა არის მაგნიტური, ვინაიდან იაფია მისი დამზადება და მომსახურების გამწვევი დანადგარების დამონტაჟება. იმისათვის, რომ მოხდეს ახალი თანამედროვე ბარათების წარმოება და მათი მომსახურების მოწყობილობების შექმნა, უზარმაზარი თანხებია საჭირო, რაც დღესდღეობით ნაკლებად შესაძლებელია.

საქართველო, როგორც “საბარათო ბიზნესის” ახალბედა წარმომადგენელი, ფლობს უნიკალურ



შესაძლებლობას, გაითვალისწინოს ტრადიციული საანგარისწორებო სისტემების გამოცდილება და თანამედროვე დონის შესაბამისად განავითაროს მომსახურების სფერო.

საკრედიტო ბარათების ფართო გავრცელება ბევრ პრობლემებს მოხსნის ფულად-საკრედიტო სისტემაში.


პირველი, თაღლითობა;

მორე, ავტორიზაციის აუცილებელი მოხსნა, რაც გულისხმობს იმას, რომ არ იქნება საჭირო კომუნიკაციის გამოყენება ყოველი წარმოებული ოპერაციისთვის;

მესამე, ფულადი მიმოქცევის რეგულირება.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკურ და

სამართლებრივ ლიტერატურაში ფაქტიურად არ არის გაშუქებული საკრედიტო ბარათების, მათი გამოყენების მნიშვნელობა. რეალურად კი მათზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება. ამიტომ საჭიროა ამ თემის სათანადო დონეზე დამუშავება და თეორიული ბაზისის შექმნა, რათა მოხდეს მისი შემდგომი პრაქტიკული პოპულარიზაცია. ეს შესაძლებელი გახდება დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების, საბანკო ბარათების გამოყენების, მათი უპირატესობისა და ნაკლოვანებების სერიოზული ანალიზის საფუძველზე. პლასტიკური ბარათების დანერგვა და დამკვიდრება ხომ ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემაში "ტექნოლოგიური რევოლუცია" იქნება.



საკონსტიტუციო სამართალი

ნანა ჭილაძე

პარლამენტის რეგლამენტის მოხულობასა და

ნორმატიულ ხასიათთან დაკავშირებული

საკითხები

“საპარლამენტო სამართლის” ცნება არც თუ ისე დიდი ხანია გამოჩნდა იურიდიულ ლიტერატურაში და აიხსნება მეცნიერთა მისწრაფებით, რათა დაასაბუთონ ქვეყანაში არსებული იმ სამართლებრივი აქტებისა და ნორმების სიმტკიცე და მდგრადობა, რომლებიც არეგულირებენ პარლამენტის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს. ბუნებრივია, საუბარია არა დამოუკიდებელ დარგზე, არამედ საპარლამენტო სამართლის ინსტიტუტზე კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა პარლამენტის რეგლამენტი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს წარმომადგენლობითი დაწესებულების სტრუქტურასა და მუშაობის წესს. “რეგლამენტს” საფუძვლად უდევს ფრანგული სიტყვა “reglement” - “regle” და იგი წესს ნიშნავს.

აღნიშნული ნორმატიული აქტის მნიშვნელობა საპარლამენტო სამართალში მეტად დიდია. ფართო მასებისათვის პარლამენტის რეგლამენტი, როგორც წესი, თითქმის უცნობია, ვინაიდან ესაა შიდა, ასე ვთქვათ, პარლამენტართა სამუშაო დოკუმენტი. ფაქტობრივად, პარლამენტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს სწორედ რეგლამენტით, რომელიც ყოველი ცალკეული პარლამენტარის, საპარლამენტო ჯგუფისა და პალატისათვის ადგენს საშუალებათა ერთობლიობას და საზღვრებს კონსტიტუციური უფლებამოსილებების განსახორციელებლად. ფრანგი ეჟენა პერა რეგლამენტთან დაკავშირებით წერს, რომ “გარეგნულად ის სხვა არაფერია, თუ არა კრების შინაგანი კანონი . . . არსებითად უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე კონსტიტუცია”¹. რეგლამენტი პარლამენტის მუშაო-

ბის სწორი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი იურიდიული ბაზაა. მისი განსაკუთრებული სტატუსის გამო იურიდიულ ლიტერატურაში ხაზგასმულია დეტალების სახით კონსტიტუციის შეცვლის შესაძლებლობა სამართლებრივი დებულებების შეტანის გზით, რომელთაც არსებითად კონსტიტუციური ხასიათი აქვთ. ამიტომ არც თუ იშვიათად გაისმის მოწოდება, რომ რეგლამენტი არ შეიძლება გადაიქცეს სახელმწიფოს მეორე კონსტიტუციად². იგი თავისი განსხვავებული შინაარსით დამოუკიდებელ ადგილს იკავებს ნორმატიული აქტების სისტემაში. “რეგლამენტი განსხვავდება კანონისაგან და ყველა სხვა აქტისაგან (როგორც თავისი იურიდიული ბუნებით, ისე ფორმით), რომელსაც იღებს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ამიტომ ავტორთა დიდი ჯგუფი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტს განიხილავს სამართლის წყაროს ცალკე სახედ”³.

რეგლამენტის, როგორც საპარლამენტო ცხოვრების მომწესრიგებელი ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტის მნიშვნელობას ზოგჯერ თვით კონსტიტუციის ფორმულირებები ადასტურებენ. მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციაში ხაზგასმულია, რომ “თუ პარლამენტართა კრება არ მიმდინარეობს რეგლამენტის შესაბამისად, იგი არ აკავშირებს პარლამენტს, პალატის წევრებს, ამ შემთხვევაში მათ არ

¹ Крылов Б. С., Парламент буржуазного государства, М., 1963, стр. 168.

² Ковачев Д. А., Парламентская процедура, понятие, виды, регламентация, «Вестник межпарламентской ассамблей», 1994, №4, стр. 196.

³ Авакьян С. А., Правовое регулирование деятельности советов, Конституционные основы, теория, практика, М., 1980, стр. 119.

შეუძლიათ განახორციელონ თავისი ფუნქციები, ისარგებლონ მათთვის მინიჭებული პრივილეგიებით”.

საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობაში პარლამენტის საქმიანობის რეგლამენტაციის უფლება ეკუთვნის თვით პარლამენტს. თავის გადაწყვეტილებას ამ უფლების რეალიზაციის შესახებ ის განამტკიცებს კონსტიტუციებში და განსაკუთრებულ იურიდიულ აქტებში – რეგლამენტებში. რუსეთის კონსტიტუციის 101-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩაწერილია, რომ “ყოველი პალატა იღებს თავის რეგლამენტს და წყვეტს თავისი საქმიანობის შინაგანაწესს”. მოლდავეთის კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველ პუნქტში ხაზგასმულია, რომ “პარლამენტის სტრუქტურა, ორგანიზაცია და საქმიანობა განისაზღვრება რეგლამენტით”. ასევეა აშშ-ის, გერმანიის, ესპანეთის, იაპონიის და ა.შ. კონსტიტუციებში. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ავტორებმაც საჭიროდ ჩათვალეს ძირითადი კანონის ტექსტში დაეფიქსირებინათ რეგლამენტის სტატუსი და 49-ე მუხლის მესამე პუნქტში ჩაწერეს, რომ “პარლამენტის სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით”.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია უფრო შორსაც მიდის და განამტკიცებს რეგლამენტის მიღების წესთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს. კერძოდ, საფრანგეთის კონსტიტუციის 61-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩაწერილია, რომ “პარლამენტის რეგლამენტები, მათ ძალაში შესვლამდე, წარედგინება საკონსტიტუციო საბჭოს, რომელიც გამოთქვამს აზრს მათი კონსტიტუციურობის შესახებ”. იტალიის კონსტიტუციის 64-ე მუხლი ადგენს, რომ “წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პალატა იღებს თავის რეგლამენტს”. რუმინეთის კონსტიტუციის 74-ე მუხლის ძალით კი, “რეგლამენტები მიიღება ყოველი პალატის წევრთა ხმების უმრავლესობით”.

საქართველოს პარლამენტის დღეს მოქმედი რეგლამენტი ძალაში შევიდა 1997 წლის 17 ოქტომბერს. ახალი რეგლამენტის მიღების საჭიროება გამოიწვია 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის ამოქმედებამ, რომელმაც ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს განუსაზღვრა განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელი შეიქმნა საპარლამენტო ცხოვრებაში წარმოშობილი ახალი ურთიერთობების დამატებითი და ახლებური მოწესრიგება. ბუნებრივია, რეგლამენტის ამოსავალი წყარო კონსტიტუციაა და იგი მიზნად ისახავს პარლამენტის კონსტიტუციური ფუნქციების კონკრეტულ რეგლამენტაციას, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, საპარლამენტო ცხოვრების ახალი წესების დამკვიდრებას, არსებული მისაღები ნორმების განმტკიცებას და მოქნილ სამართლებრივ

მექანიზმებად გადაქცევას. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტა იყო პარლამენტის რეგლამენტის მიზანი, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა და შედგება თოთხმეტი კარის, 55 თავისა და 214 მუხლისაგან. თუმცა რეგლამენტის ტექსტთან, მისი შემუშავების დასაწყისიდან დღემდე, დაკავშირებულია არაერთი პრობლემა, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი რეგლამენტის ნორმატიულ ხასიათთან დაკავშირებით. არც იურიდიულ ლიტერატურაში და არც საპარლამენტო პრაქტიკაში არ არსებობს ცალსახა აზრი, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იურიდიული ფორმა უნდა ჰქონდეს პარლამენტართა სამუშაო დოკუმენტს – იყოს ის კანონი, დადგენილება თუ სხვა სახის გადაწყვეტილება. ვ. კრილოვი აღნიშნავს, რომ “რეგლამენტი ნორმატიული თვალსაზრისით, ესაა პალატის რეზოლუცია, რომელშიც განსაზღვრულია პალატების იმ ფუნქციების განხორციელების წესი, რომელიც დაკისრებული აქვთ მათ კონსტიტუციით”⁴. მარსელ პრელოს მიაჩნია, რომ “სიტყვის მატერიალური აზრით, რეგლამენტი განსაზღვრავს ყოველი პალატის შინაგან ორგანიზაციას და აფიქსირებს საპარლამენტო პროცედურის წესებს, ფორმალური მხრივ, ესაა რეზოლუცია, ანუ წინადადება, რომელიც მიღებულია ორი პალატიდან ერთის მიერ და არაა პრომულგირებული”⁵. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს რეგლამენტის ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით ნ. პოპოვი, რომელიც წერს, რომ “პარლამენტის რეგლამენტის სტატუსი . . . არაერთმნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ისინი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შიდა დოკუმენტებია და, როგორც ასეთები, ატარებენ კანონქვემდებარე (რეგლამენტურ) ხასიათს, მეორე მხრივ, პალატების მიერ მისი მიღების წესით, ანუ საკანონმდებლო ხელისუფლების მატარებლობით, ისინი უახლოვდებიან კანონებს და ბოლოს, ფაქტობრივად, მათი რეგულირების ობიექტით – საპარლამენტო, მათ შორის საკანონმდებლო საქმიანობით, ისინი იკავებენ კანონის ზედა მდგომარეობას, რადგან არ შეიძლება მივიღოთ რეგლამენტში ჩაწერილი პროცედურების გვერდის ავლით. (გამონაკლისი დაკავშირებულია, მაგალითად, კანონშემოქმედების რეფერენდულ წესთან, რომელიც თვით კონსტიტუციითაა გათვალისწინებული)”⁶. ბევრი

⁴ Крылов Б. С., Парламент буржуазного государства, М., 1963, стр. 167.

⁵ იქვე.

⁶ Попов И. Ю., Парламент Италии, Парламенты мира, Сборник, М., Интерпракс, 1991, стр. 165-166.

ავტორი კანონის ფორმით რეგლამენტის მიღებას არსებით მნიშვნელობას ანიჭებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით “არაფერია გასაკვირი იმაში, რომ პარლამენტარები არ განიხილავენ რეგლამენტის მოთხოვნებს, როგორც სერიოზულ შეზღუდვებს”⁷.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები თუ პრაქტიკოსი მოღვაწეები ხაზს უსვამენ რეგლამენტის განსაკუთრებულ ბუნებას და ერთ-ერთ, განმსაზღვრელ როლს საპარლამენტო სამართლის მომწესრიგებელ ნორმათა შორის, როგორც წესი, უარს ამბობენ კანონის ფორმით მიღებაზე. ეს, უწინარესად, გამოწვეულია იმით, რომ მსგავსი დამოკიდებულებით გამორიცხავენ რომელიმე სხვა ხელისუფლების ჩარევას საპარლამენტო საქმიანობაში და ამით პარლამენტს უნარჩუნებენ დამოუკიდებლობასა და ავტონომიას შიდა ორგანიზაციაში. ცხადია, თუ რეგლამენტს ექნება კანონის ფორმა, მან უნდა გაიაროს კანონის მიღებისათვის დაწესებული ყველა პროცედურა, მათ შორის კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერის აუცილებელი ეტაპი. ყოველივე ეს კი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს პარლამენტის საშინაო ცხოვრებაში ჩარევის საშუალებას მისცემს. “თუ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტი არ არის კანონი, მაშინ გასაგებია, რომ პარლამენტის ბედზე, ანუ პარლამენტის საქმიანობის პროცედურაზე არ შეიძლება გავლენა მოახდინონ იმ სახელმწიფო ორგანოებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან განსაზღვრული უფლებამოსილებებით კანონთან დაკავშირებით, როგორცაა პრეზიდენტი, მონარქი ან კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო”⁸.

მაშასადამე, პარლამენტის რეგლამენტის სპეციფიური ბუნება არის გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს პარლამენტის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თავისი საქმიანობის განსაზღვრაში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში მსგავსი გარანტია არ არსებობს და პარლამენტის რეგლამენტი და კანონი ერთმანეთშია გაიგივებული. ბუნებრივია, მიზანი ერთია – რეგლამენტისათვის მაღალი იურიდიული ძალის მინიჭება. ავსტრიის ეროვნული საბჭოს შინაგანი ორგანიზაცია და მუშაობის წესი დეტალურად განსაზღვრულია მისი რეგლამენტით,

რომელიც მიიღება ფედერალური კანონის ფორმით. დღესდღეობით მოქმედებს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ კანონი, რომელიც მიღებულია 1975 წელს, მასში შეტანილია შესწორებები.”⁹ გამონაკლისი მხოლოდ ავსტრია როდია. უკრაინის კონსტიტუციის 88-ე მუხლში ჩაწერილია, რომ “უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარე ახორციელებს უფლებამოსილებებს, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კონსტიტუციით, უკრაინის უმაღლესი რადის მიერ მიღებული რეგლამენტის შესახებ კანონით”. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე უკრაინის უმაღლესი რადის რეგლამენტი განსაზღვრავს, რომ “რეგლამენტს გააჩნია კანონის ძალა.”¹⁰ სომხეთში მოქმედებს კანონი სომხეთის ეროვნული კრების რეგლამენტის შესახებ, კანონის ფორმითაა ასევე მიღებული პოლონეთის რესპუბლიკის სეიმისა და სენატის რეგლამენტები და ა.შ. როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთში პარლამენტის პალატის რეგლამენტები, მსგავსად კანონებისა, მათ ძალაში შესვლამდე საკონსტიტუციო საბჭოს წარედგინება, რომელიც ადასტურებს მათ შესაბამისობას კონსტიტუციასთან. “1958 წლის 7 ნოემბრის 23-ე ორდონანსის თანახმად, რომელიც შეეხება საკონსტიტუციო საბჭოს, თუ ეს უკანასკნელი გადაწყვეტს, რომ მისთვის განსახილველად გადაცემული პარლამენტის პალატის რეგლამენტი შეიცავს დებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ეს დებულებები არ შეიძლება სამოქმედოდ შემოიღოს მისმა მიმღებმა პალატამ”¹⁰. ე.ი. ფრანგული კანონმდებლობა ხაზს უსვამს რეგლამენტის განსაკუთრებულ როლს ნორმატიულ აქტთა შორის და კანონებთან ერთად მას ძალაში შესვლამდე კონსტიტუციურ კონტროლს უქვემდებარებს.

საქართველოს პარლამენტის მოქმედი რეგლამენტის შემუშავების პროცესში ფართო დისკუსია გაჩაღდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რეგლამენტის იურიდიული ფორმა. კანონად მისი მიღება ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო დასაწყისშივე გამოირიცხა, არც ყველა კანონქვემდებარე აქტთან მისი გაიგივება ცნეს მიზანშეწონილად მოსაწესრიგებელი სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. ჩამოყალიბდა აზრი, რომ რეგლამენტი მიეღოთ კანონის ძალის მქონე

⁷ Лукашук А., Номенклатурный парламентаризм для квазигосударств, Конституционное право. Восточноевропейское обозрение, 1995, №2, стр. 50.

⁸ დ. კოვაჩევის დასახ. ნაშრომი, გვ.135.

⁹ Ильинский И. П., Австрийский парламент, Сб. Парламенты мира, М., Интерпракс, 1991, стр. 24.

¹⁰ Французская республика: Конституция и законодательные акты, М., Прогресс, 1989, стр. 249.



აქტის ფორმით, რაც, ერთი მხრივ, შექმნიდა აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევის შეუძლებლობას შიდა საპარლამენტო საქმიანობაში, ხოლო მეორე მხრივ, განუსაზღვრავდა რეგლამენტს მაღალ იურიდიულ ძალას. ავტორები საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად იშველიებდნენ თვით კონსტიტუციის ტექსტს, რომელმაც დაამკვიდრა კანონის ძალის მქონე აქტის ცნება. კერძოდ, ეს ტერმინი გამოიყენა საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტების იურიდიული შინაარსის განსაზღვრისას (მუხლი 73, 1 (თ)) და იმ აქტებთან დაკავშირებით, რომლებიც კანონებთან ერთად მიიღება საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად (მუხლი 65, 2(ე)). ავტორთა უმრავლესობამ საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა და მიიჩნია, რომ კონსტიტუციამ ამომწურავად განსაზღვრა აქტები, რომელთაც შეიძლება კანონის ძალის მქონე აქტის სტატუსი ჰქონდეთ და რეგლამენტის კანონის ძალის მქონე აქტად გამოცხადება არაკონსტიტუციურად ჩაითვლება. ამდენად, გამოირიცხა რეგლამენტის კანონის ძალის მქონე აქტად მიღების შესაძლებლობაც. მიმდინარე კანონმდებლობაში სხვა კანონქვემდებარე აქტებს შორის პარლამენტის რეგლამენტის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა იმით მტკიცდება, რომ ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტში ჩაწერილია: “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მომზადება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისათვის დადგენილი წესით და იგი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა”. ამრიგად, ნორმატიული აქტების შესახებ კანონმა პარლამენტის რეგლამენტი გამოარჩია სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს შორის და მისი მომზადებისთვის დააწესა იგივე პროცედურა, რაც საქართველოს კანონისთვისაა განსაზღვრული.

საინტერესოა საკითხი პარლამენტის რეგლამენტის მოცულობის შესახებ – რა საკითხები უნდა იყოს რეგლამენტის მოწესრიგების საგანი? იგი უნდა შეიცავდეს საპარლამენტო სამართლის მხოლოდ პროცესუალურ თუ მატერიალურ ნორმებსაც? უნდა განსაზღვრავდეს პარლამენტის სუბიექტების უფლებამოსილების განხორციელების წესს თუ მათ სამართლებრივ მდგომარეობასაც? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ავტორთა ერთი ჯგუფი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტს განიხილავს ისეთ სამართლებრივ აქტად,

რომელიც უნდა მოიცავდეს საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ნორმას, მეორე ჯგუფი კი, მის შინაარსს მოიაზრებს უფრო ვიწროდ და მიიჩნევს, რომ რეგლამენტში განსაზღვრული უნდა იყოს საპარლამენტო ცხოვრების მხოლოდ პროცედურული წესები, სხვა საპარლამენტო საკითხები კი მიმდინარე კანონმდებლობის რეგულირების საგანია. დ. კოვაჩევი ხაზს უსვამს, რომ “რეგლამენტში აუცილებელია ისეთი სამართლებრივი დებულებების განმტკიცება, რომლებიც ადგენენ პარლამენტის კომპეტენციას, განსაზღვრავენ მის საქმიანობაში მონაწილე სუბიექტთა წრეს და ამ სუბიექტთა მატერიალური უფლებაუნარიანობის შინაარსს, რომლებსაც ისინი ფლობენ პარლამენტის მუშაობაში მათს მონაწილეობასთან დაკავშირებით, განამტკიცებენ წესს, რომელზედაც დამოკიდებულია პარლამენტის ფუნქციონირება”¹¹. ვ. ჩირკინი აღნიშნავს, რომ “რეგლამენტი ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს პალატების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს”¹².

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების საპარლამენტო პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ისეთი სამუშაო დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროცედურული წესების რეგლამენტაციით იფარგლება და უარს ამბობს საპარლამენტო სტრუქტურების განსაზღვრაზე. ცალკეული სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირებაზე და აღნიშნული საკითხების მოსაწესრიგებლად სხვა საკანონმდებლო აქტზე მიუთითებს. რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის რეგლამენტი ცალკე განყოფილებას უთმობს სახელმწიფო დუმის შინაგან მოწყობას და ორგანობებს, დეტალურად საუბრობს დუმის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებზე, სახელმწიფო დუმის საბჭოზე, დეპუტატთა გაერთიანებებზე, კომიტეტებსა და კომისიებზე; საფრანგეთის ეროვნული კრების სამუშაო დოკუმენტში ცალკე თავებადაა ჩამოყალიბებული ეროვნული კრების ბიუროს უფლებამოსილებანი, შემადგენლობა, არჩევის წესი, ასევე ცალკე თავები აქვს დათმობილი მუდმივი და სპეციალური კომისიების შემადგენლობას, არჩევის წესს, მუშაობას. აშშ-ის სენატის რეგლამენტშიც ცალკე თავებშია მოცემული კომიტეტების არსი, მათი ფორმირებისა და მუშაობის წესი, შემთანხმებელი კომიტეტები და ა.შ.

¹¹ დ. კოვაჩევის დასახ. ნაშრომი, გვ.196.
¹² Сравнительное Конституционное право, отв. ред. Б.Е. Чииркин, М., 1996, стр. 535.

ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემა ქართულ სინამდვილეშიც არსებობს. რეგლამენტის მოცულობასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ ორივე პოზიციას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩვენი აზრით, პარლამენტის რეგლამენტი უნდა იყოს ნორმატიული აქტი, რომელიც იქნება საპარლამენტო საქმიანობის მომწესრიგებელი ყველა ნორმის ერთობლიობა, ე.ი. მისი ტექსტი უნდა შეიცავდეს პარლამენტის უფლებამოსილებებს, მათი განხორციელების სამართლებრივ რეგლამენტაციას, პარლამენტის სტრუქტურას, საპარლამენტო სტრუქტურების სამართლებრივ მდგომარეობას და, რა თქმა უნდა, პარლამენტის მუშაობის ყველა პროცედურული წესის ერთობლიობას. ასეთ შემთხვევაში რეგლამენტი აღმოჩნდება პარლამენტის წევრის ერთგვარი კოდექსი, რომელიც დებუტატებს ოპერატიულად უზრუნველყოფს საჭირო საკანონმდებლო ინფორმაციით, სრულყოფილი იურიდიული ნორმები, დაეხმარება ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში, შექმნის სამუშაო დროის დაზოგვის შესაძლებლობას, რადგან გამორიცხავს საპარლამენტო ცხოვრების მომწესრიგებელ მრავალფეროვან ნორმატიულ აქტებში საჭირო ნორმის მოძებნის აუცილებლობას. ვფიქრობთ, თვით კონსტიტუციაც იგივე აზრისაა, როდესაც ამბობს “პარლამენტის სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით”. აღნიშნული დებულება გამორიცხავს მისი მხოლოდ პროცედურული ნორმების კრებადობად მიღების შესაძლებლობას, რადგან ავალებს პარლამენტის რეგლამენტს განსაზღვროს არა მხოლოდ პარლამენტის მუშაობის წესი, არამედ მოახდინოს პარლამენტის სტრუქტურის სამართლებრივი რეგლამენტაციაც.

პირველი პრობლემა, რომელიც პარლამენტის რეგლამენტის ზემოაღნიშნული მოცულობით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს, ისაა, რომ იქნება იურიდიული ნორმების გარეობის შესაძლებლობა. კერძოდ, როგორც მიმდინარე კანონების, ისე რეგლამენტის მოსაწესრიგებელი აღმოჩნდება ერთი და იგივე საკითხი, ერთგვარი სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების სტატუსი აღმოჩნდება როგორც შესაბამისი კანონების, ისე რეგლამენტის, ე.ი. ორი ნორმატიული აქტის მოსაწესრიგებელი. ვფიქრობთ, ამ პრობლემიდან სხვადასხვა გამოსავალი არსებობს. მიუღებლად გვეჩვენება გზა, რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტმა აირჩია, როდესაც აღნიშნული სინამდვილის წინაშე აღმოჩნდა. გარეობის თავიდან ასაცილებლად მან გამოიყენა მითითებითი ნორმები და მიანიშნა შესაბამისი კანონების მუხლებზე.

საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ ნორმების გარეგან ვერ გამოირიცხა (კვლავ მრავალი ნორმა, რომლებიც იდენტურია კანონებისა და რეგლამენტისა ტექსტში), სამაგიეროდ, გამოიწვია რეგლამენტის ტექსტის გადატვირთვა და იურიდიული დოკუმენტის მთლიანობის დარღვევა. უფრო მეტიც, რეგლამენტის ტექსტში აღმოჩნდა ნორმები, რომლებიც არ შეესაბამებიან კანონის ნორმებს.

უმადლესი წარმომადგენლობის ორგანოს რეგლამენტი მართლაც უნდა მოიცავდეს საპარლამენტო საქმიანობის მარეგულირებელ ყველა ნორმას, მაგრამ იმ პირობით, რომ კონსტიტუციის გარდა, იგი უნდა იყოს ერთადერთი ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელშიც ამომწურავად იქნება განსაზღვრული პარლამენტის სტრუქტურა, სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობა და მუშაობის წესი. ამ იურიდიულმა დოკუმენტმა უნდა გამოირიცხოს საპარლამენტო საქმიანობის მომწესრიგებელი მრავალი კანონის, კერძოდ, პარლამენტის კომიტეტების, დროებითი საგამოძიებო კომისიის, დროებითი კომისიების და საპარლამენტო ფრაქციის შესახებ კანონების არსებობის საჭიროება. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ კონსტიტუცია ხშირად თვითონ განსაზღვრავს რაიმე სფეროს მოსაწესრიგებლად კანონის მიღების აუცილებლობას. მოცემულ შემთხვევაში კი პარლამენტის კომიტეტების, დროებითი საგამოძიებო კომისიების და დროებითი კომისიების სამართლებრივი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად კანონის მიღების საჭიროების განმსაზღვრელი ნორმა არ არსებობს. ამდენად, აღნიშნული ნორმატიული აქტების აუცილებლობა კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს. პირიქით, ძირითადი კანონი საგამოძიებო ან სხვა დროებით კომისიაზე საუბრისას მხოლოდ პარლამენტის რეგლამენტზე მიუთითებს და მას ავალებს აღნიშნული კომისიის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. ერთადერთ პრობლემად ამ თვალსაზრისით რჩება საპარლამენტო ფრაქციის სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხი. რადგან, ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია, კანონისა და რეგლამენტის რეგულირების სფეროების გაუმიჯნავად, ორივე ნორმატიულ აქტს ავალებს “ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესის განსაზღვრას. (58-ე მუხლი, მეორე პუნქტი). ამრიგად, თუ არ ჩავთვლით 58-ე მუხლის მეორე პუნქტს, პარლამენტის სუბიექტების საქმიანობის მომწესრიგებელი კანონების არსებობა, კონსტიტუციური მოთხოვნის შეუსრულებლობის საშიშროებას არ ქმნის.

რა პრობლემა შეიძლება შექმნას საპარლამენტო სტრუქტურების სამართლებრივი მდგომარეობის მხოლოდ რეგლამენტით მოწესრიგებამ, თუ არ

იარსებებს ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტები? საქმე ისაა, რომ კანონი არის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის; საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და პოლიტიკური გაერთიანებისათვის, იურიდიული და ფინანსური პირისათვის. . . რეგლამენტი კი არის პარლამენტის “საშინაო დოკუმენტი” და მისი მოქმედება ვრცელდება, როგორც წესი, პარლამენტის სუბიექტებზე, ვფიქრობთ, არც ეს რეალობა ქმნის პრობლემას, რამდენადაც ქვემოთ მოხსენიებულ ნორმატიულ აქტებში რამდენიმე დებულება თუ მოიძებნება ისეთი, რომელიც არასაპარლამენტო სუბიექტებს შეეხება და ყველა მათგანი არის კონსტიტუციური ნორმების კოპირება. ამდენად, მათი შესრულების სავალდებულობას საკანონმდებლო იერარქიაში უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტი აწესებს და უზრუნველყოფს. ასეთად შეიძლება დავასახელოთ კონსტიტუციის მესამე მუხლის მესამე ნაწილი, სადაც ხაზგასმულია, რომ “პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს”, 56-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს, რომ “საგამომიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა”, 59-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც პარლამენტის წევრს ანიჭებს უფლებას, კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან

პასუხი, ხოლო მეორე პუნქტი პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათეციანი ჯგუფს – საპარლამენტო ფრაქციას აძლევს შესაძლებლობას შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ კითხვას პარლამენტის სხდომაზე. იქვე დასძენს, რომ პასუხი შეიძლება გახდეს საპარლამენტო განხილვის საგანი. როგორც ჩანს, კონსტიტუცია “თავის თავზე იღებს” რიგ სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და პარლამენტს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას. თუ ისინი რეგლამენტის ნორმებს არ განიხილავენ, როგორც სერიოზულ მოთხოვნებს, ქვეყნის ძირითადი კანონი განსაზღვრავს მათ სავალდებულო ქცევებს. თვით რეგლამენტის ტექსტში მოცემული რეგლამენტის ცნება (მუხლი 1-10) ასევე განამტკიცებს, ერთი მხრივ მისი კვლევის საგნის საკმაოდ მოცულობით წრეს და, მეორე მხრივ, მისი ნორმების სავალდებულო ხასიათს. კერძოდ, “რეგლამენტი საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე ნორმატიული აქტია, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის უფლებამოსილებათა წესებს, პროცედურას, პარლამენტის შინაგან სტრუქტურას და სავალდებულოა პარლამენტის ყველა წევრისათვის, აგრეთვე განსაზღვრულ ფარგლებში პარლამენტის კონტროლს დაქვემდებარებული ყველა ორგანოსა და ორგანიზაციისათვის.” ამრიგად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი უნდა იყოს ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელშიც კონსტიტუციიდან გამომდინარე მოხდება საპარლამენტო სტრუქტურების სამართლებრივი რეგლამენტაცია, რომელიც თავს მოუყრის საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მატერიალურ და პროცესუალურ ნორმას და გამოირიცხავს სხვადასხვა აქტით მათი მოწესრიგების საჭიროებას.

სისხლის სამართლის პროცესი

თემურ მურღულია,
მალხაზ ბაძალა

ფულის გამოქაღვინის მიზნით ადამიანთა მოტაცებასთან ბრძოლა შინაგან საქმეთა ორგანოების მნიშვნელოვანი მიმართულებაა


ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ადამიანის მოტაცების ფაქტების აღმოფხვრაა. ოპერატიულ-სამძებრო ორგანოები ამ საშიშ სენთან ბრძოლაში ემყარებიან როგორც სისხლის სამართლებრივ დოქტრინას, ასევე კრიმინოლოგიურ მსოფლმხედველობას.

იურიდიული ტრადიციისამებრ ჩვენს ქვეყანაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ობიექტს განსაზღვრავენ სისხლის სამართლის კოდექსში ასახულ ნორმათა სისტემის შესაბამისად. ამიტომ სისხლის სამართლის 133-ე მუხლის თანახმად, ზუსტად განისაზღვრება ადამიანის მოტაცების სუბიექტთა წრე, მოტივაციის სახეობა და საშიშროების ამსახველი პენოლოგიური ზომების ზღვარი, რაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ნორმატიული მარეგულირებელი ორიენტირია.

ადამიანის მოტაცება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება ისეთ დანაშაულთა რიცხვს, რომელსაც დამნაშავე, როგორც წესი, იყენებს ხერხის სახით ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, ან ფულის გამოძალვის მიზნით, რასაც, როგორც წესი, თან სდევს უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული დანაშაულის მოტივაციის არაერთგვაროვნება მოითხოვს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კომპლექსურ, ღრმად გააზრებულ საგამოძიებო ვერსიების მოდელირებას. გასაგებია, რომ ოპერატიული სამსახურის მიერ ფორმალური, მექანიკური დამოკიდებულება პრობლემისადმი, შემოქმედობითობის უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის ორგანიზატორის მიძალვა, დაზარალებულის სიკვდილი, საზოგადოებაში შიშის და სამართალდამცავი ორგანოებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და სხვა გამოუსწორებელი საშიში შედეგი: ამიტომ ადამიანის

მოტაცების ფაქტების აღმოფხვრის მნიშვნელოვანი პირობაა პრევენციული ღონისძიებების თანმიმდევრული გააქტიურება, შინაგან საქმეთა ორგანოების პოზიციის ურყეობა და დასახული მიზნის პრინციპიული განხორციელება.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს შსს მიერ დადგენილი ფაქტების ანალიზი. კერძოდ, ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოვლინდა ადამიანის გამტაცებელ ბოროტმოქმედთა 60 ჯგუფი რამდენიმე ათეული დამნაშავე პირის შემადგენლობით. ხოლო 1999 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის მოტაცების ფაქტებზე იძებნებოდა 55 ბოროტმოქმედი. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგენილი და დაკავებულია 25 ქვნილი, რამაც განაპირობა აღნიშნული სახის დანაშაულის მკვეთრი კლება. პრობლემის თავისებურებაზე მეტყველებს, როგორც მდგომარეობის, ასევე დინამიკის მაჩვენებელიც. თუ 1997 წელს რეგისტრირებული იყო ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის მოტაცების 61 ფაქტი, საიდანაც გაიხსნა 53 (მათ შორის წინა წლებში ჩადენილი 39 ადამიანის მოტაცებიდან გაიხსნა 36), ხოლო 1998 წელს რეგისტრირებული იყო ადამიანის მოტაცების 29 ფაქტი, საიდანაც გაიხსნა 26 (მათ შორის წინა წლებში ჩადენილი 6 ადამიანის მოტაცებიდან გაიხსნა 5), წლეულს, როგორც აღინიშნა, რეგისტრირებულია ადამიანის მოტაცების 22 ფაქტი, მათ შორის 7 დანაშაული ჩადენილი წინა წლებში, საიდანაც გაიხსნა 5. სულ დღეისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ მძევლად არის აყვანილი საქართველოს 20-მდე მოქალაქე.



გასაგებია, რომ ქვეყანაში რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საზღვრის დაცვის პრობლემები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები ჯერჯერობით ხელს უწყობენ დანაშაულის ლატენტურობის არსებობას, რაც უნდა იყოს გათვალისწინებული ოფიციალური სტატისტიკის ანალიზისას.

ადამიანის მოტაცებასთან ბრძოლა ქვეყანაში დანაშაულობასთან ბრძოლის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ საჭიროა შევხვით ამ დანაშაულთან ბრძოლის ზოგიერთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით დანაშაულის კვალიფიკაცია, როგორც წესი, არ არის რთული, რადგან კანონის მიერ ზუსტადაა განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის ნორმატიული წესი. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როდესაც წარმოიშობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები, რომლებიც არ შეიძლება გადაწყდეს ერთხაზოვნად. პრობლემური სიტუაცია ზოგჯერ ითხოვს დაზარალებულის განთავისუფლებისაგან თავის შეკავებას, რადგან მისი სიცოცხლე შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს და სხვა. ოპერატიული სამსახურის წინაშე ხშირად დგება ალტერნატიული სპეციალური ღონისძიებებისა და მოდელის შერჩევის პრობლემა, რომელიც, როგორც წესი, განპირობებულია კრიმინოგენური სიტუაციის მდგომარეობით. ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე წარმოიშობა ორი ამოცანა: 1) კრიმინოგენური სიტუაციის ნეიტრალიზაცია და 2) დამნაშავის გამოვლენა და დაკავება. გასაგებია, რომ ამ ამოცანათა გადაწყვეტა არ შეიძლება ადრე არსებული ტრადიციული გზით. კრიმინოგენურ სიტუაციაზე, ე.წ. პირდაპირმა ზემოქმედებამ, შეიძლება გაართულოს დამნაშავის გამოვლენა. ხოლო სიტუაციის უგულვეყოფამ „ეფექტური“ გამოვლენის ხარჯზე კი შესაძლოა გამოიწვიოს კრიმინოგენური სიტუაციის გამძაფრება. ამ მიმართულებით პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად არჩეულია არატრადიციული გზა: შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილობრივ ორგანოებთან და სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთობლივად უნდა შეიმუშაოს ღონისძიებები კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღების მიზნით, რათა მომზადდეს დატყვევებულთა განთავისუფლების პროფილაქტიკური ფონი.

ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით ხასიათდება მარტო მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. გატაცებულის ახლობლები შეშინებულნი არიან და ხშირად უარს ამბობენ თანამშრომლობაზე ოპერატიულ სამსახურებთან. ამიტომ შსს წინაშე წარმოიშობა სიტუაცია, როდესაც

საც მტკიცებულებათა მოპოვებაში გამოირიცხება დაზარალებულის მხარის მონაწილეობა და მთელი ტვირთი აწვება ოპერატიულ სამსახურს, შეიძლება ითქვას, რომ სხვა დანაშაულთა გამოძიების მეთოდებისაგან განსხვავებით არ იქმნება საგანგებო მდგომარეობის გამოძიების მეთოდი. მთელი ტვირთი გადადის ურთულეს ანალიტიკურ ძიებაზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 2 აპრილს ქ. თბილისში ცოტნე დადიანის გამზირზე მდებარე ავტოსადგურის ტერიტორიიდან ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულმა სამმა ბოროტმოქმედმა ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცა მარტვილის რაიონის სოფ. ლეხანდრაოში მცხოვრები ბ.კ.-ა. მოტაცებულის ოჯახის წევრებს შს ორგანოებისათვის განცხადებით არ მიუძღრთავთ, მაგრამ ოპერატიული სამსახურების მიერ არსებული ინფორმაციების საფუძველზე, გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგენილნი და დაკავებულნი არიან დაბა თიანეთში მცხოვრებნი მ.ხ.-ი და რ.გ.-ი, რომლებმაც ჩაიდინეს აღნიშნული დანაშაული.

ადამიანის მოტაცებას ფულის გამოძალვის მიზნით გააჩნია კიდევ ერთი თვისება – მეტად ფართოა მისი გეოგრაფიული არეალი. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადამიანის მოტაცების ფაქტების გახსნისა და პროფილაქტიკის მიზნით კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოში ადამიანის მოტაცების მიზნით უცხო ქვეყნიდან შემოსული დამნაშავეების მიმართ.

მძველად აყვანილი პირების დახსნისა და დამნაშავეთა დაკავების მიზნით საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ ტარდება ერთობლივი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონ კახა თარგამაძის მოწვევით, სწორედ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოვიდა თბილისში რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ვლადიმერ რუშაილო, მიღებულია გადაწყვეტილება ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც სპეციალურად იმუშავებს მხოლოდ ადამიანის მოტაცების წინააღმდეგ ბრძოლის, დამნაშავეთა დადგენისა და დაკავების მიზნით.

1999 წლის 17 მარტს კოლეგიის ერთობლივ სხდომაზე შემუშავდა ურთიერთკოორდინირებულ ღონისძიებათა გეგმა რუსეთის ტერიტორიაზე, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში მძველად აყვანილი საქართველოს მოქალაქეების დახსნის და საზღვრისპირა კონტროლის გაძლიერების მიზნით.

ხოლო 1999 წლის 27 ივლისს რუსეთის ფედერაციის ქ. სოჭში ჩატარდა ერთობლივი შემაჯამებელი თათბირი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ოპერაციის "საზღვარი 99"-ის შედეგების შეჯამების მიზნით.

ადამიანთა მოტაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გადაუდებელ ამოცანებად მიგვაჩნია:

– შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებისა და გაძლიერების მიზნით;

– აუცილებელია ყველა სამართალდამცავი ორგანოს კოორდინირებული მოქმედება, მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გამტაცებელთა, მათი გადაადგილებისა და ადგილსამყოფელის შესახებ და სხვა;

– რამდენადაც ხშირად ადამიანის გატაცება ხდება შავ ბიზნესთან დაკავშირებით, ურთიერთ-

შორისი ვალების გადაუხდელობის გამო, აუცილებელია, რომ სასამართლოებმა დროულად განიხილონ და ობიექტურად გადაწყვიტონ სამოქალაქო დავის საკითხები;

– გამკაცრდეს სასამართლოების მიერ შერჩეული აღკვეთის ღონისძიებები იმ პირთა მიმართ, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების ბრალდებით. მიგვაჩნია, რომ ასეთ პიროვნებებს აღკვეთის ღონისძიებების სახით აუცილებლად უნდა შეეფარდოთ წინასწარი პატიმრობა. სასამართლოები კი, საკმაოდ ხშირად, არჩევენ გაცილებით ლმობიერ აღკვეთის ღონისძიებას.

აღნიშნულ საკითხს უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რაზეც მეტყველებს საკითხის მოსმენა და განხილვა ქვეყნის უშიშროების საბჭოს სხდომაზე და სახალხო დამცველთან, შესაბამისი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით.



ავთანდილ თევზაძე

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის

საბაზის სწავლა

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზისა და საფუძვლის ზოგადი ცნება და სახეები მოცემული იყო ადრე მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლში, რომლის თანახმად სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზად ითვლებოდა: 1. მოქალაქის განცხადება; 2. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობა; 3. პრესაში გამოქვეყნებული ცნობა; 4. პირის გამოცხადება ბრალის აღიარებით; 5. მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალოდ გამოძიება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლისაგან განსხვავებით, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი, რომელშიც მოცემულია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზის ზოგადი ცნება, მისი ზოგადი განმარტება და ის, თუ კონკრეტულად რა შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზად, დასათაურებულია, როგორც “ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ.” ამ მუხლის რედაქცია გარკვეულწილად განსხვავდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის რედაქციისაგან.

ადრე მოქმედ სსსკ-ის და ახალი სსსკ-ის ზემოაღნიშნულ მუხლებში მოცემული სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზის სახეების ფორმულირება, ჩემი აზრით, მთლად მოხერხებული არაა და თითოეული მათგანი, თავის მხრივ, მოითხოვს დახვეწასა და დაზუსტებას.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზითა

უფრო სწორი, ნათელი და ლაკონიური ფორმულირება მოცემულია 1996 წლის 17 თებერვალს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მეშვიდე პლენარულ სხდომაზე მიღებულ სისხლის სამართლის პროცესის მოდელური კოდექსის 220-ე მუხლში, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზად მიჩნეულია:

1. მოკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლის, სასამართლოსათვის მოქალაქეების, თანამდებობის პირების და ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ცნობები დანაშაულის შესახებ;

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მიღებული ცნობები დანაშაულის შესახებ;

3. მოკვლევის ორგანოს მუშაკის, გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დანაშაულის შესახებ ცნობების მოპოვება და დანაშაულის შედეგად აღმოცენებული კვლების გამოვლინება.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზის ამსახველ საქართველოს ადრე მოქმედ და ახალი სსსკ-ის ზემოაღნიშნულ მუხლებში, რედაქციული ხასიათის ცვლილებებთან ერთად, ზოგიერთი არსებითი ხასიათის ცვლილებაცაა და მათ შესახებ შეჩერდები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზითა ცალკეული სახეების განხილვა-გადმოცემის დროს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზითა წრე კანონით ზუსტადაა განსაზღვრული და მისი ხელოვნური გაზრდა-გაფართოება არ შეიძლება. ამიტომ, ჩემი აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც თავიანთი შეხედულებისამებრ ცდილობენ ხელოვნურად გააფართოონ მათი

წრე და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბთა ცალკე დამოუკიდებელ სახედ შეიტანონ ზოგიერთი საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების – კონტროლის პალატის, საბაჟო და საგადასახადო ინსპექციის და სხვათა მიერ მოწოდებული ცნობები. საკანონმდებლო წესით მათი ცალკე რეგლამენტაცია არასწორი იქნებოდა, რადგან, **ჯერ ერთი**, ამგვარ ცნობებს ისედაც მოიცავს სისხლის სამართლის საქმის საბაბთა ზემოაღნიშნული მუხლების რედაქცია და, **მეორეც**, საბაჟო და საგადასახადო ინსპექცია ამჟამად თვითონაა სამართალდამცავ ორგანოდ მიჩნეული და, მაშასადამე, მოკვლევის ორგანოდ აღიარებული და მათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ისედაც ევალებათ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის კანონიერი საბაბისა და საფუძველის არსებობისას აღძრან სისხლის სამართლის საქმე.

უკანასკნელ წლებში რუსულ ენაზე გამოცემულ სსსკ-ის კომენტარებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბის ცნებაში გაგებულა სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის დაწყების საბაბი, როგორც ჩადენილი დანაშაულის შესახებ მიღებული პირველადი ცნობების წყარო.

ჩემი აზრით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბის იურიდიულ ბუნებას ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორად შეესაბამება. ამიტომ უფრო მართებულად გვეჩვენება შ. ფაფაშვილის და იმ ავტორების შეხედულება, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბის ცნებაში ხედავენ კანონით გათვალისწინებულ იმ წყაროებს, რომლითაც მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები იღებენ ინფორმაციას ანუ ცნობას ან განცხადებას მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ და ამით ვალდებულები ხდებიან მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ აღძვრის დადგენილების გამოტანის შესახებ. რადგან დანაშაულის ან ასეთის მზადების ამსახველი ცნობის მიღება ამ ორგანოებს აძლევთ გარკვეულ ბიძგს მასზე მოახდინონ შესაბამისი რეაგირება, შეამოწმონ და მიღებული მონაცემების საფუძველზე აღძრან სისხლის სამართლის საქმე ან უარი თქვან მის აღძვრაზე – ყოველივე ეს მათთვის კანონით მინიჭებული მარტოოდენ უფლება კი არა, მათი უშუალო მოვალეობაცაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ის წყარო, საიდანაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანო ან სპეციალური თანამდებობის პირი იღებს ცნობას (ინფორმაციას) ჩადენილი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ და მის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას შეუდგეს მის შემოწმებას და მასზე

სისხლის სამართალწარმოებას.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბად მოქალაქის განცხადების ცნობისათვის, ჩემი აზრით, მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, თუ ვინ აკეთებს ასეთ განცხადებას: საქართველოს მოქალაქე თუ მოქალაქეობის არ მქონე პირი. ამიტომ მოქალაქის ცნებაში უნდა გავიგოთ არა მარტო საქართველოს მოქალაქე, არამედ უცხო სახელმწიფოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირებიც. ამიტომ მათ მიერ გაკეთებული ასეთი განცხადებებიც შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი. თვით განცხადების ცნებაც უფრო ფართოდ უნდა იყოს გაგებულ.

განცხადების შეტანა შეიძლება საჩივრის სახითაც. მაგალითად, დაზარალებულის მიერ განცხადების სახით შეტანილი საჩივარი კერძო ბრალდების საქმეებზე შეიძლება გახდეს საბაბი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაინტერესებულია საქმის შემდგომი მსვლელობით და სხვ. ე.ი. მოქალაქის განცხადების სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბად ცნობისათვის, მნიშვნელობა არა აქვს იმას, განმცხადებელმა პირმა პირადად მიიღო თუ არა მომხდარი დანაშაულებრივი ქმედობით რაიმე სახის მატერიალური, მორალური ან ფიზიკური ზიანი და იგი დაინტერესებულია თუ არა მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე საქმის აღძვრის უფლებით თანამდებობის პირისა და შესაბამისი ორგანოს რეაგირებით.

მოქალაქის განცხადებისაგან განსხვავებით, თანამდებობის პირის, დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოდან დანაშაულის შესახებ მოწოდებული ცნობა მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოებში, როგორც წესი, უნდა შევიდეს წერილობითი სახით და ისიც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობაც აუცილებლად წერილობითი სახით უნდა იყოს შედგენილი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. ორივე შემთხვევაში ასეთი წერილობითი ცნობები, სასურველია, იმავე დროს იყოს რეგისტრირებული.

გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს საავადმყოფო ან სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული შეტყობინება, როცა მათ ამა თუ იმ მოქალაქემ სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა და მოითხოვა ისეთი სახის მკურნალობის ჩატარება, რომელიც თავისთავად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. მაგალითად, ოპერაციის გაკეთება სხეულზე მიყენებული ისეთი დაზიანებებისა და ჭრილობების გამო, რომლებიც მის სხეულზე შეიძლება აღმოცენებულიყო სხვა პირის ან პირთა ჯგუფის მიერ მასზე ფიზიკური ძალის გამოყენებით ან როცა თვითონ დაზარალებული მიუთითებს პირებზე (პირზე), რომლებმაც მას მიაყენეს სხეულის დაზიანებები. ასეთ შემთხვევაში, სამედიცინო



დაწესებულების ხელმძღვანელობას, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, ევალუატი დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციის ან პროკურატურის ორგანოებს. ასეთი შეტყობინება შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და სხვ. ამგვარი შეტყობინების შემთხვევაში, ინფორმაციის მიმღებმა თანამდებობის პირმა უნდა შეადგინოს შეტყობინების ოქმი და მასში აღწერილი უნდა იყოს შეტყობინების დრო (ზუსტი ჩვენებით), შემტყობინებელი პირის გვარი, სახელი, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, სამედიცინო დაწესებულების სახელწოდება და სხვა.

კანონის წინაშე ყველა მოქალაქე და მათ შორის თანამდებობის პირებიც თანასწორნი არიან. ამიტომ თუ ისინი შეეცდებიან და მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოს ან შესაბამის თანამდებობის პირს წინასწარი შეცნობით არასწორ ცნობებს მიაწვდიან დანაშაულის ჩადენის შესახებ, მათი პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით. ამიტომ ამგვარი წერილობითი სახის ცნობების მოწოდებისას მათაც უნდა განემარტოთ დანაშაულის ჩადენის შესახებ შეგნებულად ცრუ დასმენისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის, საწარმოს ან დაწესებულების ან რომელიმე ფირმის ან გაერთიანების, ასოციაციის პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობა შეეხება ისეთი სახის ჩადენილ დანაშაულს, რომელზეც სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის განცხადებით ან საჩივრით, მაგალითად, კერძო ბრალდების საქმეებზე, მაშინ მათგან მიღებული ასეთი ცნობა არ შეიძლება განხილული იყოს როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამოუკიდებელი სახის საბაბი. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ჩვეულებრივი სახის ინფორმაცია მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ. ხოლო თუ ამგვარ ინფორმაციასთან ერთად მიღებულია დაზარალებულის განცხადებაც, მაშინ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი იქნება არა საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობა, არამედ მოქალაქის განცხადება (საჩივარი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით იმ თანამდებობის პირის, დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს შორის, რომელთაგან დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული ცნობა შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი, მოხსენიებულია აგრეთვე ოპერატიულ – სამძებრო ორგანოც. რაც, ჩემი აზრით, არასწორია, რადგან ეს ორგანო თვითონაა მოწოდებული დამნაშავეობასთან საბრძოლველად. ამიტომ მისი გათა-

ნაბრება სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან, არასწორია: ამ მიმართებით სსსკ-ის ზემოაღნიშნული მუხლი საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი შეიძლება გახდეს აგრეთვე მომხდარი დანაშაულის ამსახველი ან ამ დანაშაულის ნიშნებზე მიმთითებელი ყოველგვარი მასობრივი სახის ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც იგი მოეწოდა ფართო საზოგადოებრიობას. კერძოდ, ასეთი ინფორმაცია ფართო საზოგადოებრიობას შეიძლება გადაეცეს პრესის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებებით.

ასეთი მასობრივი ინფორმაციის ცნებაში უნდა გავიგოთ აგრეთვე ტელევიზიით დანაშაულებრივი ფაქტების ამსახველი საკაბელო გადაცემები, აგრეთვე ფოტო, კინოგადაღებისა და ვიდეო ჩანაწერების ჩვენება სათანადო კომენტარებით და სხვ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მოპოვებული დანაშაულის ნიშნების არსებობაზე მითითებული ცნობის მარტოოდენ მოპოვებაც საკმარისად არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საქმის აღსადრავად. ასეთ დროს, საჭიროა უწინარესად, დავადგინოთ ამ ინფორმაციის – ცნობის გავრცელების წყარო. გაირკვეს რამდენად შეესაბამება იგი ობიექტურ სინამდვილეს, ხომ არაა გავრცელებული რაიმე მონაჭორი ან ხომ არაა იგი ცილისმწამებლური.

ბრალის აღიარებით პირის გამოცხადების, როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბის ცნებისათვის მთავარი დამახასიათებელი ისაა, რომ დანაშაულის ჩამდენი ან მასში მონაწილე პირი **ნებაყოფლობით** ცხადდება მომკვლევ პირთან, გამოძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში (მოსამართლესთან) და განცხადებით მიმართავს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ან ასეთში მისი მონაწილეობის შესახებ.

ნებაყოფლობით აღიარებდა შეიძლება ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როცა რაიმე ობიექტური მიზეზების გამო, დანაშაულის ჩამდენ პირს უშუალოდ თვითონ არ შეუძლია გამოცხადდეს ამ ორგანოებში და ასეთი განცხადების გაკეთებას ანდობს თავის ნაცნობ – მეგობარს და ეს უკანასკნელი მისი სახელით აკეთებს ასეთ განცხადებას შესაბამის ორგანოებში. ნებაყოფლობით გამოცხადებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი შემთხვევებიც, როცა დანაშაულის ჩამდენი პირი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ან მასში მონაწილეობის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ თანამდებობის პირებს ან ორგანოს აწვდის ცნობას ფოსტატელეგრაფით ან ტელეფონით და მიუთითებს თავის ადგილსამყოფელზე.

ახალი სსსკ-ის 263-ე მუხლში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბით მოხსენიებულია აგრეთვე: “უშუალოდ სამართალწარმოების ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები, გარდა იმ

შემთხვევებისა, როცა ამ ორგანოს წარმომადგენელი დანაშაულის თვითმხილველი ან დაზარალებულია, ასევე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები”.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ზემოაღნიშნული საბაბის ასეთი რედაქცია, ჩემი აზრით მთლად მოხერხებული არაა და იგი საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და დაზუსტებას. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: იმ შემთხვევაში როცა, ამ სამართალწარმოების ორგანოს წარმომადგენელი უშუალოდ გამოავლენს დანაშაულის ნიშნებს, განა ეს არ შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი? და, თუ იგი ამკარად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, განა ამ პირს უფლება არა აქვს აღძვრას სისხლის სამართლის საქმე? დაეუშვათ, რომ ასეთმა სამართალწარმოების ორგანოს წარმომადგენელმა – მომკვლევმა პირმა, გამოძიებელმა, პროკურორმა ან მოსამართლემ უშუალოდ გამოავლინა მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტი და დარწმუნდა, რომ იგი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, განა მას კანონით არ ევალება მიიღოს ყველა ღონისძიება მომხდარი დანაშაულის აღკვეთის და თავიდან აცილებისათვის, მიიღოს ყველა ზომა დანაშაულის კვალის აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის და ყოველივე ამით ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას? ჩემი აზრით, აქ პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი და, თუ ეს ასეა, მაშინ **ჯერ ერთი**, რატომ უნდა ავუკრძალოთ მას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება, თუ ისინი უშუალოდ თვითონ გახდნენ დანაშაულებრივი ფაქტის მხილველნი. და, **მეორეც**, რატომ არ შეიძლება მათ მიერ უშუალოდ გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტი გახდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი? განა არ შეიძლება დანაშაულის ფაქტი ან მასზე მითითებული დანაშაულის ნიშნები, საქმის გამოძიების გარდა, სხვა შემთხვევებშიც გამოავლინონ? ვფიქრობთ, ამ კითხვებზეც პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული საკითხები საკმაოდ პრინციპული მნიშვნელობისაა და ისინი შემდგომ საკანონმდებლო დახვეწასა და დაზუსტებას საჭიროებენ.

ახალი სსსკ-ის 263-ე მუხლის მეორე პუნქტით თითქოს უარყოფილია უსახელო ცნობების მიჩნევა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბად, მაგრამ იქვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბის

დამოუკიდებელ სახედ მოხსენიებულია ისეთი **ანონიმური შეტყობინება**, რომელიც შეიცავს “ცნობებს ისეთი დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ, რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია”.

კანონის ასეთი ორგანიზაციის რედაქცია, ჩემი აზრით, არასწორია და მიღებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალთახედვით. თეორიული თვალსაზრისით უსახელო წერილების მიჩნევა დამოუკიდებელი სახის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბად, **ჯერ ერთი**, არაფრით არ შეიძლება გამართლებული იყოს, რადგან როგორც მოკვლევის, წინასწარის გამოძიებისა და სასამართლო საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს უსახელო წერილების უდიდესი უძრავ-ლესობა ცილისმწამებლურია. **მეორეც**, თუ უსახელო ანუ ანონიმურ შეტყობინებაში მოხსენიებული დანაშაულის ნიშნებზე მიმითებელი ფაქტები ან თვით დანაშაულებრივი ფაქტის არსებობა წინასწარი შემოწმებით დადასტურდება, მაშინ, ჩემი აზრით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი იქნება არა ანონიმური შეტყობინება, არამედ ამ უსახელო შეტყობინების შემოწმებით მიღებული შედეგები. ე.ი. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის საბაბი იქნება მომკვლევი პირის, მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლის, პროკურორის, ან სასამართლოს (მოსამართლის) მიერ უსახელო შეტყობინებაში მითითებული ფაქტების შემოწმების შედეგები. უფრო სწორად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებით აღჭურვილი ზემოაღნიშნული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ უშუალოდ დანაშაულის ნიშნების გამოძიება. **მესამე**, კანონის ასეთი რედაქცია მომკვლევ პირს, გამოძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს (სასამართლოს) შესაძლებლობას აძლევს თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, თუ ანონიმური შეტყობინებიდან რომელი შეამოწმონ და რომელი არა. ამან კი პრაქტიკაში შეიძლება გამოიწვიოს მრავალი გაუგებრობა და თვითნებობა მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გამო, საჭიროდ მიმაჩნია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბთა წრიდან ან საერთოდ ამოვიღოთ უსახელო ანუ ანონიმური ცნობები, თუნდაც ისინი პირდაპირ მიუთითებდნენ დანაშაულებრივ ფაქტზე (ან დანაშაულის ნიშნებზე), ან მიუთითოთ, რომ უსახელო ანუ ანონიმური ცნობების შემოწმება სავალდებულო უნდა იყოს და არა ალტერნატიული.

დარეჯან ლეკიაშვილი

კანონი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

ამ სამიოდე თვის წინ საქართველოს პარლამენტი მიიღო ისეთი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი, როგორცაა საქართველოს კანონი “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” და რომლის მიღებას მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოთა მუშაკებისათვის, არამედ საქართველოს რიგითი მოქალაქეებისათვისაც. აღნიშნული კანონის მიღება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონით “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ”, ცალსახადაა დადგენილი, რომ მრავალი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ შეიძლება განხორციელდეს ობიექტური მიზეზებისა და საფუძვლიანი საბაზის არარსებობის შემთხვევაში. კერძოდ, ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, როგორცაა სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტო-სატელეგრაფო გზაზე კონტროლი (დიპლომატიური ფოსტის გარდა, რომლის კონტროლი აკრძალულია ვენის 1961 წლის კონვენციით “დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ”), აგრეთვე ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება, ელექტრონიკული თვალყურის დევნება ისეთი ტექნიკური საშუალებებით, რომელიც ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს – დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ

მოსამართლის ბრძანებით (ანუ მოსამართლის ნებართვით).

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ასეთი გადაწყვეტა საქართველოს სამართლებრივი რეფორმის ეტაპების დაძლევის კიდევ ერთი შედეგიანი მცდელობაა და, უდავოდ, მისასალმებელია.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმა “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” ძალიან ბევრი დადებითი ელფერი შესძინა ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობას, არ შეგვიძლია ყურადღება არ გავამახვილოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც მეტად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოთა მუშაკების ენთუზიაზმსა და მათი საქმიანობის პროდუქტიულობაზე. კერძოდ, “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი აწესრიგებს მოსამართლის მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელებაზე ნებართვის გაცემის წესს, რაც შემდგომში მდგომარეობს: ბრძანებას, მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გაცემს იმ სასამართლოს მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება ხსენებული ღონისძიება, ხოლო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ქვემდებარე საქმეებზე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლე. შუამდგომლობას, მასზე თანდართული მასალებით, მოკვლევის ორგანოს წარმომადგენლის და პროკურორის მონაწილეობით, მოსამართლე განიხილავს დახურულ სასამართლო სხდომაზე და ღებულობს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას – ან გაცემს ბრძანებას ღონისძიების ჩატარებაზე, ან გამოიტანს დადგე-

ნილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სწორედ აქ წარმოიქმნება ყველაზე დიდი სიძნელებები, კერძოდ, კანონში არ არის განმარტებული, თუ რა მასალები უნდა დაერთოს შუამდგომლობას, და ალბათ, აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა ნაწილი ითხოვს ისეთ მასალებს, რისი მოთხოვნის უფლებაც, მათ კანონით მინიჭებული არ აქვთ. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ბევრი თანამდებობის პირი თვითონაც ვერ გარკვეულა სათანადოდ, თუ რა მასალები უნდა წარუდგინოს საქმეზე ზედამხედველ პროკურორსა და ბრძანების გამცემ მოსამართლეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებაზე ნებართვის მისაღებად. “პროკურატურის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის, “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” და “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონების თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტექტიკა და ორგანიზაცია, აგრეთვე მონაცემები იმ პირებზე, რომლებიც კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, სახელმწიფო საიდუმლოებაა და ამ სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების შეზღუდვა არ ვრცელდება მხოლოდ საქართველოს გენერალურ პროკურორსა და მის მიერ განსაზღვრულ ერთ მოადგილეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია ისმის კითხვა, თუ ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტექტიკა და ორგანიზაცია, და ამ ინფორმაციის წყარო სახელმწიფო საიდუმლოებაა, მაშინ შუამდგომლობასთან ერთად რა ხასიათის მასალა უნდა წარუდგინოს პროკურორს და შემდეგ მოსამართლეს, რათა მან გასცეს ბრძანება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებაზე.

კიდევ ერთი მეტად მტკივნეული საკითხი, რაც ასე აღელვებს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს, არის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადები.


კანონი “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” განმარტავს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება როგორც სისხლის სამა-

რთლის საქმის აღძვრის შემდეგ, ისე სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდეც.

კანონის მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ დანაშაულის შესახებ დადგენილი წესით მიღებული განცხადების ან შეტყობინების მიღებისას იმის შესახებ, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება, მაგრამ საამისოდ არ არის საკმარისი მონაცემები, ამ მონაცემების მოსაპოვებლად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს, ხოლო თუ ოპერატიული ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის შეგროვებას, მოკვლევის ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე (მე-8 მუხლის I-ლი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი).

აქ იწყება სწორედ გაუგებრობა მოსამართლესა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს წარმომადგენელს შორის. რატომღაც მოსამართლეთა შუამდგომლობის მიღების საწყის ეტაპზე მხოლოდ 7-დღიანი ნებართვას იძლევიან, როცა, როგორც ზევით აღინიშნა, კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი მოსამართლეს საშუალებას აძლევს, დააკმაყოფილოს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს ხელმძღვანელის შუამდგომლობა 6-თვიანი ღონისძიების ჩატარებაზე, რაც, სამწუხაროდ, პრაქტიკაში სულ სხვაგვარად წყდება.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ვადებზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ცალსახად ადგენს, რომ: “... ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 12 თვისა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება არ დაიშვება”. ეს აკრძალვა ეხება როგორც მოსამართლის ნებართვის საფუძველზე, ისე ნებართვის გარეშე განსაზღვრულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. არის ისეთი საქმეები, მხედველობაში მაქვს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ქვემდებარე ზოგიერთი საქმე (მაგ., სახელმწიფოს ღალატი, ჯაშუშობა და ა.შ.), რომლებიც თავის სპეციფიუ-




რობის გამო უფრო დიდ ვადას ითხოვენ. ოპერატიულ-სამმეპრო საქმიანობის შესახებ სხვა ქვეყნების კანონმდებლობას თუ გადახედავთ, ვნახავთ, რომ მთელი მრავალი ქვეყნის კანონები არ ადგენს, ან ასეთი კატეგორიულობით არ მოითხოვს ოპერატიულ-სამმეპრო ღონისძიების განხორციელების ვადებს. ყოველ შემთხვევაში, აკრძალვას 12-თვიანი ვადის გადაცილების თაობაზე ნუ გავავრცელებთ ისეთ ოპერატიულ-სამმეპრო ღონისძიებებზე მაინც, რომლებიც არ ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე.

დასასრულ, აუცილებლად მიგვაჩნია იუსტიციის საბჭომ შეძლოს და ჩაატაროს ერთობლივი

კონფერენცია ან სემინარი ოპერატიულ-სამმეპრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების, პროკურატურის შესაბამისი წარმომადგენლებისა და სასამართლო ორგანოების იმ მოსამართლეებისათვის, რომლებიც იძლევიან ბრძანებას ოპერატიულ-სამმეპრო ღონისძიების ჩატარებაზე, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ის გაუგებრობები და ექსცესები, რასაც იწვევს კანონის ამა თუ იმ მუხლის არასათანადო ინტერპრეტაცია.

დარეჯან ლეკიაშვილი,
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების
სამინისტროს ტერორიზმის წინააღმდეგ
ბრძოლის სამსახურის განყოფილების
უფროსი.



სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

გიორგი ჯანაშია

ქალაქობითი დანაშაულის კვლევის

აქტუალობის საკითხი

თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა დანაშაულის ევოლუციის გააზრება, ახალი საშიში კრიმინალური ფორმების დადგენა. თითქმის ყველა ქვეყანაში შეინიშნება ასეთი მიდგომის ძირითადი ხაზი – დანაშაულის განსაკუთრებით საშიშ ფორმათა მიზეზების შესწავლა და მათი აცილების მიზნით პრევენტული პროგრამის დასახვა. გასულ საუკუნეებთან შედარებით გაჩნდა ზოგიერთი ხასიათის დანაშაული, რომლებიც თავისი მოქმედებით სცილდებიან კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებს და იძენენ ტრანსნაციონალურ ხასიათს. ცალკეულ კონფლიქტებში აღმოცენებული დანაშაული უკვე აღარაა თანამედროვე დანაშაულის მახასიათებელი ნიშანი. ინდივიდები მასობრივად არიან ჩართული სეპარატისტულ და სხვა სახის ორგანიზებულ ჯგუფებში. აღუწერელია ზარალიც, რომელიც მოსდევს თანამედროვე დანაშაულთა საშიშ გამოვლინებებს: სეპარატიზმს, გენოციდს და სხვ. ცალკეული ქვეყნის დანაშაული ერთ-ერთი ლოკალური ფაქტია მსოფლიოს კრიმინალურ სურათში¹.

იმისათვის, რომ კრიმინოლოგიურმა მეცნიერებამ ქმედითად შეუწყოს ხელი დანაშაულთან ბრძოლას, უწინარესად, აუცილებელია მისი განსაკუთრებული ფორმების შესწავლა და მათთან ბრძოლის პროგრამის შემუშავება.

აღნიშნული ხასიათის კრიმინოლოგიურ პრობლემას მიეკუთვნება ძალადობითი დანაშაულის შესწავლა და მისი მიზეზების დადგენა.

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში ძალადობითი დანაშაული განიხილება, როგორც ერთ-ერთი რთული და საშიში მოვლენა. წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები ამის მიზეზების გარკვევისას სულ უფრო ხშირად აქცევენ ყურადღებას ძალადობითი დანაშაულის ბუნებისა და მიზეზების დადგენას. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ სახის დანაშაული უშუალოდ ხელყოფს უმთავრეს საზოგადოებრივ ღირებულებას – ადამიანს, მის ჯანმრთელობას, სულიერ წონასწორობას და თვით სიცოცხლესაც კი.


თითქმის ყველა ქვეყანაში ძალადობითმა დანაშაულმა, ე.წ. “ქუჩური” მოდელიდან გადაინაცვლა სხვა დონეზე, შეიძინა ახალი, ადრე არარსებული საშიში ფორმები². ამიტომ მრავალი ქვეყნის კრიმინოლოგები სამართლიანად განიხილავენ ძალადობით დანაშაულს, როგორც საერთაშორისო პრობლემას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცხრე კონგრესმა (კაირო, 1995 წ.) სპეციალურად განიხილა “ძალადობითი დანაშაულის თავიდან აცილების” საკითხი, რომელიც შემდგომ წარადგინეს “ძალადობის მიზეზების საერთაშორისო მიმოხილვის” ნაწილის სახით.

ამ დოკუმენტების მოსამზადებელ მასალებში აისახა ევროპული, ლათინურ-ამერიკული, აზიური, არაბული და აფრიკული რეგიონების შემოფოთება ძალადობითი დანაშაულის ზრდასთან დაკავშირებით.

¹ Сборник стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия. ООН, Нью-Йорк, 1992, ст. 108-325; Насилие в семье, - Седьмой конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. ООН, Нью-Йорк, 1986, ст. 75-78; Искоренение насилия в отношении женщин. - Девятый конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, А/CONF 169/16 12 May 1995. p 32-36.

² M. Green Chronic Exposure to Violence and Poverty – Crime and Delinquency. 1993. V. 39 W-L, p. 106-124.



განსაკუთრებით მწვავედ განიხილებოდა ძალადობის ისეთი ფორმები, რომლებიც სამიშროებას ქმნიან ქალაქებში³, სკოლებში, რეალურად ხელყოფდნენ ბავშვებს⁴ და ქალებს⁵.

მეცნიერთა გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ძალადობამ დანაშაულის ფორმით შეიძინა მასობრივი პროცესის ხასიათი. იგი არის არა მარტო ცალკეული ქვეყნის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური პრობლემა, არამედ საერთაშორისოც⁶. ტრანსნაციონალური და ტერორისტული საქმიანობა ძალადობის ახალი ფორმაა, რომელიც “აგვირგენებს” დანაშაულის ევოლუციას. საერთაშორისო დოკუმენტებში არაერთხელაა მითითებული, რომ მრავალი სახის დანაშაული განსაკუთრებით ვრცელდება დიდ ქალაქებში, სადაც დანაშაულებს ადვილად შეუძლია დამალვა. ქალაქების ზრდა, მოსახლეობის მობილურობა, დაუგეგმავი ლეგალური ურბანიზაცია, ქალაქის მოსახლეობის უზომო მატება და სხვა ამგვარი ფაქტორები ხელს უწყობენ ქალაქებში ძალადობის ზრდას. ამასთან ერთად მკვლევარები მიუთითებენ ქალაქში ჩამოსული სოფლის მოსახლეობის გაუცხოების ფაქტს. “ბედნიერი” ცხოვრების მოსაპოვებლად ქალაქში ჩამოსული ადამიანი კარგავს ტრადიციულ კავშირებს. ქალაქის უცხო კულტურა, არსებობის ანონიმურობა, მუდმივი ცხოვრებისეული დაძაბულობა ხელს უწყობს სისასტიკის დამკვიდრებას⁷. ბავშვების და ქალების მიმართ ძალადობის გავრცელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური პრობლემაა. სამწუხაროდ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოები არ ამხვილებენ ყურადღებას სისასტიკის ფაქტებზე, ეგუებიან ამ მოვლენებს, როგორც ცივილიზაციის თანმხლებ დასაშვებ პროცესს⁸. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, მარტო რუსეთში ძალადობის ობიექტია 2 მილიონი ბავშვი⁹. ძალადობის ფაქტებზე

მეტყველებს ასევე ჯარში არსებული ახალმოსულთა დამცირების “აღმზრდელითი” მეთოდები და სხვა.

ძალადობითი დანაშაულის პრობლემა უცხო არ არის ქართული კრიმინოლოგიისათვის. ამ მიმართულებით მეცნიერთა მიერ ჩატარებული არაერთი გამოკვლევა, სადაც ძირითადად განხილული იყო ამ მოვლენის კონკრეტული ასპექტები¹⁰. მაგრამ მთლიანობაში ძალადობითი დანაშაული, როგორც ცალკეული კრიმინოლოგიური პრობლემა, არ იყო შესწავლილი. მთავარი კი ის არის, რომ რეფორმების პერიოდის საქართველოში ძალადობითა დანაშაულმა შეიძინა მკვეთრად განსხვავებული თვისებები, რაც ლოგიკურად ითხოვს განსაკუთრებულ შესწავლას.

ძალადობით დანაშაულის სპეციალური გამოკვლევების არარსებობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც კრიმინოლოგიური თეორიის განვითარებაზე, ასევე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე. აღნიშნული ხარვეზი თავს იჩენს რამდენიმე მიმართულებით.

კრიმინოლოგიური აზროვნება უწინარესად ემყარება თეორიულ ცნებათა სისტემას, რომელიც შეიძლება შემუშავდეს მარტო იმ შემთხვევაში, თუ განზოგადებულია დანაშაულის შესახებ არსებული ყველა ფაქტი. ძალადობითი დანაშაული ერთ-ერთი მათგანია. მისი შესწავლის შედეგად დადგენილი სტრუქტურა და დინამიკა არის დანაშაულის საერთო სურათის განუყოფელი ნაწილი. ძალადობითი დანაშაულის მაჩვენებლების უარყოფა მკვეთრად ცვლის დანაშაულის სტრუქტურულ მაჩვენებლებს.

¹⁰ А.А. Габиани, Р.Г. Гаччиладзе, М.И. Дидебулидзе. Преступность в городах и сельской местности. Тб., «Сабчота Сакартвело», 1985; Г. Х. Ефремова, Г.Ш. Лежава, А.Р. Ратинов. Т.Г. Шавгулидзе. Общественное мнение и преступление. Тб. « Мецниереба » 1984;დ. ბარათაშვილი. აგრესიული სეპარატიზმი. პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ., 1997, №2, გვ. 14-19; იქვე ზ. გოთუა. ტერორიზმი. გვ. 28-29; იქვე: ი. გომიაშვილი. ორგანიზებული დანაშაულის ცნება, გვ. 41-42; გ. თოდრია. დანაშაულის ორგანიზებული ფორმების ზოგიერთი საკითხი. პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი. თბ., 1997, №3, გვ. 11-14; იქვე: ე. წიკლაური. ორგანიზებული დანაშაულის განსაზღვრება და მისი ძირითადი მიმართულებები, გვ. 28-34; ნ. ჩაჩავა. საერთაშორისო ტერორიზმის იურიდიული ბუნება. «ცხოვრება და სამართალი». თბ., 1998, №2, გვ. 45-51; გ. ყვარელაშვილი. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები. თბ., 1996, გვ. 18-29; ი. გომიაშვილი. კრიმინოლოგია. თბ., 1998. გვ. 172-185; მ. ბაძაღუა. ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1998, გვ. 48-76 და სხვა.

³ О насилии в небольших американских городах – Борьба с преступностью за рубежом, 1993, № 5, ст. 7-10.

⁴ М. Юрга. Порнобизнес: Скандал в ФРГ. – «За рубежом», 1990, №3.; Преступления против малолетних в США – Проблемы преступности в капиталистических странах, 1986, №5, ст. 13.

⁵ D. Sravoy. Sepposed Crime and Jurisdiction at the Turn of the Century. Toronto, 1991.

⁶ А. Якобсон. Болезнь, охватившая человечество – «Литературная газета», 1996, 20 марта.

⁷ D. Cressey. Theft of the nation: The structure and operations of orgaized crime in America. N.Y. 1969.

⁸ R. Reiner. The British policy tradition: Model of myth – Social changes, crime and police (international conference) Budapest, 1993 p. 29-33.

N. Jareborg. The Swedish sentencing law. – Turopean Journal on Criminal Policy and Research. 1994. V. 2 W.I.P. 71-80 ets.

⁹ В.В. Лунеев. Преступность XX века. М., « Норма », 1997, ст. 192.

ამის შედეგად შემუშავებული თეორიული განზოგადოება ამხინჯებს რეკომენდაციის მიზანდასახულობას და გზას უბნევს დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკას.

ძალადობითი დანაშაულის ანალიზის არარსებობა უარყოფითად მოქმედებს ძალადობისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე¹¹. ძალადობითი დანაშაულის შესახებ ცოდნა სჭირდება არა მარტო კრიმინოლოგებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც. მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, პარტიებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ობიექტურად შეაფასონ საზოგადოებაში არსებული ძალადობა, თუ მათ გააჩნიათ ძალადობითი დანაშაულის ძირითად დასკვნებზე არსებული სრულყოფილი ინფორმაცია. ამიტომ, ძალადობითი დანაშაულის კვლევას გააჩნია არა მარტო კრიმინოლოგიური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

ძალადობითი დანაშაული ვლინდება სხვადასხვა ფორმით (მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების, გაუპატიურების, სეპარატიზმის, ტერორის, გენოციდის და სხვა), რომელთა შორის ცხოვრების ზედაპირზე გენეზისის ერთიანი სურათი არ ჩანს. როგორც მართებულად აღინიშნება ქართულ კრიმინოლოგიაში, ასეთი მიდგომის შედეგად, კონცეპტუალური თვალთახედვის ნაცვლად, სხვადასხვა ორგანოები იძულებულნი იქნებიან დაეყრდნონ კერძო ხასიათის რეკომენდაციებს, რაც უეჭველად გაართულებს სიტუაციას და არ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე. გარდა ამისა, ფაქტორული მიდგომა ეწინააღმდეგება ქართული სამართლის ფილოსოფიის მეცნიერების ტრადიციას, რომლის ფარგლებშიც ვითარდებოდა ნორმატიულობის ერთიანი ფილოსოფიური გაგების თვალსაზრისი¹².

ძალადობითი დანაშაულის გამოკვლევა თვითმიზანი როდია. მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იყოს კონფლიქტური სიტუაციების მოდელირებისათვის. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს გამოკვლევის პროგნოსტული ფუნქცია, რომელიც განსაკუთრებით ეფექტიანია ინდივიდუალური პროფი-

ლაქტივისათვის, ოპერატიული მოქმედების ჩატარებისათვის და სხვა.

ობიექტური კრიმინოლოგიური დასკვნები სტაბილურ საფუძველს უქმნიან სათანადო კანონთა პროექტების შემუშავებას. მრავალი ნორმატიული საკითხი, რომელიც ეხება დიდი ქალაქის განვითარების, ქალთა შრომის პირობებს, ბავშვთა სწავლას და სხვ., მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალადობითი დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზის დასკვნებთან.

ძალადობითი დანაშაულის მთლიანი სურათის დადგენა საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ შედარებით – კრიმინოლოგიური პრობლემები, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ჩვენი ქვეყნის პრევენტულ პრაქტიკაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე შრომის მიზანია ძალადობითი დანაშაულის თანამედროვე ევოლუციის ფორმების და მათი ხარისხობრივი თვისებების დადგენა; ძალადობითი დანაშაულის საერთო მიზეზების შესწავლა და კლასიფიკაცია; ამ სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; პრევენტული მოდელების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

კვლევის ობიექტად აღებულია:

- 1) ბოლო წლების ძალადობითი დანაშაულის სტრუქტურის და დინამიკის თავისებურებანი;
- 2) საქართველოს სინამდვილეში წარმოშობილი ძალადობითი დანაშაულის სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები;
- 3) ძალადობით დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში.


გამოკვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ჰუმანიტური მიმართულების ფილოსოფიური შრომები, მეცნიერული გამოკვლევები ძალადობითი დანაშაულის საკითხებზე, გაეროს და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული პროგრამები.

გამოკვლევაში გამოყენებულია ისტორიული, კრიმინოლოგიური, შედარებით – ლოგიკური, სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

გამოკვლევის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ნაშრომში პირველად არის აღწერილი საქართველოში ძალადობითი დანაშაულის ყველა ფორმა საბაზრო

¹¹ Доклад Европейского регионального подготовительного совещания к IX конгрессу ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. Вена, 28.02-4.03, 1994 г. A/CONF/169/RPM/3/10 March 1994. p. 26-28.

¹² იხ., მ. ბაძაღუა. ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1998, გვ. 7.




ურთიერთობათა პირობებში; გამოყოფილია ძალადობითი დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნები, ტენდენციები; მოცემულია კრიმინოგენური ფაქტორების დახასიათება და კლასიფიკაცია; ძალადობითი დანაშაულის განსაზღვრის პრევენტულ მიდგომაში, გათვალისწინებულია როგორც საერთაშორისო გამოცდილება, ასევე ჩვენი ქვეყნის პრაქტიკა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მიღებული დასკვნები დახმარებას გაუწევს სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის – სამართალდამცავ ორგანოებს. შესაბამისად, შეიქმნება თეო-

რიული საფუძველი ძალადობითი დანაშაულის ცნების როგორც კრიმინოლოგიის განსაკუთრებული ნაწილის დასამუშავებლად, საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

გიორგი ჯანაშია,
საქართველოს გენერალური
პროკურატურის სასამართლოში
სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი
სამმართველოს პროკურორი.



გულრატ ფაშაევი

გაუფრთხილებელი დანაშაულით დანაშაული

რუსიის გათავისუფლების მეთოდი

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ გაუფრთხილებელი დანაშაულით დაწყებული რეციდივი შეირჩა გამოკვლევის ობიექტად. ტრადიციულად ჩვენს, ისევე, როგორც საზღვარგარეთის კანონმდებლობასა და თეორიაში, განსაკუთრებულ კატეგორიად არის გამოყოფილი გაუფრთხილებელი დანაშაული და მისი ჩამდენი პირები. ამას კი სერიოზული საფუძველი გააჩნია.

სამეცნიერო ნაშრომებში ასახულია სარწმუნო მონაცემები, როგორც გაუფრთხილებელ დანაშაულთა თავისებურების (რაც მხოლოდ მათ ეტიოლოგიაში ვლინდება), ისე გაუფრთხილებელი დანაშაულის სუბიექტთა პიროვნების თავისებურებათა შესახებ. უდაოა ის ფაქტი, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენი პირები, დანაშაულის განზრახ ჩამდენ პირებთან შედარებით, საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში არიან.

სპეციალური გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებში რეციდივის კოეფიციენტი ბევრად დაბალია, ვიდრე განზრახ დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს შორის. კერძოდ, ჩვენი გამოკვლევების შედეგების თანახმად, რეციდივის კოეფიციენტი იმ პირთა შორის, რომლებმაც პირველად ჩადინეს განზრახი დანაშაული, 35% - ია, ხოლო პირველად გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულთა შორის სულ 12%.

არც ისაა შემთხვევითი, რომ კანონმდებელი ტრადიციულად არ აიგივებს გაუფრთხილებელ დანაშაულს განზრახ ჩადენილ დანაშაულთან და ერთმანეთისაგან ანსხვავებს განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენ პირებს.

რუსეთის ფედერაციისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების

სისხლის სამართლის კოდექსები მრავალ მუხლში ასევე განსაკუთრებით გამოყოფენ გაუფრთხილებელ დანაშაულს. ყოველივე ეს გვაფიქრებს იმაზე, თუ რატომ სჩადიან ხელმეორედ დანაშაულს გაუფრთხილებელი დანაშაულის პირველად ჩამდენი პირები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული თავისი ხასიათით, არ არის დიდი საზოგადოებრივი საშიშროება, ხოლო მათგან 12% კვლავ სჩადის გაუფრთხილებელ დანაშაულს?

ამ გამოკვლევის მიზანი იმ პირთა დანაშაულობების თანმიმდევრობის კანონზომიერებათა გამოვლენაა, რომელთაც პირველად დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადინეს. იგი ასევე მიზნად ისახავს დანაშაულის პირველად ჩამდენ პირთა ბიოგრაფიაში განმეორებულ დანაშაულთა შორის დროის ინტერვალის, ტიპური კავშირების, წინა და მომდევნო დანაშაულებს შორის ამ სახის დანაშაულის განმეორების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც მათი მხრიდან დანაშაულის განმეორების დეტერმინირებას უწყობენ ხელს. გარდა ამისა, გამოკვლევა მიზნად ისახავს სხვადასხვა ხასიათის დანაშაულის განმეორებით ჩადენის სტატისტიკის ალბათობის გამოვლენას იმ პირთა შორის, რომელთა მიერ პირველი დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებელმა ფაქტორებმა განაპირობა; კორელაციული დამოკიდებულება პირველი გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის მომენტში დანაშაულის ასაკს, სახეობასა და დანაშაულისათვის მისჯილი სასჯელის ზომას შორის, ერთი მხრივ რეციდივის სტრუქტურისა და მეორე მხრივ დროის ინტერვალებში მის ინტენსიობას შორის; იმ პირთა განსაკუთრებულობის გამოვლენას, ვინც პირველი დანაშაულისათვის გასამართლების შემდეგ კვლავაც ჩადინა



იგი, პირველ და განმეორებით დანაშაულთა შორის კავშირების არსებობა, ან პირიქით. ამგვარი კავშირის არსებობის შემთხვევაში, სასურველია გაირკვეს, თუ რამდენად მყარია იგი და რას ეფუძვნება ჰიპოტეზა იმის შესახებ, რომ პირველ გაუფრთხილებელ და განმეორებით ჩადენილ დანაშაულებს შორის არსებობს სუბიექტური და ობიექტური კავშირები.

ყველა ეს ინფორმაცია აუცილებელია იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომელიც შეეხება გაუფრთხილებელი დანაშაულის განმეორების შემთხვევათა რეციდივად აღიარების მართლ-ზომიერებას ან მცდარობას, ანალოგიური დანაშაულისათვის ნასამართლობის შემთხვევაში, განზრახ დანაშაულის განმეორებას გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ნასამართლობის შემთხვევაში და გაუფრთხილებელი დანაშაულის განმეორებას განზრახ დანაშაულისათვის ნასამართლობის შემთხვევაში. აღნიშნულ ინფორმაციას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის კუთხითაც.

რეციდიული დანაშაულის გამოკვლევათა მასშტაბების გაფართოება განაპირობებს მრავალფეროვან და სულ უფრო რთულ მეთოდთა გამოყენებას, რომელთა შერჩევა განისაზღვრება არა მხოლოდ ობიექტითა და გამოკვლევის მიზნებით, არამედ მეცნიერების განვითარების დონით, მეცნიერების მსოფლმხედველობის პოზიციით. ამასთან დაკავშირებით, აქტუალურად გვესახება განზოგადების, ხვადასხვა ავტორის მიერ რეციდიულ დანაშაულობათა კვლევის მეთოდების ანალიზისა და ტიპური ქოთლების ბანკის დაკომპლექტების პრობლემები.

გაუფრთხილებელი დანაშაულის შედეგად დაწყებული რეციდივი ბოლო დრომდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი, ამიტომ, ბუნებრივია, რომ არავინ ყოფილა დაკავებული მისი გამოკვლევის მეთოდის შემუშავებით. თუმცა, წინამდებარე ნაშრომებში გამოიყენე რეციდიული დანაშაულის სხვა მკვლევართა მიერ გამოყენებული რამდენიმე მეთოდი, ასევე იმ ავტორებისა და მეცნიერ-კრიმინალისტების მიერ რეციდივის კვლევისას შემუშავებული მეთოდები.

გამოკვლევებს საფუძვლად უდევს არაერთხელ ნასამართლევ იმ პირთა კრიმინალური ბიოგრაფიები, რომელთაც პირველი დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინეს. პირველად მსგავსი ანალიზი განახორციელა ა.ფ. ზელინსკიმ, რომელმაც წარმატებით გამოიკვლია და სისტემატიზაცია გაუკეთა შესაძლო კავშირებს ყველაზე შეუპოვარ რეციდივისტთა ქმედებებს, რეციდივის შემადგენელ დანაშაულთა თანმიმდევრობას, მათ ხასიათსა და ადრე ნასა-

მართლევ პირების მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის. შედარებითი მეთოდი გამოყენებული იყო დროით დამორებული რეციდივების გამოკვლევებისას.

ამგვარი მეთოდის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება რეციდივის სტრუქტურის შესწავლის შესაძლებლობა.

ჩვენი აზრით, მხოლოდ რეციდივისტების კრიმინალური ბიოგრაფიების შესწავლისას შეიძლება რეციდივის სტრუქტურის შესახებ ჭეშმარიტი წარმოდგენის მიღება, რადგან ყოველი დანაშაულის დანაშაული სტატისტიკურ ჯგუფებში წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ასეთი ჯგუფების ანალიზისას შესაძლებელი ხდება დაკვირვება, თუ როგორ იცვლება განმეორებითი დანაშაულის სიმძიმე, როგორია მათი ხასიათი და განმეორების სიხშირე, რა ფაქტორი განაპირობებს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებათა პიროვნების ხასიათის ცვალებადობას; და მხოლოდ ამგვარად უნდა წარმართოს რეციდივის პროფილაქტიკის გზების ძიება, ცხადია ინდივიდუალური პროგნოზირების საფუძველზე.

გამოკვლევის ხასიათმა განსაზღვრა ინფორმაციის წყაროთა შერჩევა. ცნობილია, რომ სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკურ გაანგარიშებებში ასახულია მხოლოდ რეციდიულ დანაშაულთა საერთო მდგომარეობა, მაგრამ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის აკუმულირებული რეციდივისტთა კრიმინალური ბიოგრაფიის შესახებ მონაცემები. უფრო მეტიც, დღეს არც აზერბაიჯანის იუსტიციის სამინისტროში და არც სასჯელთა აღსრულების სამმართველოში არ გააჩნიათ ინფორმაცია იმათ შესახებ, ვინც სასჯელის მოხდის შემდეგ განთავისუფლდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ დღემდე ამ პირთა საერთო რესპუბლიკური აღწერა არ ხდება. ეს კი არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

გაუფრთხილებელი დანაშაულის პირველად ჩამდენი პირების კრიმინალურ ბიოგრაფიათა შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო ფორმა №2-ის ტიპის საარქივო სტატისტიკური ბარათებია, სადაც თავის დროზე ხდებოდა რეციდივისტთა ყველა ნასამართლობის რეგისტრაცია და აქვე აისახებოდა სისხლის სამართლის კოდექსის ყველა ის მუხლი, რომლითაც ესა თუ ის დანაშაულები ამა თუ იმ დროს იხდოდა სასჯელს.

აქედან შევარჩიეთ ის ბარათები, რომლებშიც ფიგურირებდა პირველი გაუფრთხილებელი დანაშაული. სპეციალურ ბარათებში გადავიტანეთ მონაცემები დანაშაულის პიროვნების, მისი ხასიათის შესახებ პირველ გაუფრთხილებელ და მომდევნო დანაშაუ-

ლობებზე სისხლის სამართლის კოდექსით მათ კვალიფიკაციაზე, სასჯელის ზომაზე და გათავისუფლების ვადებსა და წესზე.

მეორე წყაროდ შევარჩიეთ იმ მსჯავრდებულთა პირადი საარქივო საქმეები, რომლებიც სასჯელს ქალაქ ბაქოს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიდნენ. გავანალიზეთ განმეორებით გასამართლებულ იმ პირთა საქმეები, რომლებმაც პირველი დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინეს, გარდა ამისა, შევისწავლეთ იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებიც ამ მომენტიანათვის იხდიდნენ სასჯელს მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში.

ამას გარდა, აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროში ავიღეთ მონაცემები იმ 100 რეციდივისტრის შესახებ, რომლებმაც პირველად განზრახი დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ მათ ბიოგრაფიაში იყო გაუფრთხილებელი დანაშაულიც. საერთო ჯამში, შევგაროვეთ 300 პირის კრიმინალური ბიოგრაფიის მონაცემები, რომელთაც პირველი დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინეს.

გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის გასამართლებულ პირთათვის განკუთვნილ ერთ-ერთი კოლონია-ჩასახლების სპეციალურ ნაწილში შევისწავლეთ 150 მსჯავრდებულის პირადი საქმე, ავიღეთ ინტერვიუები განყოფილების უფროსებისა და კოლონიის სხვა თანამშრომლებისაგან, ასევე დაინტერესებულ 110 მსჯავრდებულისაგან. კოლონიაში შევისწავლეთ დისციპლინარული პრაქტიკა, მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო და შრომის პირობები.


შევისწავლეთ აგრეთვე ბაქოს საავტომობილო-სატრანსპორტო გაერთიანების ტერიტორიულ ავტომეურნეობებში ავტოავარიების დინამიკა და მდგომარეობა.

გაუფრთხილებელი დანაშაულით დაწყებული რეციდივების ამ მეთოდით გამოკვლევის პროდუქტიულობა, უწინარესად განპირობებულია იმით, რომ იგი შესაძლებელს ხდის თითოეული რეციდივისტის ბიოგრაფიის და მთლიანად, დამნაშავეთა ჯგუფის ბიოგრაფიის შესწავლას. ამასთან, დამნაშავეთა ბიოგრაფიის შესწავლა პერსპექტიული მეთოდებით ხორციელდება და იქმნება ბაზა ადრე ნასამართლევ პირთა ინდივიდუალურ ქმედებათა პროგნოზირებისათვის. მეორეც, აღწერილი მეთოდიკა შესაძლებელს ხდის კრიმინოგენულ ფაქტორებთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს რეციდივებს იმ პირთა შორის, რომლებმაც პირველი დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინეს, ასევე პიროვნების ფორმირების ანტიკრიმინოგენულ-სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს,

იდეოლოგიურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ ფაქტორებს, რომლებიც უშუალოდ შემოქმედებას ახდენენ ადამიანის ქცევებსა და მათ სულიერ სამყაროზე. ეს კი თეორიის მთავარ ამოცანად არის აღიარებული.

ნებისმიერი სოციალური მოვლენის სტატისტიკური შესწავლისათვის, მათ შორის რეციდივის, ერთობ საპასუხისმგებლო პროცედურაა თავდაპირველი მასალის ჯგუფურ კრიტერიუმთა შერჩევა, რაც დამოკიდებულია მრავალ მომენტზე: გამოკვლევის მიზნებზე, შესასწავლი ობიექტის ხასიათისა და მის შესახებ არსებული ინფორმაციის მოცულობაზე. იმდენად, რამდენადაც ამ გამოკვლევის მიზანი გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულით დაწყებული რეციდივის კანონზომიერების გამოვლენაა, დაჯგუფების კრიტერიუმად შეიძლება გამოვიყენოთ ის ფაქტორები, რომლებიც პიპოთენურად საზღვრავენ როგორც ამ მოცულობის სიდიდეს (დონეს), ისე მის ინტენსივობას დროის ინტერვალში. ჩემი აზრით, სწორედ ეს უზრუნველყოფს ამ გამოკვლევათა პრაქტიკულ ღირებულებას, რამეთუ, საბოლოო ჯამში საქმე ეხება დანაშაულის რეციდივის გაგების კონცეფტუალური საფუძვლების ფორმირებას, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულით დაწყებული რეციდივის პროფილაქტიკის თეორიული ბაზის შექმნას.

გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენი ადამიანები თავიანთი პიროვნული თვისებებით, არსებითად განსხვავდებიან განზრახი დანაშაულის ჩამდენი დამნაშავეებისაგან, ამიტომ არსებობს იმის საფუძველი, რომ არა მხოლოდ პირველი რეციდივის კანონზომიერებაა სპეციფიური მეორესთან შედარებით, არამედ სპეციფიურია ამ მოვლენის მიზეზებიც დამნაშავეთა ორივე კატეგორიაში. ჩატარებული გამოკვლევის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ამ სპეციფივის გამოვლენაა. ამასთან, რადგან საუბარი მაინც რეციდივზეა, მართებული იქნება დავასვანთ, რომ იმ პირთა რეციდივი, რომლებმაც დანაშაულებრივი “მოღვაწეობა” გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულით დაიწყეს, წააგავს იმ პირთა რეციდივს, რომლებმაც პირველი დანაშაული განზრახვით ჩაიდინეს. ყოველივე ეს კი შესაძლებელს ხდის და გვაკვლავლებს კიდევ, რათა რეციდიულ დანაშაულთა შესწავლის პროცესში გავითვალისწინოთ მეცნიერების მიერ დაგროვილი გამოცდილება. კერძოდ, მართლზომიერად გვეჩვენება დაჯგუფებული სახით იმ ნიშნების გამოყენება, რომლებიც თეორიაში უდავოდ ითვლებიან რეციდიული დამნაშავეობის ფაქტორებად. ყოველ შემთხვევაში, ეს ყოველად გამართლებულია გამოკვლევათა პირველ ეტაპზე, როდესაც გაუფრთხილებელი დანაშაულით დაწყებული რეციდივის სპეციფიკა ჯერ კიდევ



გამოსავლენია. არც ის არის გამორიცხული, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულით დაწყებული რეციდივის ფაქტორები და სხვა რეციდივის ფაქტორები შეადგენენ როგორც ნაწილს, ისე მთელს. ისიც შესაძლებელია, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულით დაწყებული რეციდივის სპეციფიკა განსაზღვრავს არა უბრალოდ ფაქტორთა ერთობლიობას, არამედ მათ იერარქიას და სუბორდინაციას ერთმანეთთან მიმართებაში.

რეციდივისტთა კრიმინალურ ბიოგრაფიებში დანაშაულები ერთმანეთისაგან გამოყოფილია გარკვეული დროის ინტერვალებით. მათი ხანგრძლივობა განსხვავებულია და ეს ძრავალ ფაქტორზე დამოკიდებული. მაგრამ სწორედ დროის ეს ინტერვალია სხვადასხვა სახის რეციდივის სპეციფიური მაჩვენებელი.

რეციდივის ინტერვალის შესწავლა შესაძლებელს ხდის, ერთი მხრივ, დანაშაულთა შორის არსებული კავშირების გამოვლენას, მეორე მხრივ, პირველი და მომდევნო დანაშაულის მიზეზების გამოვლენას. საუბარია პროგნოზული მოდელების აგებულებაზე. გარკვეული ტიპის დამნაშავეთა ბიოგრაფიების შესწავლით შეიძლება იმის გაგება, თუ როგორ იქცევიან ისინი პირველად ჩადენილი დანაშაულისათვის მოხდელი სასჯელის შემდეგ, როგორი სიხშირით ხდება რეციდივები და გარკვეულ ინტერვალებში რა სახის დანაშაულობებს სჩადიან; შესაბამისად, აღბათობის დონეზე ვივარაუდოთ, ასევე მოიქცევიან თუ არა მათი მსგავსი დამნაშავეთა ტიპები, რომლებიც სასჯელს გაუფრთხილებლად ჩადენილი დანაშაულისათვის იხდიან.

ამიტომ, მსგავსი გამოკვლევის ამოცანა არა მარტო ზუსტი პროგნოზების გაკეთების სწავლაა, არამედ იმ მეთოდების შემუშავებაც, რომლებითაც წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ არაკეთილსასურველი პროგნოზების ცხოვრებაში რეალიზაციას. ამისათვის კი, აუცილებელია არა მხოლოდ რეციდივების ინტერვალების, დანაშაულთა ტიპებისა და ყოველ ინტერვალში აღბათობის ცოდნა, არამედ ის ფაქტორებიც, რომლებიც განაპირობებენ ინტერვალების ხანგრძლივობას და შემდგომი დანაშაულის ხასიათს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა ვუპასუხოთ არა მხოლოდ შეკითხვას, თუ რა მოხდა, არამედ იმასაც, თუ რა მიზეზით მოხდა.

დროის ინტერვალი უნდა განვიხილოთ არა უბრალოდ როგორც წლების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ერთმანეთისაგან ამორებს დანაშაულებს, არამედ როგორც რეციდივისტის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტი: როგორ ცხოვრობს, რით არის დაკავებული, რა იტაცებს, გარკვეულწილად

შეუძლია თუ არა სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა, დაოჯახება, განქორწინება და ა.შ. ერთი სიტყვით ამ დროის მანძილზე დამნაშავის ცხოვრებაში ხდება ისეთი მოვლენები, რომლებითაც, საბოლოო ჯამში შეიძლება განისაზღვროს რეციდიული დანაშაულის გენეზისი.

ამავე დროს დანაშაულებრივ “მოღვაწეობაში” შესვენებათა ხანგრძლივობაზე რეციდივისტებმა შეიძლება მოახდინონ ძლიერი ზემოქმედება თავიანთი პიროვნული განსაკუთრებულობით, აგრეთვე მათ ცხოვრებაში წინა წლების მოვლენებმა, პირველი დანაშაულისათვის სასჯელის სახეობამ და ზომამ, სასჯელის მოხდის პირობებმა და გათავისუფლების წესებმა, პირველი რეციდიული დანაშაულის ჩადენის მომენტში მისმა ასაკმა და სხვა.

არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლოდან გამასწორებელ პრაქტიკას, ასევე ადამიანის ცხოვრების განსაკუთრებულობას პირველი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდში. ინტერვალის ხანგრძლივობა დამოკიდებულია აგრეთვე ძიებისა და კანონგამოყენების საქმიანობის აქტივობაზე, ასევე რეციდიული დანაშაულის ლატენცურობის დონეზე.

აღიარებულია, რეციდივების შემდეგი ინტერვალები: სამ წლამდე (რეციდივი პირველი სამი წლის განმავლობაში); სამი წლიდან ხუთ წლამდე; ხუთიდან რვა წლამდე; რვა წლის ზევით. რეციდიუს, რომელსაც ადგილი აქვს პირველი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის მომენტიდან სამი წლის შემდეგ, ეწოდება დროით შორეული რეციდივი.

გაუფრთხილებელი დანაშაულით დაწყებული რეციდივის სტრუქტურის გამოკვლევა ასევე ხდება ინტერვალთა, რომელსაც ლიტერატურაში ნულოვანს უწოდებენ, ანუ სასჯელის მოხდის დრო, ან პირობითი სასჯელით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადა. უფრო ზუსტად ეს არ არის რეციდივის ისეთი ინტერვალი, დამნაშავე ხელმეორე დანაშაულს რომ სჩადის იმ დროს, როცა წინა სასჯელი ჯერ არ მოუხდია, მაგრამ რეციდივის სტრუქტურის გამოკვლევა ამ ინტერვალში აუცილებელია იმისათვის მაინც, რომ სწორედ აქ განსაკუთრებით მკვეთრად “შუქდება” სასამართლო და გამასწორებელი პრაქტიკის ხარვეზები (სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომები, სასჯელის მოხდის პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებები და სხვა). ლიტერატურაში ჩვეულებრივ არ არის არგუმენტირებული რეციდივის ინტერვალების შერჩევა. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ რეციდივების ინტერვალები არ უნდა შეირჩეს თვითნებურად. აქ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული რეციდიული დამნაშავეობის გამოკვლევათა შედეგებიც, სადაც ინტერვალის ხანგრძლივობა

დასაბუთებულია ემპირიული მონაცემებით და კანონმდებლობით, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება სასჯელის ამა თუ იმ ვადის საფუძვლიანობის ან უსაფუძვლობის შემოწმება.

წინამდებარე გამოკვლევაში შერჩეული ინტერვალების სასარგებლოდ არგუმენტაციად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: სამწლიანი ვადა იმით არის დასაბუთებული, რომ რეციდიულ დანაშაულთა მრავალი მკვლევარის მონაცემებით რეციდივისტთა უმეტესი ნაწილი ახალ დანაშაულს სჩადის წინა დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის მონეტიდან სამ წლამდე პერიოდში. ვინაიდან სამწლიანი პერიოდი კრიტიკულად ითვლება ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის ალბათობის მეკეთრი შემცირების თვალსაზრისით, კარგი იქნებოდა ამის გათვალისწინება გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულით დაწყებული რეციდივის შესწავლის პროცესშიც.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ აზერბაიჯანში მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებში, სამწლიანი ვადა ხშირად ფიგურირებს. ალბათ, კანონმდებელი მას მიიჩნევს როგორც თავისებურ მიჯნად, რის შემდეგაც იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ან უკვე მოიხადეს სასჯელი მისი ჩადენისათვის, არსებითად უნდა შეიცვალოს. კერძოდ, სამწლიანი ვადა ფიგურირებს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე, 45-ე და 53-ე მუხლში, რომლებიც შესაბამისად ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს ხანდაზმულობის გამოყენების პირობებს, გამამტყუნებელი განაჩენის სისრულეში არმოყვანას, დამნაშავეთა გარკვეული კატეგორიის მიმართ ნასამართლეობის მოხსნას. იგივე ვადა ფიგურირებდა სსრ კავშირისა და მოკავშირე

რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების ცალკეულ მუხლებში: 52-ე მუხლი (პირობითი სასჯელი); 63-ე მუხლი (ნასამართლობა); 38-ე მუხლი (დისციპლინურ ბატალიონში გაგზავნა).

სამწლიანი ვადა ხშირად გვხვდება რუსეთის ფედერაციის ახალ სისხლის სამართლის კოდექსშიც: 73-ე მუხლი (პირობითი სასჯელი); 86-ე მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტები (ნასამართლობა); 94-ე მუხლი (არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ვადების ხანდაზმულობა). 95-ე მუხლი (არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული ნასამართლობის მოხსნის ვადები).

ცხადია, აქ კანონმდებელი ითვალისწინებს იმას, რომ დანაშაულის ჩადენის ან სასჯელის მოხდის მომენტიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, დანაშაულის ჩამდენი პირები უკვე აღარ ითვლებიან საზოგადოებისათვის საშიშად.

გარდა ამისა, სამწლიანი ინტერვალის, ისევე როგორც სხვა ინტერვალების შერჩევისას, გათვალისწინებული იყო ნასამართლობის მოხსნის ვადები, რომლებიც ფიგურირებენ აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე და 95-ე მუხლებში. ამდენად, ჯერ ერთი, ეს ინტერვალები განსაზღვრულია კანონით, მეორეც, ამ ვადებში რეციდივის გამოკვლევა მნიშვნელოვანია ნასამართლობის მოხსნის ვადებისა და წესების მეცნიერული დასაბუთების შემოწმების ინტერესებისთვისაც.

გულრატ ფაშაევი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

თემურ მურღულია

ორგანიზაციული დანაშაულის ნაკომოზის

მიზანბი სპარტველოზი

დანაშაულის წარმომომბის მიზნების ახსნისას ჭირთა გავითვალისწინოთ “დროის ფაქტორის” პრობლემა, ვინაიდან დანაშაულების ფსიქოლოგია, რომლებმაც ამჟამად ჩაიდინეს დანაშაული, ყალიბდებოდა მრავალი წლის წინათ სხვადასხვა პირობებში.

ამიტომ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი ვ. ნ. კუდრიავეცი, “როგორც სუბიექტური, ასევე განსაკუთრებით ობიექტური მოვლენების ანალიზი, სამართალდარღვევათა მიზნებში მათი როლის თვალსაზრისით, უნდა წარმოებდეს განსაკუთრებით ისტორიულ საფუძველზე, აღნიშნული “დროის ფაქტორის” გავითვალისწინებით (ზოგჯერ სივრცეში, თუ გავითვალისწინეთ მოსახლეობის მოძრაობის დემოგრაფიული პროცესები)”, (ვ. ნ. კუდრიავეცი, “სამართალდარღვევათა მიზნები”, მ., “ნაუკა”, 1976, რუსულ ენაზე). ამ ასპექტში ორგანიზებული დანაშაულის წარმომომბის სათავეები უნდა ვეძებოთ 80-იანი წლების ისტორიული პერიოდის ფარგლებში, როდესაც დაიწყო ეკონომიკური კავშირების რღვევა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან და იზრდებოდა დესტაბილიზირებული ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები 1991-1992 წლებში. ზუსტად ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ორგანიზებული დანაშაულის გენეზისის ორ შემადგენელ ნაწილს: “ჩრდილოვან ეკონომიკას” და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემას.

ლეგალური ეკონომიკის შეკვეცის და მისი ჩრდილოვან მდგომარეობაში გადასვლის ნეგატიურმა პროცესმა საგრძნობლად იჩინა თავი 90-იანი წლების დამდეგს. სწორედ ამ წლებში უკონტროლო კრედიტულმა ემისიამ შეუქმნა საფუძველი ინფლაციური პროცესების გაღრმავებას. უხეშმა გამოანგარიშებებმა კლირინგულ სისტემაში და ფასების ხელოვ-

ნურმა ზრდამ ადგილობრივი წარმოების პროდუქციანზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში იყო უხარისხო, გამოიწვია მწვავე ბიუჯეტური დეფიციტი, აქედან კი - დავალიანების დაფარვა ფულის ემისიის ხარჯზე. ინფლაციური პროცესების თარეშის პირობებში სახელმწიფო ძალით იღებდა პროდუქციას უმრავლეს საწარმოებში, ე.წ. სამომავლო გარანტიით. წარმოებები ჩავარდნენ უძმომეს ფინანსურ მდგომარეობაში. რთულდებოდა ეკონომიკის რეალური ფულადი უზრუნველყოფა ნამდვილი ფულადი ნიშნებით, ვინაიდან კუპონის რეალური კურსი ხდებოდა გამჭვირვალე. ამან გააქრო ეკონომიკური ინტერესი უნაღლო ანგარიშსწორებაზე. საწარმოები და ორგანიზაციები გადადიოდნენ ბარტერულ და სავალუტო თვითანგარიშსწორებაზე. ამ პირობებში შეიქმნა პრობლემები ანგარიშგების სფეროში და ეკონომიკის უდიდესი ნაწილი გახდა ჩრდილოვანი. ჩიხიდან გამოსავლის ძიებისას სამეურნეო ნომენკლატურა, ფაქტობრივად გადაიქცა ჩრდილოვანი ეკონომიკის მწარმოებლად. გახშირდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მწარმოებლების დაახლოების ფაქტები კრიმინალურ ჯგუფებთან და ცალკეულ თანამდებობის პირებთან, რომლებიც თავის თავზე იღებდნენ წარმოებების შეუფერხებელი მატერიალური და მკონტროლებელი უზრუნველყოფის ფუნქციას, დანაშაულებრივი კაპიტალების გაფართოებას და ლეგალიზაციას, დანაშაულებრივ საქმიანობაში უფრო მეტი რაოდენობის პირთა ჩაბმას.

კრიმინოგენულ ვითარებას ძაბავდა ასევე ცხოვრების დონის მკვეთრი ვარდნა. ერთი მხრივ, შემოსავლების შემცირება, ხოლო მეორე მხრივ, ხარჯების ზრდა, განპირობებული პოპულისტური მეთოდებით მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში, პურზე, ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ გაზზე

და საქალაქო ტრანსპორტზე ხელოვნური ფასიანი გარანტიების განსახლვრის გზით შექმნეს სერიოზული ბიუჯეტური პრობლემა. 1993 წელს და 1994 წლის სამ კვარტალში არ მოხერხდა ქვეყნის ბიუჯეტის დამტკიცება, ქვეყანა, ფაქტობრივად, აღმოჩნდა ბიუჯეტის გარეშე. სამომხმარებლო საქონელზე 1992 წელს ტარიფები საშუალოდ გაიზარდა 25-ჯერ, 1993 წელს 92-ჯერ, 1994 წელს 120-ჯერ. ამასთან ერთად მოსახლეობის ფულადი შემოსავლები გაიზარდა 1992 წელს 4,5-ჯერ, 1993 წელს 16-ჯერ, 1994 წელს 38,6-ჯერ. ხოლო 1995 წელს 4,5-ჯერ. ყველაფერმა ამან განაპირობა მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა. სოციალურ სფეროში არსებულ უძვირეს მდგომარეობას ამწვავებდა 300 ათასი ლტოლვილის არსებობა და უმუშევრობის ზრდა. 1995 წელს ქვეყნის ეკონომიკაში იყო დაკავებული 1730 ათასი ადამიანი, რაც შეადგენდა შრომითი რესურსების 57%-ს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ 1992-1993 წლებში საწარმოების პრივატიზაციისა და აქციონირების პროცესები, ფაქტობრივად, შეიკვეცა, ვინაიდან არ ითვალისწინებდნენ მშრომელთა ინტერესებს.

სიღატაკემდე მიყვანილი მოსახლეობის ერთი ნაწილი თანხმდებოდა “ჩრდილოვანი ეკონომიკის” საწარმოებში დასაქმებას, მაგრამ უკვე ახალ კრიმინალურ პირობებში. უმუშევრების მეორე ნაწილი კი ეძებდა საყრდენს კრიმინალურ დაჯგუფებებში, რომლებიც ეწეოდნენ მუდმივ დანაშაულებრივ საქმიანობას. სწორედ ამ პერიოდში დანაშაულის ჩამოყალიბების ისტორია საქართველოში ივსება ახალი ჯგუფური და ორგანიზებული დანაშაულის

ჩანასახების ფორმებით. მკვეთრად იზრდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების ფაქტები. მასობრივ ხასიათს ღებულობს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, დოკუმენტების ფალსიფიკაცია და სავაჭრო ნიშნების უკანონო გამოყენება. გავრცელებულია კონტრაბანდა, ყალბი ფულის დამზადება და გასაღება.

ბიუჯეტის გარეშე ქვეყანაში “ჩრდილოვანი ეკონომიკა” გაფართოვდა და მან შთანთქა მთელი ეკონომიკის 45%. თითქმის 3 მილიარდი ლარი. ამ პროცესს არ ჩამორჩებოდნენ ხელისუფლების სტრუქტურებიც, რომლებისთვისაც კანონზომიერი გახდა კორუფცია. მექრთამეობა და სისტემატიური ძალაუფლების გადაძებება ხელს უწყობდა “ჩრდილოვანი ეკონომიკის” ეფექტიან ფუნქციონირებას. შემთხვევით აღმოცენებული კრიმინალური “საძმოები” ღებულობდნენ ყველა ღონისძიებას ბიზნესში წილობრივი მონაწილეობისათვის.

კრიმინალური ჯგუფების პალიტრა იყო არაერთფეროვანი. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩაისახა კანონზომიერება ჯგუფური დანაშაულის ჩამოყალიბებისა და განვითარების როგორც უმაღლესი ფორმა – ორგანიზებული დანაშაულისა. მომდევნო წლებში ჩადენილმა დანაშაულებმა დადასტურეს დადგენილი ფაქტების სისწორე.

ამდენად საზოგადოების წინაშე წამოიჭრა ახალი, აქამდე უცნობი პრობლემა – დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, კრიმინალური ჯგუფების სტრუქტურების ბუნების აღრიცხვისა, როგორც ორგანიზებული დანაშაულის განვითარების ფაზებისა.

ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

გიორგი ნადარეიშვილი

ჯიუღები ქართული სამართლის ისტორიიდან*

მაშასადამე, ქალს ფიცის უფლება არ გააჩნდა. როგორც სასამართლო პრაქტიკის მასალებიდან ჩანს, ქალის ჩვენების აუცილებლობის დროს, მისი ვაჟი-შვილი იფიცებდა. იგულისხმებოდა, თუ ვინმეს წინაშე ქალი სიმართლეს არ დამალავდა, ეს პირველყოვლისა მძა და ვაჟიშვილი იყო.

ქალის “თანამოფიცარი” იყო, თუ თანამოფიცრობას შეზღუდულად გავიგებთ, მისი ვაჟიშვილი; რამდენადაც ფიცი, ცრუფიცის შემთხვევაში თვითწყევლას გულისხმობდა, მორწმუნე ქალი, ალბათ, მახლობელ ნათესავს თუ ვაჟიშვილს არ გასწირავდა ღმერთის წინაშე დასასჯელად. ხოლო “გარეშე კაცს” თუ თანამოფიცრად დაუნიშნავდნენ, “შეუგდებდნენ”, მაშინ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ქალს შეეძლო შეცდომაში შეყვანა ის, არ ეთქვა მისთვის სიმართლე, “არ გატყდომოდა” და თანამოფიცარი ცრუ მოფიცრად გაეხადა. ფიქრობდნენ, რომ უძრავლეს შემთხვევაში მაინც ქალი თავის დანაშაულს არ მოინანიებდა და “არცარას” მოტყუებული თანამოფიცარისას ინაღვლებდა.

ვახტანგის სამართლის 144-ე მუხლის მიხედვით, ქალაქში შეიძლება მხოლოდ თბილისი იგულისხმებოდეს. ქალაქის მოსახლეობა კი ჭრელი იყო, როგორც ეროვნული შემადგენლობით, ასევე სარწმუნოებრივადაც. რელიგიური რწმენა და სინდისნამუსიანობა, პატრიარქალური პატიოსნება და უმწიველოება აქ შერყეული იყო. ქალაქელი “თავკაცი” – მოპასუხე თუ მოსარჩელე, კანონმდებლის მხრივ იმდენ ნდობას არ იმსახურებდა, მისთვის მას “შეგდებული” თუ “შეუგდებელი” თანამოფიცარის გვერდით ფიცის უფლება მიეცა.

საერთოდ, შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ქალაქების მოსახლეობის – მოქალაქეების ფიცისადმი ნდობა საეჭვო რამედ იყო მიჩნეული, ხოლო ზოგიერთი პროფესიის ადამიანებს სასამართლოში ფიცი საერთოდ ეკრძალებოდათ. ქართული ქალაქიც – თბილისიც აღმოსავლური გარემოს დიდი გავლენის ქვეშ ცხოვრობდა. კანონმდებელი ფიქრობდა, რომ ქალაქში თანამოფიცართა ინსტიტუტის არსებობა არ იყო მიზანშეწონილი. მაშასადამე, ქალაქ თბილისში დიდი საქმის გარჩევის დროს “თავკაცთა” ფიცი კი მიიღებოდა მტკიცებად, მაგრამ “თავკაცთ” თანამოფიცრებთან ერთად არ დააფიცებდნენ.

სისხლის სამართლის დანაშაულს თუ დასწამებდა მოქალაქე გარეშე კაცს ან პირიქით, გარეშე კაცი დასწამებდა მოქალაქეს, თანამოფიცართა მეშვეობით, თავის მართლება არ დაიშვებოდა. ასევე “თუ ბევრს ვალსა და საქონელს ან მოქალაქე გარეშე კაცს შესწამებდა ან გარეშე კაცი მოქალაქეს”, “თავკაცთ” ევალებოდათ ფიცი, თანამოფიცართა მოხმობა არ დაიშვებოდა.

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში ფიქსირებულია შემთხვევა: ქართულმა სასამართლომ ყმა ებრაელებს თანამოფიცართა მეშვეობით თავის მართლების უფლება მიანიჭა, მაგრამ ყმა ებრაელობა ამას დიდი სიხარულით არ შეხვედრია. როგორც ჩანს, ყმები ბატონყმობიდან თავის დახსნის მიზნით, ცრუფიცსაც მიმართავდნენ სასამართლოში და როდესაც ისინი იძულებულნი ხდებოდნენ თანამოფიცრებიც ემოვნათ, ეს მათ საქმეს აძნელებდა.

ჩვენი დაკვირვებით იმ შემთხვევაში თუ პიროვნულად ბრალდებულს საშუალებას აძლევდნენ ფიცით ემართლებინა თავი სასამართლოს წინაშე, ასეთ ფიცს ჯერი ეწოდებოდა. ჯერი იხსენიება ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 63-ე და ვახტანგ VI სამართლის წიგნის 42-ე, 77-ე, 182-ე, 188-ე, 193-ე, 194-ე და სხვა მუხლებში.

*დასასრული, დასაწყ. იხ. ჟურნ. “სამართალი”, 1999, №3.

ქადაგი

ქადაგს “ქართული საბჭოთა ენციკლოპედია” განმარტავს როგორც ღვთაების რჩეულ პირს, აღიარებულს მეენედ, შუამავლად ადამიანებსა და ღვთაებებს შორის. “სწამდა, რომ ქადაგში ღვთაება ისადგურებდა და მისი პირით ამცნობდა ხალხს თავის ნება-სურვილს”.

ქადაგობის ინსტიტუტი საქართველოს ზოგიერთ მხარეში მიმდინარე საუკუნემდე იყო შემონახული და ის აქტიურად მონაწილეობდა თემის სასულიერო და საერო ცხოვრებაში.

ქადაგი ქართული წინარესამართლებრივი და სამართლებრივი ყოფის უძველესი ფიგურაა.

უძველეს წინარესახელმწიფოებრივ ხანაში რელიგია, ზნეობა და ჩვეულება ერთმანეთში იყო გადაწულ-გადახლართული. მათი ერთმანეთისაგან გამოცალკევება შედარებით გვიან მოხდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში რელიგია მოიცავდა ზნეობას, ჩვეულებას და წინარესამართლებრივ ნორმებს.

ვფიქრობთ, რომ მაშინ იმ წესების და ჩვეულებების ერთობლიობას, რომლებიც ადამიანებს შორის ურთიერთობას აწესრიგებდნენ, წესი ან რიგი, ზოგან კი წესი ან ჩვეულება უნდა რქმეოდა.

ქართველთა წარმოდგენით არსებობდა “რიგის” დამდგენი ანუ მორიგე ღმერთი, რომელიც ადგენს ადამიანებისათვის სავალდებულო ქცევის წესს ანუ რიგს. ამ შემთხვევაში რელიგიური ნორმა, დადგენილი მო-რიგ-ე ღმერთის მიერ, იწოდებოდა “რიგ”-ად. როგორც ჩანს, ზოგიერთ ქართველთა ტომში რიგის სინონიმი წესი იყო. ამიტომაც წესის დამდგენ ღვთაებას მო-წეს-ე ღმერთს ეძახდნენ, ხოლო მის მიერ დადგენილს – “წესს”.

საბოლოოდ, როდესაც ქართველურ ტომთა კონსოლიდაცია მოხდა, მივიღეთ “წეს-რიგი”. ეს გამოთქმა თავდაპირველად აღნიშნავდა წინარესამართლებრივი დონის სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობას ანუ იგივე წინარესამართალს. ამ უძველესი ხანიდან შემოგვრჩა ტერმინი მოწეს-რიგება. საგულეებელია, რომ “წეს”-ზე და “რიგ”-ზე უწინარეს წინარესამართალს აღნიშნავდა “ხელი”.

ფეოდალურ ხანაში ფშავისა და ხევსურეთისათვის დამახასიათებელი სოციალური ინსტიტუტები უფრო ადრე ბარის საქართველოსათვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

ცნობილია, რომ სრულიად ხევსურეთის საერთო სალოცავი – გუდანის საღმრთო გიორგის ჯვარი დიდ როლს ასრულებდა ხევსურთა სოციალური ნორმების სრულყოფაში. ხევსურთა სოციალური ნორმების სრულყოფაში გუდანის ჯვარი მთავარ

კანონმდებლად, სჯულმდებლად ითვლებოდა. ხევსურთა მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ქადაგის წინასწარმეტყველების, ფაქტობრივად, ქადაგის მოსაზრების საფუძველზე ხევსურეთის “რჯულში”, მათ წეს-ჩვეულებებში, ქცევის წესებში ცვლილებები შეჰქონდათ.

ქადაგთა და ბჭე-ხევისბერთა გადაწყვეტილებანი სათანადო ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლების მეშვეობით გადაეცემოდა სხვა თემების ჯვარ-ხატთა და დარბაზებს. ამ საკითხების შესახებ სათანადო მასალები მოაქვთ მკვლევარებს ვ. ბარდაველიძეს, ალ. ოჩიაურს, ე. ერიაშვილს.

როგორც ვხედავთ, ხევსურთა სატაძრო თემს შემუშავებული ჰქონდა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გარკვეული ხერხი. ცხადია, სოციალურ პროგრესში დიდ როლს ასრულებდა რელიგია, როგორც ხალხის კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, როგორც ხალხური ფილოსოფია.

აქვე გავიხსენოთ, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე ძველ საბერძნეთშიც, კერძოდ, სპარტაში, ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულს არსებობდნენ სოციალური მოხელეები – ეფორები, რომელთაც ევალებოდათ ღვთაების ნაკარნახევი კანონები ეუწყებინათ ხალხისათვის. ამ მიზნით ისინი იძინებდნენ ტაძარში, სადაც სიზმარში, ღვთაებრივ “ჩვენებაში” უხედავდნენ ღვთაების ნათქვამს. ამ მიზნით ისინი იძინებდნენ ტაძარში, სადაც სიზმარში, ღვთაებრივ “ჩვენებაში” უხედავდნენ ღვთაების ნათქვამს. ამ მიზნით ისინი იძინებდნენ ტაძარში, სადაც სიზმარში, ღვთაებრივ “ჩვენებაში” უხედავდნენ ღვთაების ნათქვამს.

ცხადია, ეფორები დამუხტულნი იყვნენ საჭირო საკანონმდებლო იდეით და არ არის გამორიცხული, რომ დიდი ხნის განმავლობაში ნაფიქრის შესახებ მათ რაიმე გადაწყვეტილება მიეღოთ სიზმარში ან რაიმე “ჩვენება” – მითითება მიეღოთ ღვთაებისაგან ისევე საკუთარი გამოცდილების თუ სხვათა რჩევადარიგების გათვალისწინებით.

საინტერესო მასალებია თავმოყრილი გერმანელი მკვლევარის შუხსენშუტცის ნაშრომში – “სიზმარი და სიზმრის მნიშვნელობა ძველ სამყაროში”. ავტორი საინტერესო მასალებს გადმოგვცემს პითიას შესახებ. ბერძნულ პითიას ქართულ სინამდვილეში წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული ქადაგი შეესატყვისებოდა.

ქადაგის ფიგურა აბარის საქართველოშიც მოჩანს. ყოველ შემთხვევაში, “სუჯუნური ქადაგის” შესახებ გადმოგვცემს ხალხური ლექსი. სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიას უკავშირდება ქადაგის ფიგურა გვიანფეოდალურ ხანაში. ქადაგი ძველ საქართველოში სამართალგანვითარების სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში

როგორც მკითხველმა იცის, 1999 წლის 27 აპრილს ჩვენი ქვეყანა ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრად ერთხმად აირჩიეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო სამუდამოდ დამკვიდრდა ევროპის საბჭოს ქვეყნების სამართლებრივ სივრცეში. ამის უტყუარი დასტურია ის, რომ ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს მოსამართლედ არჩეულია ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, ბატონი მინდია უგრეხელიძე. ამიერიდან საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც მიაჩნია, რომ თავისი ქვეყნის მართლმსაჯულების ვერც ერთ ინსტანციაში ვერ მიაღწია სანადელს – დაეცვა თავისი სიმაართლე, უფლება ეძლევა საჩივრით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს. . .

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოქალაქეთა მიმართვის პროცედურას და ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს ერთ-ერთ საინტერესო გადაწყვეტილებას გაერთიანებული სამეფო – სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თაობაზე მამინაცვლის მიერ ბავშვის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის. რედაქციას გადაწყვეტილი აქვს მსგავსი მასალების შემდგომშიც მოწოდება.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოქალაქეთა მიმართვის პროცედურა

1999 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის რატიფიცირება. ამ მომენტიდან საქართველოს მოქალაქეებს ეძლევათ რეალური შესაძლებლობა, მათი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში ინდივიდუალური საჩივრებით მიმართონ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ქალაქი სტრასბურგი).

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო წარმოადგენს ზეეროვნულ ორგანოს, რომელსაც მოქალაქეებმა შეიძლება მიმართონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოწურულია.

თუმცა, გასაჩივრებისას მოქალაქეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც დადგენილი წესების, ასევე წარსადგენი დოკუმენტების შევსების ფორმათა ზუსტ დაცვას. ეს ფრიად მნიშვნელოვანი პირობაა საჩივრის მიღების საწყის ეტაპზე, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული მოქალაქეთა განცხადებების განსახილველად მიღება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

1. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო (შემდგომში – სასამართლო) იხილავს ნებისმიერი მოქალაქის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფის საჩივრებს, რომლებიც თვლიან, რომ მათ მიერ დარღვეულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მიერ აღიარებული უფლებები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჩივარი უნდა აღიძრას ადამიანის უფლებათა კონვენციის შესაბამისი მუხლების დარღვევისას.

2. სასამართლო იხილავს მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ მიმართულ საჩივრებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს და რატიფიცირება უყვეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას; განსახილველი საჩივარი უნდა ეხებოდეს კონვენციის რატიფიცირების შემდგომ მომხდარ მოვლენებს. სასამართლო უფლებამოსილი არაა, განიხილოს ის საჩივრები, რომლებიც მიმართულია როგორც კერძო პირების, ასევე არასახელმწიფოებრივი (კომერციული) ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამ დებულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. როგორც მოქალაქეები (კერძო პირები), ასევე არასამთავრობო

ორგანიზაციები ვერ მოითხოვენ ყველაზე სამართ-
ლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც კი, თუ
თვით ფაქტი უფლებათა ხელყოფისა მოხდა კონვენციის
რატიფიცირებამდე (1999 წლის 20 მაისი).

3. სასამართლო იხილავს კონვენციითა და მასზე
დართული ოქმებით (პროტოკოლებით) გარანტირე-
ბული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ
საჩივრებს. სხვა შემთხვევაში საჩივრები არ მიიღება.
მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სოცია-
ლურ-ეკონომიკურ უფლებათა უმრავლესობა კონვენ-
ციაში არ არის მოცემული.

4. საჩივრის განსახილველად მიღების განმსაზ-
ღვრელ ფაქტორად კონვენცია თვლის სამართლებ-
რივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების
ამოწურვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის
უფლებათა დაცვა, უპირველესად, უნდა უზრუნველ-
ყონ სახელმწიფო ორგანოებმა – ეროვნული სასა-
მართლოების ჩათვლით, რომლებიც ვალდებული
არიან, აღიარონ კონვენციის პრინციპები და ნორმები
თავიანთი საქმიანობის პრიორიტეტულ საფუძვლად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართ-
ლომ, უპირველეს ყოვლისა, ხელი უნდა შეუწყოს
თვით სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვაზე
კონტროლის განხორციელებას.

5. ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია
შეიტანოს საჩივარი სასამართლოში, თუ მის საქმეზე
საბოლოო გადაწყვეტილება ეროვნულ დონეზე მიღე-
ბულია კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, ამასთან
ამ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან 6
თვის მანძილზე.

6. სასამართლო არ განიხილავს იმ საჩივარს,
რომელიც:

- 1) ანონიმურია;
- 2) თვით სასამართლოს მიერ განხილულია ადრე
ან უკვე წარმოადგენს საერთაშორისო განხილვის
ან რეგულირების სხვა პროცედურის საგანს;
- 3) დასაბუთებულია;
- 4) წარმოადგენს გასაჩივრების უფლების ბო-
როტად გამოყენებას.

7. სასამართლო იხილავს მხოლოდ და მხოლოდ
სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმე-
დებათა ან გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგო საჩივ-
რებს. იგი არ იღებს ისეთ საჩივრებს, რომლებიც
მიმართულია კერძო პირების ან სახელმწიფო დაწე-
სებულების წინააღმდეგ.

სასამართლო უფლებამოსილია, განხილვის
ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის
საკუთარი საქმეების სიიდან ამოღების შესახებ, ე.ი.
ჩათვალოს იგი მიუღებლად:

- თუ საჩივარი არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ
წესებს;

- თუ განმცხადებელს აღარ სურს საჩივრის
შემდგომი განხილვა;

- თუ საკითხი უკვე გადაწყვეტილია;

- სხვა ნებისმიერი მიზეზით, თუ სასამართლო
მიზანშეუწონლად მიიჩნევს საჩივრის განხილვის
გაგრძელებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის მიღება
- არმიღების თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას
არ ექვემდებარება. თუმცა, განმცხადებელს შეუძლია
ახალი საჩივრის განსახილველად წარდგენა, თუ
საქმეში დამატებითი გარემოებები აღმოჩნდება. საქმის
განსახილველად მიღების შემთხვევაში, სასამართლო
იძიებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს
და უგზავნის მასალებს დაინტერესებულ მხარეებს
დავის მეგობრულად გადასაწყვეტად. თუ მხარე,
რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული სარჩელი,
დადგენილ ვადაში არ იღებს სათანადო ზომებს,
მაშინ უფლებათა აღდგენის საკითხს წყვეტს
მინისტრთა კომიტეტი ხმათა ორი-მესამედის
უმრავლესობით და აქვეყნებს გადაწყვეტილებას.
მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სავალ-
დებულოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებმაც მოახ-
დინეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის
რატიფიცირება.

განმცხადებელს, თუ მისი საჩივარი მიღებულია,
შეუძლია გამოთქვას სურვილი სასამართლოში მისი
საქმის განხილვის პროცედურაში მონაწილეობის
მიღებაზე. განმცხადებელი შეიძლება წარმოადგინოს
ადვოკატმა.

სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის
პროცესი არანაირ ხარჯებს არ მოითხოვს, რაკი
პროცედურა უფასოა და აუცილებელი არ არის
ადვოკატის მონაწილეობა. ამასთან, სასამართლოს,
გარკვეულ პირობებში შეუძლია გაუწიოს უფასო
იურიდიული დახმარება განმცხადებელს, რომელსაც
არ გააჩნია საკმაო ფინანსური საშუალებები. ამ
შემთხვევაში განმცხადებელმა დოკუმენტურად უნდა
დაადასტუროს საჭირო სახსრების უქონლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს
ოფიციალურ ენებად ითვლება ინგლისური და
ფრანგული, განმცხადებელს უფლება ეძლევა
მშობლიურ ენაზე შეადგინოს ინდივიდუალური
საჩივარი. ეს უკანასკნელი სასამართლოში უშუალოდ
განმცხადებლის მიერ იგზავნება. საჩივრის ადრესა-
ტისთვის გადაგზავნისას არ შეიძლება სახელმწიფო
დაწესებულებების შუამავლად გამოყენება. საჩივარი
იგზავნება შემდეგ მისამართზე:

European Court of Human Rights, Council of
Europe

F – 67075 Strasbourg Cedex France

Fax: 3-33-88-41-27-30



8 (1). გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაბამისი სექციის ხელმძღვანელი იღებს სხვა გადაწყვეტილებას, საჩივარი იწერება ბლანკზე, რომელიც განმცხადებელს სამდივნოს მიერ ეგზავნება.

საჩივარში მოცემული უნდა იყოს:

ა) განმცხადებლის ვინაობა, მისი დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, სქესი, საქმიანობა და მისამართი;

ბ) წარმომადგენლის (თუ ასეთი არსებობს) ვინაობა, მისი საქმიანობა და მისამართი;

გ) კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ან სახელმწიფოები, რომელთა ქმედებების წინააღმდეგაც არის მიმართული სარჩელი;

ამას გარდა საჩივარი უნდა შეიცავდეს:

დ) ფაქტების მოკლე გადმოცემას;

ე) კონვენციის სავარაუდო დარღვევებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოკლე გადმოცემას;

ვ) მოკლე მტკიცებას, რომ დაცულია საჩივრის განსახილველად მიღების პირობები (სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა და "ექვსი თვის წესი");

ზ) საჩივრის მიზანსა და ზოგად მითითებას კომპენსაციის გადახდის მოთხოვნაზე;

საჩივარს ასევე უნდა ერთვოდეს:

თ) საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის – კერძოდ კი – სასამართლოსა და სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებების ასლი.

(2). განმცხადებლები, ზემოაღნიშნულის გარდა, ვალდებული არიან:

ა) წარუდგინონ სასამართლოს ინფორმაცია, უპირველეს ყოვლისა კი, (1) პუნქტის "თ" ქვეპუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაცულია საჩივრის განსახილველად მიღების პირობები (სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა და "ექვსი თვის წესი"). (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები განმცხადებელს არ უბრუნდება, ამდენად, უმჯობესია ასლების გაგზავნა).

ბ) მიუთითონ, მიმართეს თუ არა საჩივრით საერთაშორისო განხილვისა და რეგულირების რომელიმე ორგანოს.

(3). პირველ და მეორე პუნქტებში მოცემულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს საჩივრის რეგისტრაციაზე და სასამართლოს მიერ მის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

(4). განმცხადებლებმა უნდა აცნობონ სასამართლოს მისამართის, ასევე ყველა იმ გარემოებათა ნებისმიერი შეცვლის თაობაზე, რომლებიც დაკავშირებული არიან საჩივართან.

საჩივრის მიღების შემდეგ ევროპის საბჭოს სამდივნო უგზავნის განმცხადებელს საჭირო ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი შემდგომში.

(სტატია მომზადებულია მე-11 პროტოკოლისა და ევროსასამართლოს რეგლამენტის მიხედვით)

მასალა თარგმნა და მოამზადა
სერგო მანანაშვილმა.

გადაწყვეტილება A-გაერთიანებული

საეფოს წინააღმდეგ

1998 წლის 23 ნოემბერი
რეზიუმე

პალატის მიერ გამოტანილი
ბადაყვირებულია.

გაერთიანებული საეფო – სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მამინაცვლის მიერ ბავშვის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის.

I. კონვენციის მე-3 მუხლი

ჯონის ძლიერი დარღვევებით ბავშვზე მიყენებულმა ტკივილებმა გადააჭარბეს მე-3 მუხლით დადგენილ სიძიმის ზღვარს.

სახელმწიფოებს ევალებათ მიიღონ ზომები მოქალაქეების დასაცავად სხვათა მიერ ცუდი მოპყრობისაგან. ბავშვებს უფლება აქვთ ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებებით დაცული იყვნენ ასეთი მოპყრობისაგან.

დაცვის მიერ წამოყენებული „კონკრული სასჯელის“ არგუმენტი ვერ მიიჩნევა გამამართლებელ მტკიცებულებად.

დასკვნა: დარღვევა დაფიქსირდა (ერთსულოვნად).

II. კონვენციის მე-8 მუხლი

მე-3 მუხლის დარღვევის დაფიქსირებიდან გამომდინარე, აღარ არის საჭირო მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრის განხილვა.

დასკვნა: განხილვა არ შედგა (ერთსულოვნად).

III. კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლი

საჩივარზე უარი ითქვა.

დასკვნა: განხილვა არ შედგა (ერთსულოვნად).

IV. კონვენციის 50-ე მუხლი

ა) მორალური ზიანი: თანხის ანაზღაურება;

ბ) სახსრები და ხარჯები: თანხის გადახდა თანასწორობის საწყისებზე.

დასკვნა: ბრალდებულმა სახელმწიფომ გადაუხადოს გარკვეული თანხა მომჩივანს (ერთსულოვნად).

პროცედურა

ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ საქმე გადაეცა სასამართლოს 1997 წლის 27 ოქტომბერს იმ საში თვის ვადაში, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის 32-ე და 47-ე მუხლში. მის წარმომობას საფუძვლად დაედო დიდი ბრიტანეთის მოქალაქის A-ს საჩივარი, რომელიც კომისიაში შეიტანეს 1994 წლის 15 ივლისს 25-ე მუხლის შესაბამისად. მომჩივანმა სთხოვა სასამართლოს, რათა არ გაემჟღავნებინა მისი ვინაობა. სასამართლო საქმის განხილვა ჩატარდა 1998 წლის 22 ივნისს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასახლეში.

I. საქმის ბარემოვებები

მოსაჩივრე, ბრიტანეთის მოქალაქე დაიბადა 1984 წელს. 1990 წლის მაისში ის და მისი ძმა შეიტანეს ადგილობრივ ბავშვთა დაცვის რეგისტრში, ვინაიდან ცნობილი გახდა მათ მიმართ ძალადობის ფაქტები. მათ დედასთან ერთად მცხოვრებმა პირმა, მას შემდეგ, რაც აღიარა, რომ A-ს ჯოხით სცემა, მიიღო გაფრთხილება პოლიციისაგან. ამ ორი ბიჭის სახელი სიიდან ამოიღეს 1991 წლის ნოემბერში. დედასთან ერთად მცხოვრებმა პირმა ცოლად შეირთო მოსაჩივრის დედა და ამგვარად გახდა მამინაცვალი.

1993 წლის თებერვალში სკოლის დირექტორმა, რომელიც სტუმრად ეწვეოდა ხოლმე A-ს, გააფრთხილა ადგილობრივი სოციალური სამსახურები, რომ მამინაცვალი ხშირად ჯოხით სცემდა (დაზარალებულს) მოსაჩივრეს. მამინაცვალი დააპატიმრეს 1993 წლის 5 თებერვალს და მეორე დღეს გაათავისუფლეს გირაოთი.

1993 წლის 5 თებერვალს მოსაჩივრე გასინჯა პედაგოგმა და მის სხეულზე, განსაკუთრებით ბარძაყების მიდამოებში დააფიქსირა მრავალრიცხოვანი სისხლნაჟღენთები, რომლებიც შეიძლება მიყენებული ყოფილიყო ხელჯოხის მრავალჯერადი და ძლიერი დარტყმით.

მამინაცვალი, პირის სხეულებრივი ხელშეუხებ-

ლობის ხელყოფის ბრალდებით, გაასამართლეს 1994 წლის თებერვალში. დაცვამ არ უარყო ის ფაქტი, რომ განსასჯელმა ბავშვი მრავალჯერ სცემა, მაგრამ მიიჩნია, რომ ეს იყო აუცილებელი და გონიერული ღონისძიება A-ს, როგორც ძნელად აღსაზრდელის, გამოსასწორებლად.

საქმის შეფასებისას მოსამართლემ ნაფიცი მსაჯულებს მისცა შემდეგი სამართლებრივი მითითება - „ბრალდებულს არ ევალება დაამტკიცოს, რომ ბავშვის დასჯა იყო გამართლებული, არამედ თვითონ ბრალდებას ევალება დაამტკიცოს, რომ ის იყო გაუმართლებელი“.

ნაფიცმა მსაჯულებმა ხმათა უმრავლესობით დაადგინეს, რომ მამინაცვალს მომჩივანის პიროვნების ხელშეუხებლობა არ დაურღვევია.

II. შმსაბამისი შიდასახელმწიფოებრივი

კანონმდებლობა

ა) სისხლის სამართლებრივი სანქციები ბავშვთა სხეულებრივი ხელშეუხებლობის დარღვევაზე.

მოსაჩივრის მამინაცვალი პასუხისმგებაში მიეცა სხეულის დაზიანების ბრალდებით 1861 წლის პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კანონის 47-ე თავის შესაბამისად. კანონი ერთმანეთისაგან განარჩევს მოქმედებას, რომელიც გამოიხატება სხვის მიმართ ძალადობრივ აქტში და შედეგს, რომელიც გამოიხატება ტკივილში ან სხეულებრივ ზიანში და რომლის მიზანია მისი ჯანმრთელობის შერყევა. არ არის აუცილებელი ეს ზიანი ან ჭრილობა იყოს მუდმივი, მაგრამ იგი ამავე დროს არ უნდა იყოს უმნიშვნელო და სწრაფად წარმავალი.

კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 5 წლამდე.

გარდა ამისა, ბავშვებისა და მოზარდების შესახებ (Children and Young Persons Act) 1933 წლის კანონით დანაშაულადაა გამოცხადებული ბავშვების ცემა ან სხვაგვარად ცუდი მოპყრობა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს უსარგებლო ტკივილები ან დაზიანოს ჯანმრთელობა. კანონი ითვალისწინებს სასჯელის მაქსიმუმს 10 წლამდე.

ბავშვების ცემასთან დაკავშირებულ საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი ბრალდებას აკისრებს მოვალეობას, რათა დაარწმუნოს ნაფიცი მსაჯულები იმაში, რომ ცემა არ არის ბავშვის ნებადართული დასჯა.

კანონი იცავს მშობლებსა და მათ მონაცვლე პირებს, რომლებიც ბავშვს სჯიან გონიერულობის ფარგლებში.

მასწავლებლების მიერ გამოყენებული სხეულებრივი სასჯელი უკანონოა, თუ იგი ატარებს არა ადამიანურ ან ღირსების დამამცირებელ ხასიათს. ამის შესაფასებლად გათვალისწინებული უნდა იყოს „ყველა გარემოება ერთობლიობაში, მათ



შორის, სასჯელის მოტივები, ხანგრძლივობა ავშის გადაცდომასა და დასჯას შორის, დასჯის კანონრციელების პირობები, მასში მონაწილე სუბიექტების თავისებურებები და მისი სულიერი თუ ფიზიკური ეფექტები“ (47-ე მუხლი).

ბ) სამოქალაქო სარჩელი
სხეულებრივი ხელშეუხებლობის უფლების დარღვევამ შეიძლება წარმოშვას სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სამოქალაქო პროცესი ცემის საქმეებზე, თუ სამოქალაქო სამართლის დარღვევის ელემენტები იგივეა, რაც შესაბამისი სისხლის სამართალდარღვევისა, ბრალდებულს აკისრებს მოვალეობას დაამტკიცოს, რომ სასჯელი იყო გონივრული.

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ

მოსაჩივრე თხოვს სასამართლოს დააფიქსიროს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. მე-3 მუხლი ამბობს: „არავის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული წამება ან არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი“.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ცუდი მოპყრობა უნდა გასცდეს სიმძიმის ზღურბლს, რათა მე-3 მუხლის მოქმედების არეში მოექცეს. ეს შეფასება ფარდობითია, იგი დამოკიდებულია საქმის მონაცემთა ერთობლიობაზე. გათვალისწინებული უნდა იყოს მოპყრობის ბუნება და კონტექსტი, მისი ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური თუ სულიერი ეფექტები ისევე, როგორც დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სასამართლომ გაიხსენა, რომ პედიატრმა, რომელმაც ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში გასინჯა მომჩივანი, დაადასტურა მის სხეულზე ჯოხის განმეორებული და მძლავრი დარტყმების კვალის არსებობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი მოპყრობა სცილდება მე-3 მუხლით დადგენილ სიმძიმის ზღვარს. დასადგენი რჩება – არის თუ არა სახელმწიფო პასუხისმგებელი, მე-3 მუხლის მიხედვით, მოსაჩივრის სხეულებრივი ხელშეუხებლობის ხელყოფაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის პირველი მუხლი, რომელიც სახელმწიფოებს ავალებს, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველა უზრუნველყონ კონვენციაში ჩამოთვლილი უფლებებით და თავისუფლებებით, მოითხოვს მათგან პოზიტიური ზომების მიღებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეებზე მე-3 მუხლში მითითებული მოპყრობის ფორმების გამოყენება ფიზიკური

პირების მიერ. ბავშვები განსაკუთრებით უნდა იყვნენ დაცულნი ამდაგვარი მოპყრობისაგან.

სასამართლომ გაიხსენა, რომ ინგლისურ სამართალში ბავშვის ცემის ბრალდებისგან თავის დასაცავად შეიძლება მოშველიებული იყოს დასჯის გონივრულობის არგუმენტი.

ბრალდებას ეკისრება ტვირთი ამტკიცოს, რომ მოპყრობის გამოყენებული ფორმა გასცდა ნებადართული სასჯელის ფარგლებს. მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მოსაჩივრის მიმართ გამოყენებული მოპყრობის ფორმა გასცდა მე-3 მუხლით დადგენილ ზღვარს, სასამართლომ გაათავისუფლა ქმედების ჩამდენი პირი – მამინაცვალი.

სასამართლოს მიხედვით კანონმა საკმარისად არ დაიცვა მოსაჩივრე მე-3 მუხლში მითითებული უფლების დარღვევისგან. ბრიტანეთის მთავრობამაც აღიარა, რომ მოცემული კანონი არ უზრუნველყოფდა ბავშვს დაცვით და საჭიროებდა მოდიფიცირებას.

სასამართლომ, არსებული გარემოებიდან გამომდინარე, დააფიქსირა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

ამ საფუძვლების გამო სასამართლო ერთსულოვნად

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;
2. ადგენს, რომ არ არის საჭირო მოსაჩივრის მოთხოვნის განხილვა კონვენციის მე-8; მე-13 და მე-14 მუხლებით;
3. ადგენს:

ა) მოპასუხე სახელმწიფომ გადაუხადოს მომჩივანს ზარალის ანაზღაურება 10 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით;

ბ) მოპასუხე სახელმწიფომ 3 თვის განმავლობაში გადაუხადოს მომჩივანს ლეგალური ხარჯებისა და გასავლების შესაბამისად, 20 000 გირვანქა სტერლინგი;

გ) ამ თანხებს დაემატოს წლიური შეიღნახევარი პროცენტი ზემოთ აღნიშნული ვადის გასვლიდან გადახდამდე.

ინგლისურად და ფრანგულად შედგენილი გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასახლეში 1998 წლის 23 სექტემბერს.

ხელს აწერს: რუდოლფ ბერნჰარდტი.
თავმჯდომარე.
ხელს აწერს: ჰერბერტ პეტცოლდი.
მდივანი.

ტექსტი თარგმნა
კახა წიქარიშვილმა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახალით

საქმე №06 “წ”, 16 სექტემბერი, 1999წ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მოსამართლე მ. ვაჩაძემ

მსაჯულების: დ. ბაინდურაშვილის და ს. გამრეკელის მონაწილეობით ბ.ინაშვილის მდივნობით

მოსარჩელის № 79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის რ. ჩხაიძის (წარმომადგენლის მ. ბოლქვაძის),

მოპასუხის – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (წარმომადგენლების: ე. გოგიაშვილის, ე. გულიაშვილის, მ. ახმეტელაშვილის და ი. გეგენავას) მონაწილეობით განიხილა მოსარჩელის - № 79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის რ. ჩხაიძის საჩივარი მოპასუხის – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 10 სექტემბრის № 73/1999 დადგენილების გაუქმების თაობაზე

სასამართლო ბამოარკვია:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 10 სექტემბრის № 73/1999 დადგენილებით გაუქმდა №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომის შედეგები (ოქმი №1, 25.08.1999წ), უფლებამოსილება ჩამოერთვა №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რ.ჩხაიძეს და თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალა ამავე კომისიის წევრს მ. დონდუას. საფუძვლად მითითებულ იქნა “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის ფაქტი, რომლის თანახმადაც “საოლქო საარჩევნო კომისია თავის და ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს შექმნიდან 5 დღის ვადაში აქვეყნებს შესაბამისი ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით”.

მოსარჩელემ, №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რ.ჩხაიძემ 1999

წლის 13 სექტემბერს საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 10 სექტემბრის №73/1999 დადგენილების გაუქმება.

მოსარჩელე თავის მოთხოვნებს შემდეგ გარემოებებზე ამყარებდა:

“საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისიაში შემავალი პირისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევა დაიშვება ამ პირის მიერ პარლამენტის არჩევნების კანონის უხეშად ან საარჩევნო კომისიის რეგლამენტის სისტემატურად დარღვევისათვის, რასაც რ.ჩხაიძის აზრით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მის მიერ ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა არაგანზრახი, ობიექტური მიზეზებით გამოწვეული შეუსრულებლობა არ შეიძლება



ჩათვალოს კანონის უხეშ დარღვევად.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 19 აგვისტოს №40/1999 დადგენილებით №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა რ.ჩხაიძე და კომისიის კიდევ 6 წევრი. საოლქო საარჩევნო კომისიის დანარჩენი 7 წევრი “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის “დ” ქვეპუნქტის თანახმად, დანიშნული იქნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) მიერ. სასამართლო პროცესზე მოსარჩელემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნულის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მას ეცნობა 1999 წლის 20 აგვისტოს, 21 აგვისტოს, მის მიერ შენობაზე გაკეთდა აბრა წარწერით - “79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია”, ხოლო 22 აგვისტოს, ოფიციალური წერილით მიმართვა გაეგზავნა გაზეთ “აჭარის რედაქციას”, რომ პარლამენტის არჩევნების კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გამოექვეყნებინათ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მისამართი, რაც რედაქციამ უსახსრობის გამო არ შეასრულა. გადასარიცხი თანხა კი საოლქო საარჩევნო კომისიას არ გააჩნდა. უფრო მეტიც, ამავე კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია თვითონ იყო ვალდებული, დაედგინა მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებათა ნუსხა, რომლებიც უფასოდ აქვეყნებენ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მასალებს, რაც ამ დროისათვის არ იყო შესრულებული. ასე რომ, ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, რ.ჩხაიძის აზრით, მოხდა მისგან დამოუკიდებელი, ობიექტური მიზეზების გამო, მისი ბრალის გარეშე.

მოსარჩელე, ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ კანონის ამ მუხლზე მითითებით №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომის შედეგების გაუქმებას და განმარტავს, რომ საოლქო საარჩევნო კომისია, ფაქტობრივად, ქეორუმის გათვალისწინებით, შეიქმნა 1999 წლის 23 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული კომისიის წევრები საარჩევნო კომისიის წევრებად ითვლებიან დანიშნვის დღიდან, ხოლო პარტიების მიერ დანიშნული წევრების უფლებამოსილება

იწყება საოლქო საარჩევნო კომისიაში გამოცხადების დღიდან. ამდენად, კომისიის წევრები თვითონ უნდა გამოცხადებულიყვნენ საოლქო საარჩევნო კომისიაში. კანონის არცერთი ნორმა არ ავალდებულებს კომისიის თავმჯდომარეს პერსონალურად მოიწვიოს კომისიის წევრები, მით უმეტეს, რომ მათი მისამართები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რ.ჩხაიძისათვის არ უცნობებია, გადასცა მხოლოდ სახელობითი სია.

მოსარჩელე თავის საჩივარში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ №79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომა მომზადდა და მიმდინარეობდა “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დაცვით, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჯერ არ ჰქონდა მიღებული. ამასთან, მართალია, ამ კრებაზე პერსონალურად მოწვეული არ ყოფილა კომისიის არცერთი წევრი, მაგრამ ოფიციალური განცხადება სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ გაკეთდა შენობის როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე. ამდენად, რ.ჩხაიძის აზრით, კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესრულება ან არ შესრულება არ ზღუდავს კომისიის სხდომის მოწვევას, მითუმეტეს, ეს მუხლი გათვალისწინებულია არა კომისიის წევრებისათვის, არამედ, ზოგადად, საჯაროობისათვის, რასაც საოლქო საარჩევნო კომისია თანმიმდევრულად ასრულებდა, აქვეყნებდა რა ყველა მასალას, როგორც პრესის, ისე ტელევიზიის მეშვეობით (გაზეთი “აჭარა”, 4 სექტემბერი; გაზეთი “ბათუმი”, 6 სექტემბერი), რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობასა და მისამართს, იგი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” 1999 წლის 26 აგვისტოს, მაგრამ კომისიის წევრები №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში მ/წლის 30 აგვისტომდე მაინც არ გამოცხადებულან.

და ბოლოს, მოსარჩელის განმარტებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1999 წლის 10 სექტემბრის სხდომა ჩაატარა პარლამენტის არჩევნების კანონისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა უხეშ დარღვევით. ამასთან, ისე განიხილა №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხი, რომ იგი სხდომის დღის წესრიგშიც არ ყოფილა შეტანილი.

მოპასუხის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი ე.გოგიაშვილი არ იზიარებს სარჩელს და მიუთითებს:

1999 წლის 26 აგვისტოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულმა №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა: ნ.დეკანაძემ, მ.კობლატაძემ, ნ. მიქელაძემ და გ. რატიანმა განცხადებით მიმართეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მოითხოვეს №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომის შედეგების გაუქმება. განცხადებაში ნათქვამია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ არ გამოაქვეყნა თავისი მისამართი, ტელეფონის ნომერი, რითაც მათ შეეზღუდათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ კომისიის სხდომის მუშაობაში, რადგან არ იცოდნენ კომისიის ადგილსამყოფელი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გ.ხესაშვილის ბრძანებით (№53, 04.09.1999წ.) ქ.ბათუმში მივლინებულ იქნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ს.ჭუმბურიძე და საორგანიზაციო განყოფილების თანამშრომელი ს.დოროყაშვილი, რომელთაც 1999 წლის 10 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე წარმომადგენელს ინფორმაცია №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ.

მოპასუხის წარმომადგენელი ე.გოგიაშვილი განმარტავს, რომ “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა ავალდებულებს კომისიას, რომელსაც ურთიერთობებში წარმომადგენს თავმჯდომარე, გამოაქვეყნოს თავისი შემადგენლობა, მისამართი და ტელეფონის ნომრები, რადგან კომისიის წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მივიდნენ კომისიაში და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. იმის გამო, რომ საოლქო საარჩევნო კომისიას არ ჰყავს აპარატი, კომისიის წევრების სხდომაზე დასასწრებად გაფრთხილება კომისიის თავმჯდომარის პირდაპირი მოვალეობაა. კომისიის წევრის გაუფრთხილებლობა არა მარტო კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაა, არამედ იგი კომისიის წევრის უფლების უხეშ დარღვევაა. ამდენად, მოპასუხის წარმომადგენლის აზრით, კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის წევრების გაუფრთხილებლობა პარლამენტის არჩევნების კანონის უხეშ დარღვევად უნდა იქნეს განხილული, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს იქნეს მხოლოდ განზრახ.

ე. გოგიაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გაზეთი “აჭარა” დაფინანსებას ნაწილობრივ ბიუჯეტიდან იღებს და ვალდებულია, გამოაქვეყნოს

საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაცია. ამასთან, სიტყვა “გამოქვეყნება” არ გულისხმობს მხოლოდ პრესაში დაბეჭდვას, იგი უფრო ფართო ცნებაა და გულისხმობს მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებსაც, რაც №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არ გამოიყენა.

მოპასუხის წარმომადგენელი თვლის, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული მოსარჩელის განმარტება, რომ კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი გათვალისწინებულია ზოგადი საჯაროობისათვის. “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლი ადგენს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საჯაროობის ზოგად პრინციპებს. რ.ჩხაიძის მიერ კი დაირღვა არა მარტო კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი, არამედ ამავე კანონის 48-ე მუხლის მოთხოვნებიც - “არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საჯაროობის პრინციპები”, რაც პარლამენტის არჩევნების კანონის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 10 სექტემბრის სხდომას, მოპასუხის წარმომადგენლის ე.გოგიაშვილის აზრით, იგი ჩატარდა პარლამენტის არჩევნების კანონისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის სრული დაცვით. მართალია, საკითხი №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ დღის წესრიგში არ ყოფილა შეტანილი, მაგრამ აღნიშნული საკითხი სხდომაზე განსახილველად დაისვა №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომის შედეგების გაუქმების შემდეგ, კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. უფლებამოსილების ჩამორთმევას მხარი დაუჭირა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ, 12 პირმა.

სასამართლო გაეცნო მოსარჩელისა და მოპასუხის ახსნა-განმარტებებს, მოისმინა მოწმეთა ჩვენებები, შეისწავლა და გამოიკვლია საქმის მასალები და მტკიცებულებები და დადგინდა ცნო შემდეგი:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 19 აგვისტოს №40/1999 დადგენილებით №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა რ.ჩხაიძე და კომისიის 6 წევრი. დანარჩენი 7 წევრი დანიშნულ იქნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) მიერ.



№79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას, რომელიც ჩატარდა 1999 წლის 25 აგვისტოს, არ ესწრებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული 4 წევრი: ნ.დევანაძე, მ.კობლატაძე, ნ.მიქელაძე და გ. რატიანი, რომელთაც ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან მოითხოვეს აღნიშნული სხდომის შედეგების გაუქმება. საფუძვლად მითითებულ იქნა №79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის ფაქტი, რითაც შეილახა მათი უფლებები.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რ.ჩხაიძემ წინასწარი განზრახვით, უხეშად დაარღვია კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, კანგებ არ გამოიძახა კომისიის ზემოთ დასახელებული წევრები და შეგნებულად შექმნა მისთვის ასურველი ქცორუმი. ჯერ ერთი, ფაქტი იმის შესახებ, რომ რ.ჩხაიძემ 1999 წლის 22 აგვისტოს ოფიციალური წერილით მიმართა გაზეთ "აჭარის" რედაქციას და აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მოითხოვა გამოექვეყნებინათ №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და ხისამართი, არც ერთი მხარის დავას არ იწვევს და სასამართლო პროცესზე დადასტურებულად იქნა კნობილი; მეორე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამ დროისათვის კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დადგენილი და გამოქვეყნებული არ ჰქონდა არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ ხასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებათა ნუსხა, რომლებიც უფასოდ აქვეყნებენ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მასალებს; მესამე, პარლამენტის არჩევნების კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული წევრები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად ითვლებიან დანიშვნის დღიდან, რაც მათ ავალდებულებს, დროულად გამოცხადნენ კომისიაში; და მეოთხე, ამ წევრების მიერ მოყვანილი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ არ იცოდნენ კომისიის ადგილსამყოფელი, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ეს მონაცემი ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 17 აგვისტოს, კომისია კი დაკომპლექტდა 19 აგვისტოს. ამასთან, 26 აგვისტოს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებული №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართისა და

შემადგენლობის მიუხედავად, აღნიშნული წევრები კომისიაში 1999 წლის 30 აგვისტომდე მაინც არ გამოცხადებულან.

სასამართლო, ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოპასუხის წარმომადგენელ ე. გოგიაშვილის მტკიცებას, რომ მოსარჩელე რ.ჩხაიძემ დაარღვია ორგანული კანონის 48-ე მუხლის მოთხოვნები - "არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საჯაროობის პრინციპები". სასამართლო პროცესზე მოსარჩელემ წარმოადგინა საინფორმაციო საშუალებათა ის გამოცემები, რომლებშიც გამოქვეყნებულია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული მასალები და ინფორმაციები.

სასამართლო ვერ დაეთანხმება მოსარჩელის განცხადებას, რომ ორგანული კანონი არ ავალდებულებს კომისიის თავმჯდომარეს, გააფრთხილოს და მოიწვიოს კომისიის წევრები სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ასევე, ვერ გაიზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებას, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია არ არის ვალდებული, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გადასცეს ამ კომისიაში დანიშნული წევრების სრული მონაცემები. მართალია, პარლამენტის არჩევნების კანონში ერთმნიშვნელოვნად არ არის აღნიშნული ამ მოთხოვნათა შესახებ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ კანონის მე-17 და მე-19 მუხლების შესაბამისად, საარჩევნო კომისიები კოორდინაციას უწევენ არჩევნების მომზადებას და უზრუნველყოფენ არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებას, ნიშნავს იმას, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დროულად უნდა გადაეცეს მის კომისიაში შემაგალი ყველა წევრის სრული მონაცემები, მათ შორის - მისამართი, რათა მან უზრუნველყოს კომისიის სხდომების სათანადოდ მომზადება და წევრების წერილობითი გაფრთხილება.

სასამართლო დადგენილად თვლის, რომ №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომა ჩატარდა საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის გარეშე, რომელიც სწორედ იმ დღეს დაამტკიცა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ხოლო №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას ფაქსით გადაეცა 27 აგვისტოს. რ.ჩხაიძის განმარტებას, რომ რეგლამენტის გარეშე სხდომის ჩატარება გამოწვეული იყო ცსკ-ში მათი კურატორ დ. დავითაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, სასწრაფოდ მოწვეულიყო კომისიის პირველი სხდომა, სასამართლო გამამართლებლად ვერ მიიჩნევს, რადგან სხდომის მიმდინარეობისას დაირღვა საოლქო საარჩევნო

კომისიის რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა მოხდა კომისიის ერთი წევრის გ.ვარშალომიძის წარდგინებით, მაშინ, როცა რეგლამენტის თანახმად, მოადგილე შეიძლება წარდგინოს თავმჯდომარემ ან კომისიის არანაკლებ 6 წევრმა ერთად.

სასამართლო პროცესზე მოწმეთა ჩვენებებით და მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარედგინა 1999 წლის 10 სექტემბერს, 8 სექტემბრის სხდომის მე-3 დღეს, დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის გზით, დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით, ისე, რომ აღნიშნულის შესახებ კომისიის წევრებმა არაფერი იცოდნენ.

ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომის შედეგების გაუქმებისა და კომისიის თავმჯდომარისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ საკითხის ასეთი ფორმულირება დღის წესრიგში საერთოდ არ ყოფილა შეტანილი.

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს და ცენტრალური საარჩევნო კომისიის

1999 წლის 10 სექტემბრის სხდომები ჩატარდა საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტების დარღვევით. იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 247-ე და 249-ე მუხლებით, სასამართლომ

გადაწყვეტა :

სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

გაუქმდეს საქართველოს ცენტრალური კომისიის 1999 წლის 10 სექტემბრის №73/1999 დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტები და აღუდგეს უფლებამოსილება №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რ.ჩხაიძეს.

2. ძალაში დარჩეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 10 სექტემბრის №73/1999 დადგენილების პირველი პუნქტი და გაუქმდეს №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 25 აგვისტოს სხდომის შედეგები (ოქმი №1, 26.08.99წ.);

3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს მხარეებს შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდეს 6 ლარი;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე: მ. ვაჩაძე

მსაჯულები: დ. ბაინდურაშვილი, ს. გამრეკელი

კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა შ ი კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის

მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება

შხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო

ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით

ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე

ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს მაინც“.

საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შვეარდნაძე.

თბილისი,

1999 წლის 20 ივლისი.

№2221-რს

საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის
მე-10 პუნქტს სიტყვის „პირობები“ შემდეგ დაემატოს
სიტყვები „აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად
მონაწილეობის დაუშვებლობა“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შვეარდნაძე.

თბილისი,

1999 წლის 20 ივლისი.

№2224-რს

საქართველოს ადმინისტრაციული საკოდექსი

კოდექსი

თავი I. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

მუხლი 2. სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

1. ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

2. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;

ბ) ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებით.

2. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 4. შეჯიბრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ

ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

თავი II. განსჯაობა


მუხლი 5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა.

მუხლი 6. საოლქო სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელს:

ა) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია-



ციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე;

ბ) საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, აგრეთვე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე;

გ) ქალაქების-თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის და ფოთის საკრებულოებისა და მერიების (მერების) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე;

დ) კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის გაცემის, ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის ან ჩამორთმევის თაობაზე.

თავი III. მიუპრობლემა. აცხადება

მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა

მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამავე საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

მუხლი 8. აცილების შესახებ განცხადება და მისი განხილვა

1. განცხადება აცილების შესახებ აჩერებს სასამართლოში საქმის განხილვას აცილების საკითხის გადაწყვეტამდე.

2. მოსამართლე, რომელსაც განუცხადეს აცილება, უფლებამოსილია დათანხმდეს ამას.

3. აცილების შესახებ განცხადებას განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი და საოლქო სასამართლოების ის კოლეგია, რომელშიც ეს მოსამართლე არ შედის.

4. აცილების განხილვის დროს მოსმენილ უნდა იქნენ აცილების განმცხადებელი მხარე და მოსამართლე, რომლის მიმართაც წარადგინეს აცილება. მხარის მოთხოვნით სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ მოსამართლე და მხარე მოსმენილ იქნენ ერთმანეთის დაუსწრებლად.

5. მხარის მოთხოვნით სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოსმენა შეცვალოს დასაბუთებული

წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენით.

6. სასამართლოს ორი დღის ვადაში გამოაქვს გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მხარეებს.

თავი IV. პროცესის ხარჯები

მუხლი 9. სახელმწიფო ბაჟი

1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე.

2. ღირსების ფასს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულის გარდა, განსაზღვრავს სასამართლო.

3. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

4. ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას.

მუხლი 10. პროცესის ხარჯების ანაზღაურება

1. ფიზიკური პირი ვალდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაიხადოს პროცესის ხარჯები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა ან თუ მისთვის ცნობილი იყო გარემოებანი, რომლებიც ამკარად მიუთითებდნენ მისი სარჩელის უსაფუძვლობაზე.

2. თუ ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

3. თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

მუხლი 11. საპროცესო ხარჯების განაწილება საქმის მორიგებით დამთავრებისას

1. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

2. სასამართლოსგარეშე ხარჯებს თითოეული მათგანი ანაზღაურებს დამოუკიდებლად.

თავი V. საპროცესო ვადები.

სასამართლო შეტყობინება და დაბარება

მუხლი 12. გასაჩივრების ვადის ათვლა

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება მისი სრულად გამოცხადების მომენტიდან.

2. გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს წერილობითი ფორმით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი.

3. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 13. მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემა

1. სასამართლოს მიერ მხარეთათვის ან საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის გაგზავნილ ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე უნდა აღინიშნოს გაგზავნის თარიღი.

2. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, დადგენილების ასლი უნდა გადაეცეს მხარეს.

3. პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, სასამართლოს მოთხოვნით ვალდებულია დანიშნოს სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დოკუმენტების მიღებაზე.

4. თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი მხარესაც უნდა გაეგზავნოს.

5. თუ სასამართლოს მიერ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ეგზავნება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ეცნობება, რომ მას აქვს მისი სასამართლოს კანცელარიაში გაცნობის უფლება.

6. მხარეს უფლება აქვს მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში.

თავი VI. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში

მუხლი 14. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეობა

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების

გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობის ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

2. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე კერძო პირის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებსზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.

მუხლი 15. ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით

1. თუ მხარე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოა, სასამართლოში მას წარმომადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად, დადგენილი წესით, დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს.

მუხლი 16. მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში

1. სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. ეს წესი არ გამოიყენება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს.

2. მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 50 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩაბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ.

3. სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ უნდა გაეგზავნოს მხარეებს და მესამე პირებს.

4. სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.



5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

თავი VII. სასამართლო მტკიცებულება

მუხლი 17. მტკიცების ტვირთი

1. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

მუხლი 18. მოწმე და ექსპერტი

1. სასამართლო ვალდებულია მოწმის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე სამი დღით ადრე მაინც აცნობოს მხარეს მოწმის ვინაობა, მის მიერ ჩვენების მიცემის დრო და ადგილი, აგრეთვე ფაქტები, რომლებთან დაკავშირებითაც მოწმემ ჩვენება უნდა მისცეს სასამართლოს.

2. გადაწყვეტილება ექსპერტის დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს. თუ სასამართლოს მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი, მხარე უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი მოსაზრება ექსპერტიზის საგნისა და მოცულობის შესახებ.

3. ექსპერტის დასკვნა უნდა გაეზავნოს მხარეებს, რომლებსაც უფლება აქვთ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი.

მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

2. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

მუხლი 20. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს ვალდებულება წარადგინოს ინფორმაცია სასამართლოში

1. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ვალდებულია სასა-

მართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია უარი განაცხადოს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის წარდგენაზე, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან კერძო პირის კანონიერ ინტერესს.

3. მხარის მოთხოვნით სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე. ინფორმაციის წარდგენაზე უარის სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობის შემთხვევაში სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია.

მუხლი 21. სასამართლო აქტების გაცნობის უფლება

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ სასამართლოს კანცელარიაში გაეცნონ საქმის თაობაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, აგრეთვე სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებს.

2. მხარე უფლებამოსილია მიიღოს სასამართლო აქტებისა და ადმინისტრაციული საქმის სხვა მასალის ასლები სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით. დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს მხარე. ასლის გადაღებისათვის სხვა რაიმე გადასახდელის მოთხოვნა არ შეიძლება.

3. მხარეებს გასაცნობად არ წარედგინებათ სასამართლო აქტების პროექტები, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი მასალები.

თავი VIII. ადმინისტრაციული საამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარ-

ჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

3. სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ექვსი თვის ვადაში.

მუხლი 23. სარჩელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

მუხლი 24. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი ქმედების განხორციელების ან ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

მუხლი 25. აღიარებითი სარჩელი

1. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

2. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

მუხლი 26. სარჩელის წარდგენა უფლებამოსილ სასამართლოში

1. სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

2. არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

3. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს ზემდგომი სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

მუხლი 27. გამარტივებული სამართალწარმოება

სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

მუხლი 28. დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება

1. სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

2. დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია:

ა) შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა;

ბ) მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის;

გ) არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;

დ) შეუშუალოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

მუხლი 29. გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება

1. სარჩელის წარდგენა სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას.

2. ადმინისტრაციული აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელის გადახდასთან;


ბ) იგი წარმოადგენს პოლიციის ორგანოს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც გამოცემულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ეს გათვალისწინებულია კანონით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ



შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული აქტის შეჩერების მოთხოვნით. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში.

მუხლი 30. განჩინება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

1. მხარის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ადმინისტრაციული აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

2. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც.

3. მხარის შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში.

4. სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ერთი დღის განმავლობაში უნდა გაეგზავნოს მხარეებს.

5. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ადმინისტრაციული აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

6. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, სასამართლოს განჩინება ძალას კარგავს:

ა) მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას;

ბ) მოსარჩელის მიერ სარჩელზე ან ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის მომენტიდან;

გ) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული აქტის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლის მომენტიდან.

7. თუ შეჩერებული ადმინისტრაციული აქტი აღსრულებულია, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

8. ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

მუხლი 31. დროებითი განჩინება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან მოქმედების განხორციელების შესახებ

1. ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებულ სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლო

უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით გამოიტანოს განჩინება დროებითი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ.

2. მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც.

3. მხარის შუამდგომლობას განიხილავს სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სარჩელი ამ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 32. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციული აქტი კანონსაწინააღმდეგოა, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

2. თუ ადმინისტრაციული აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ.

3. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ადმინისტრაციული აქტი.

4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

5. სასამართლოს გადაწყვეტილებას ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ აქვს სავალდებულო ძალა. თუ ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთოებას ან გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას,

სასამართლო უფლებამოსილია ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი ბათილად ცნობის ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად.

ნ. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი.

მუხლი 33. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონსაწინააღმდეგოა ან დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

2. სასამართლო უფლებამოსილია თვითონ გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, თუ მისი გამოცემა არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

თავი IX. აპელაცია და კასაცია

მუხლი 34. სააპელაციო და საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

სააპელაციო და საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დასაშვებია მიუხედავად სარჩელის ფასისა. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

თავი X. დასკვნითი დებულება

მუხლი 35. კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1999 წლის 23 ივლისი.

№2352-რს

ხ ს ო კ ნ ა

სერგო ჯორბენაძე – იურიდიული აზროვნების მუშავე



ორი წელიც კი არ გასულა იმ დღიდან, რაც ჩვენს გვერდით აღარაა ამ საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი იურისტი, პროფესორი **სერგო ჯორბენაძე**.

სერგო ჯორბენაძე 1926 წელს დაიბადა და მთელი თავისი ცხოვრება ქართული იურისპრუდენციის განვითარების სამსახურს შეაღია. ის სამართლიანად ითვლება, როგორც ქართული ცივილიზაციის მამამთავრად, ისე იურიდიული მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორად. იგი მრავალი ათეული წელი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრას და უძღვებოდა მეცნიერების ორგანიზაციის საქმეს მთელს უნივერსიტეტში. შეიძლება ითქვას, რომ მისი ნამოღვაწარი უკვე ამ სახელოვანი უნივერსიტეტის ისტორიის ღირსეულ ნაწილად იქცა.

განსაკუთრებით დიდია პროფესორ სერგო ჯორბენაძის დამსახურება კერძო სამართლის ჩამოყალიბება-განვითარებაში. უნიკალური ნაშრომები დაგვიტოვა მან საკუთრების, ვალდებულებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების შესახებ. ამ შემოქმედების გვირგვინია ქართული სამოქალაქო კოდექსი, რომლის შექმნასაც მან მოახმარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. სამოქალაქო კოდექსმა კი ქართული სამართალი კვლავ დააბრუნა კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სივრცეში. დასანანია, რომ იგი ვედარ მოესწრო თავისივე ქმნილების ცხოვრებაში განხორციელებას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სერგო

ჯორბენაძის ნამოღვაწარი ქართული სამართლის ისტორიისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის კვლევის საქმეში. მართო უმინსკისადმი მიძღვნილი ნაშრომიც საკმარისი იქნებოდა ამ დარგში მისი აღიარებისათვის. განა რუსი პროფესორები არ მიმართავენ ბატონ სერგო ჯორბენაძეს: “თქვენ თვალი აგვიხილეთ და ჩვენ გავიგეთ კიდეც ერთი იურისტის შესახებ.”

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის კვლევა პროფესორ სერგო ჯორბენაძის შემოქმედების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. აქ შექმნილმა პირველხარისხოვანმა მონოგრაფიებმა მას საყოველთაო აღიარება და ავტორიტეტი მოუპოვა ქართველ ისტორიკოსებში, რაც სახელმწიფო პრემიითაც აღინიშნა.

დიდია პროფესორ სერგო ჯორბენაძის წვლილი იურისტთა კადრების აღზრდის საქმეში. იგი იყო ბრწყინვალე, სტუდენტებისადმი საყვარელი მოძღვარი. მისი ლექციები გამოირჩეოდა ორიგინალობით და ისე ჟღერდა, როგორც კარგი პოეზია. პროფესორ სერგო ჯორბენაძის ყოველდღიური საზრუნავი იყო ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდა. მისი ხელმძღვანელობით 30-მდე ადამიანმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

უკვალოდ არ ჩაუვლია ამ უდიდესი ადამიანის ნამოღვაწარს. მისი საქმენი ლამპარით უნათებს გზას სამართლის რეფორმას, რომლის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედიც თვითონ იყო. რაც მეტი დრო გავა, მით უფრო ახლობელი გახდება ყველასათვის

საყვარელი სერგო ჯორბენაძე, რომელიც უნგაროდ ემსახურებოდა თავის ქვეყანას და ამასვე მოუწოდებდა სხვებს.

მიმდინარე წლის ექვს სექტემბერს ბატონი სერგო ჯორბენაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად გაიხსნა მემორიალური დაფა. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ესწრებოდნენ მისი თანამოაზრეები, მეგობრები, უცხოელი კოლეგები და ოჯახის წევრები.

შეხვედრა გახსნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ლადო ჭანტურია**მ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გაახსენა ბატონი სერგო ჯორბენაძის მიერ განვლილი დიდი ცხოვრებისეული გზა, ის ღვაწლი, რომელიც მან დასდო იურისპრუდენციის განვითარებას.

შეკრებილთა წინაშე თავისი მოგონებებით წარსდგნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ბატონი **ჯონი ხეცურიანი**, ამგდარი მეცნიერები, პროფესორები გივი **ინჭკირველი**, **მარიკა ლორთქიფანიძე**, **ოთარ ჯაფარიძე**, ივანე ჯავახიშვილის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ბატონი **რომან შენგელია**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი **ბესარიონ ზოიძე**, ასევე უცხოელი სტუმრები, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ბატონი **როლფ კნიპერი** და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი **ვლადიმერ ნაზარიანი**.

პროფესორმა რომან შენგელიამ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ ბატონი სერგო ჯორბენაძის ხსოვნის უკვდავყოფის კიდევ ერთი დადასტურებაა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ბატონ სერგო ჯორბენაძის სახელობის სტიპენდიის დაწესება, რომელიც დაენიშნებათ სწავლაში წარჩინებულ სტუდენტებს.



RESUME

1. Judicial practice and science facing new tasks

Interview with the Dean of the law Faculty of Tbilisi State University, Roman Shengelia. Attention is drawn to the situation of legal education in Georgia. Actuality of the issue was raised by still an obsolete and non-effective legal educational system. Analysis of the existing situation and future perspective in the field of legal education.

2. Eva Gotsiridze – Member of the Council of Justice of Georgia, candidate of legal sciences

In the article “From recognizing the values till their real inheritance” we review the direction of judicial reform which belongs to the sphere of judicial ethics and discipline. In this respect we review such documents as conception on mission, values and views of the law; Code on Judicial Ethics and a Draft Law on Disciplinary Responsibility and Disciplinary Procedure for Judges of Georgian Courts. The problems reviewed concern fundamental issues of judicial reform which is now under way in Georgia, and which determines general orientations and directions of the reform.

3. Iuri Gabisonia – Judge in Tbilisi District Court, candidate of legal sciences – “Some aspects of institutional-competence and organizational improvement of the Investigation Board. (Theory, legislation and practice)

Article is dedicated to measures improving activity of a newly established Investigation Board in the Georgian Court System. Attention is stressed on the conceptual grounds of judicial control during investigation and operational-search activities. It is the first time research of the mentioned issues in Georgia.

4. Mariam Tsatsanashvili – Deputy Minister of Justice, candidate of legal sciences. “Market and non-market informational relations legal regulation system”

Actuality of the article is specialized by computer techniques and the necessity of private legal regulation of informational relations due to development of telecommunication systems. From the authors viewpoint, information gained a market character, because in contemporary conditions the request for realization of all types of information originated. As far as this problem is not known for Georgian legal literature and informational market relations occupy a significant place in public relations, it causes list of problems for the state as well as for police agencies due to imperfection of the legal base. The author suggests several interesting proposals to improve the above-mentioned impediment.

5. Eka Zarnadze – post graduate at the State and Law Institute of the Academy of Sciences of Georgia

“Legal nature of securities “

The securities are considered in the article not only as an object of a law of thing, but also as a document represented property rights. According to authors opinion relations expressed in security cannot be considered as a single-party transaction. It represents an agreement and the unique legal nature of securities can be explained by an agreement theory.

6. Nana Chigladze – Head-Teacher at the Faculty of Fundamental Principals of State and Law at the Tbilisi State University, Assistance to the Dean.

“Issues connected to capacity and normative character of the parliamentary reglament”

The author provides a scientific confirmation of the importance, legal form and capacity of one of the main documents regulating parliamentary life – the parliamentary reglament. A very actual and correct question is asked in the article: must the reglament contain only procedural part of parliamentary law or material norms also? Evaluating the views of different scientists the author develops her point of view and declares: the Parliamentary reglament must be the only normative act which shall comprise all material and procedural norms

connected to the parliamentary activity. The article aims at further improvement of the parliamentary reglament.

7. Temur Murgulia – Deputy Minister of Interior of Georgia
Malkhaz Badzagua – Deputy Head of the Department of Work with Personal Staff at the Ministry of Interior of Georgia, candidate of legal sciences.

“Struggle against kidnapping for extortion is an important direction of the Ministry of Interior **Agencies** activities”

The article is dedicated to struggle against one of the gravest crimes - kidnapping, to improvement of procedural norms in this respect, role of the operational-search agencies and enlargement of their competence in the mentioned field. Besides the scientific provisions the article introduces interesting statistical data concerning kidnapping.

8. Avtandil Tevzadze – post graduate at the Tbilisi State University

“The notion of reason for starting criminal case”

On the basis of critical analysis of views of different scientists the author develops the notion of reason for starting criminal case. The article highlights noveties, envisaged by the new criminal procedure legislation.

9. Darejan Lekiasvili – Head of Service for Struggle Against Terrorism of the Ministry of State Security of Georgia.

“Law and operational-search activity”

The article reviews the newly adopted law “On Operational-search Activity”. Both – the advantages and the disadvantages of the new law are underlined. Especially it refers to terms of operational-search action. The propositions for its improvement are presented.

10. George Janashia – Prosecutor of State Accuser Supporting Management Office of the General Prosecutors Office of Georgia.

“Question of actuality of violent crime research”

Actuality of the issue comes from the circumstance, that, unfortunately, violence in the form of crime gained the character of mass process and became an international problem. Main and fostering reasons of violent crime are set forth as well as effective mechanisms for struggle with this phenomenon.

11. Gudrat Pashaev – Member of Azerbaijan Supreme Court Military Board, candidate of legal sciences
“Methodic of inquiry of recidivism started with negligent crime”

The aims of this inquiry is to reveal the law of nature of crimes, committed by persons for the first time or committed by negligence. Its objective is also to open up the possibility of different crimes amongst those persons, who committed their first crime due to factor of negligence.

12. Temur Murgulia – Deputy Minister of Interior

The research concerns the establishment of reasons, which were accumulating through many years and in convenient moment caused the law of nature for development of group crimes as the highest form of organized crime. Methods and means for struggle against it are set forth.

13. George Nadareishvili – Deputy Director of the State and Law Institute of the Academy of Sciences of Georgia, doctor of Legal sciences:

“Erudite from the Georgian Law History”

The author researches rules of case consideration in court and the evidences on the grounds of which the decisions were rendered. The article introduces the unknown terminology of the old Georgian Law History and their explanations.

ქითხველთა საყურადღებოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნაბეჭდ 15 გვერდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპიუტერის დისკეტზე ჩაწერილი სახით.

ჟურნალი რეგისტრირებულია თბილისის
მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერია _ 4/9-52

გადაეცა წარმოებას 23.09.99 წ., ხელმოწერილია
დასაბეჭდად 22.09.99 წ., ფორმატი 60X84, ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 6,25. ტირაჟი 1000.
ფასი ხელშეკრულებით.

გ ა მ ო ი წ ე რ ე თ

ჟურნალი "ს ა მ ა რ თ ა ლ ი"

ხელმოწერის ბარათი

ჟურნალი "ს ა მ ა რ თ ა ლ ი"

მსურს გამოვიწერო

გვარი, სახელი

- | | | |
|--------------|--------------------------|---------------------------|
| 1. სამი თვე | <input type="checkbox"/> | 12 ლარი |
| 2. ექვსი თვე | <input type="checkbox"/> | 24 ლარი |
| 3. ერთი წელი | <input type="checkbox"/> | 39 ლარი
და
60 თეთრი |

ორგანიზაციის/ფირმის
დასახელება

სრული საფოსტო მისამართი/ან
მისამართი, სადაც სურს აბონენტს
ჟურნალის მიღება

აბონენტის ხელმოწერა

ტელეფონი/ვაქსი

თარიღი

შენიშვნა: რედაქცია უზრუნველყოფს ჟურნალის
ხელმომწერებისთვის გარანტირებულ მიწოდებას.
დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ჟურნალის რედაქციას
მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.30 (იუსტიციის
სამინისტროს შენობაში), ტელ: 99 02 45,
99 51 01, 93 41 50

0145/5

